სიმონ ჟვარიანი.

საქართველოს ისტორია.



შემოკლებული კურსი.

ფასი 25 კაპ.

ქუთაისი.
მსწრაფელ-მბეჭდავი ივანე ჯილაძისა.
1910 წ.

სიმონ ქვარიანი.

ძვირფას ამხანაგს
ქ. ხოროგვან ხუციშვილს
სახსოვრად
[illegible]

საქართველოს ისტორია.

19347



შემოკლებული კურსი.

ქუთაისი.
მსწრაფლ-მბეჭდავი ივანე ვილაძისა.
1910 წ.

1. ჩვენი სამშობლო.

ჩვენი სამშობლო არის **საქართველო.** ჩვენ ყველანი **ქართველები** ვართ, ვინაიდან ჩვენი დედა-ენა **ქართული.** საქართველოს ერთი ნაწილი უჭირავს **ოსმალეთს,** მეორე უფრო დიდი ნაწილი კი **რუსეთს.** ოსმალებმა ძალათ მოგლიჯეს საქართველოს ის ნაწილი და მცხოვრებთ მიაღებიეს თავისი სარწმუნოება. რუსეთს კი ჩვენ თვითონ შევუკავშირდით იმ მოსაზრებით, რომ დიდი რუსეთი გაგვიწევდა მფარველობას და გვიხსნიდა აურაცხელ მტერთაგან. საქართველოში მოისპო მეფობა, დამყარდა რუსული მართვა-გამგეობა და გაბატონდა რუსული ენა.

ძველათ აგრე არ იყო. საქართველოს ყავდა საკუთარი მეფე, ქონდა საკუთარი მართვა-გამგეობა, სასამართლო, შკოლა, ფული და ჯარი; როგორც ეკლესიასა და შკოლაში, ისე სასამართლოში ქართული ენა იყო გამეფებული. ქართველი ერი სტკბებოდა თავისუფლებით, მაგრამ იმავე დროს მას ეხვია ირგვლივ აუარებელი მტერი და არ აძლევდა მოსვენებას, ყველას სურდა ჩაეგდო ხელში ჩვენი მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა; ყველას სურდა დაედგა ქართველი ერის კისერზე მონობის მძიმე უღელი. ხდებოდა საშინელი ბრძოლა, იღვროდა ჩვენ წინაპართა სისხლი და-ირწყოდა მით საქართ-

ველოს ველ-მინდორი. მაგრამ ქართველი ერი არ იყო ლაჩარი; იგი ასე ადვილათ არ უთმობდა მტერს ბრძოლის ველს, ასე იაფათ არ ყიდდა თავისუფლებას. ქართველთა მცირე რაზმი ლომებრ იბრძოდა მტარვალთა წინააღმდეგ და ხშირათ ამარცხებდა ათჯერ მეტ მტრის ლაშქარს. მამაცობით განთქმულ ქართველს არა იშვიათათ მხარს უმშვენებდა ბრძოლის ველზე ქართველი ქალი და თავისი გმირობით აქეზებდა ქმარს, ძმებსა და შვილებს.

გავიდა ათასი წლები; მტრები გამძლავრდენ, ქართველი ერი კი დაიქანცა და დასუსტდა მუდმივი ბრძოლით; ის იძულებული გახდა შეკავშირებოდა რუსეთს.

---

2. ქართველი ტომები.

ახლა განვიხილოთ ქართველი ტომები.

იშვიათია ქვეყანაზე ერი, რომელსაც ეკავოს ისეთი კარგი ქვეყანა, როგორიცაა საქართველო. ეს მშვენიერი მხარე გადაშლილა ორ ზღვას შორის და ხიბლავს ადამიანს. ჩრდილოეთით მას იფარავს ცივი ქარისაგან თოვლით მოსილი კავკასიონი. ტყით დაბურული მთა-გორაკები, ვაზით შემკული მწვანე კორდები, პურის, სიმინდისა და ღომის ყანებით ოქროთ მზიანავი ვრცელი ჭალები,- აი საქართველოს ტურფა ბუნება! მასზე მოცქრიალობენ ანკარა მდინარენი, მთებიდან გადმოქუხს ბროლის ჩანჩქერი და ახარებს ქართველის გულს.

საქართველოს საზღვრებია: აღმოსავლეთით **თეთრი**

ანუ **კასპიის ზღვა**, დასავლეთით **შავი ზღვა**, სამხრეთით **სპარსეთი** და **ოსმალეთი**, ჩრდილოეთით კი **კავკასიონის ქედი**. მთელი საქართველო იყოფა სამ ნაწილათ: **აღმოსავლეთი საქართველო**, ანუ **ივერია**, **დასავლეთი საქართველო** ანუ **კოლხიდა** და **სამხრეთი საქართველო** ანუ **მესხეთი**. საქართველოს სამივე ნაწილი იყოფა რამდენიმე წვრილ მხარეთ ანუ ნაწილათ. Ივერიის ნაწილებია: **ქართლი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქიზიყი, საინგილო, ბორჩალო** და **განჯა** ანუ **რანი**. Კოლხიდის ნაწილებია: **იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, ჭანეთი** ანუ **ლაზიკა** და **კაბადოკია**. მესხეთის ნაწილებია: **ჯავახეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლიბანა** და **კლარჯეთი**. Დღეს კიდევ ჯავახეთის ერთ ნაწილს ქვია **ახალციხე**, შავშეთის ნაწილს **აჭარა** და Კლარჯეთის ნაწილს **ქობულეთი**.

Აქ ჩამოთვლილ საქართველოს კუთხეებში ცხოვრობენ ქართველი ტომები, რომელთაც ქვიათ იმავე მხარეების სახელი, მაგ., Ქართლში არიან — **ქართლელები**, Კახეთში — **კახელები**, Იმერეთში — **იმერლები**, გურიაში — **გურულები** და სხ. აუარებელმა მტერმა და ხანგრძლივმა ომებმა ფრიად შეამცირეს ქართველთა რიცხვი. Წინათ, დიდი Თამარის დროს, ქართველთა რაოდენობა იყო **ხუთ მილიონამდი**, ახლა კი ძლივს ადის **ორ მილიონნახევრამდი**. ათასი წლების განმავლობაში ულმობელმა მტრებმა დალეწეს და დაგლიჯეს ჩვენი უბედური სამშობლო, ააოხრეს განაპირა ქვეყნები და გაამუსულმანეს თითქმის მთელი Მესხეთი, Ჭანეთი და Კაბადოკია.

3. ძველი გადმოცემა ქართველების შესახებ.

არსებობს ერთი შესანიშნავი ქართული წიგნი (მატიანე), რომელსაც ქვია **„ქართლის ცხოვრება“**. ეს დიდი წიგნი შედგენილია ძველათ უმთავრესათ ქართველ ბერთაგან და მოთავსებულია შიგ ქართველი ერის ისტორიული ამბები. აი ამ წიგნში არის მოთხრობილი ზღაპრული ამბავი, თუ როგორ წარმოსდგენ ქართველები, სომხები და კავკასიის სხვა ერები.

„ქართლის ცხოვრების“ თქმით ქართველნი, სომეხნი, ლეკნი და საერთოთ კავკასიის ერნი ყოფილან წარმომდგარი ერთი შტოისაგან. მათი წინაპარი ყოფილა **თარგამოსი**, რომელსაც ყოლია მრავალი შვილი; მათში უფრო სახელგანთქმული ყოფილან: ქართველთა წინაპარი **ქართლოსი**, სომეხთა წინაპარი **ჰაოსი**, ლეკთა წინაპარი **ლეკოსი**, და კავკასიის მთის ხალხთა წინაპარი **კავკაზი**.

თარგამოსის უძველესი ბინა ყოფილა **ბაბილონი**. ბოდოლის აშენებისა და ენათა შერევის შემდეგ თარგამოსი თავის შთამომავლობით დასახლებულა **ა**რარატის მთის ძირას, აქედან კი დაუჭერია მთელი ამიერ კავკასია და კავკასიონის ქედი. თარგამოსის შვილთა მბძანებელი ყოფილა გმირი **ნებროთი**, **ა**შურ-ბაბილონის დამაარსებელი. შემდეგ თარგამოსის შთამომავალნი მეტათ გამრავლებულან, შეერთებული ძალით აუტეხიათ ომი **ნ**ებროთისთვის, უძლევიათ და მოუპოებიათ თავისუფლება. **ა**მ რიგათ „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით კავკასიის ყველა ერი ყოფილა **ძმები**, ვინაიდან მათი საერთო წინაპარი იყო **თარგამოსი**.

4. მამასახლისობის დრო.

ძველ დროშივე ქართველი ერი იყოფოდა **ტომებათ, თემებათ, გვარებათ** და **ოჯახებათ.** მათ ყავდათ უფროსებათ **მამასახლისნი.** ახლო ნათესავები ერთად შეადგენდენ **ოჯახს**; რამდენიმე მონათესავე ოჯახი, ერთად დასახლებული, შეადგენდა **გვარს**; რამდენიმე გვარი, ერთ კუთხეზე დასახლებული, შეიცავდა **თემს**; რამდენიმე თემი კი ერთად შეადგენდა **ტომს.** ყველა ტომი ერთად შეიცავდა **ქართველ ერს.** ამ რიგათ ოჯახთა მამასახლისნი ემორჩილებოდენ გვარის მამასახლისს, გვართა მამასახლისნი თემის მამასახლისს, თემთა მამასახლისნი კი ტომის მამასახლისს. ტომთა მამასახლისებს შორის უფროსობდა **ქართლის მამასახლისი,** რომელიც ბინადრობდა **მცხეთაში.** მამასახლისთა მოვალეობა იყო ხალხის შინაური მართვა-გამგეობა, ბეგრის აკრეფა, ომის დროს ჯარების მოწვევა და წინ გაძღოლა.

როგორც მამასახლისებს, ისე საერთოდ ყველა მოხელეს ირჩევდა თვით ხალხი. ხალხივე ადგენდა კანონებს, ასამართლებდა მომჩივანთ და სჯიდა დამნაშავეთ. ასეთმა წეს-რიგმა გასტანა დიდხანს, რამდენიმე საუკუნეს. შემდეგ კი ხალხმა უფრო სასარგებლოთ სცნო მოესპო მამასახლისობა და მის ნაცვლათ დაეარსებია მეფობა. მეფობის დაარსებით ხალხის უფლება შესამჩნევათ იფარგლებოდა და გადადიოდა მეფის ხელში. ნაცვლათ ამისა ერთი მეფე, ე. ი. ქვეყნის ერთი მბძანებელი უფრო სწრაფათ კრეფდა ჯარებს და ადვილათ ამარცხებდა შემოსეულ მტერს. თითქმის ყველა ჩვენს მეზობელს უკვე

მეფეები ყავდათ; ისინი უცებ შეკრებდენ ჯარებს და არბევდენ საქართველოს. ჩვენი მამასახლისები კი ისე მალე ვერ ასწრებდენ შეკრებას და ჯარების მოწვევას. ამგვარი წესი ძლიერ აფერხებდა საქმეს. ამიტომ ქართველმა ერმა გადაწყვიტა მამასახლისობის ნაცვლათ შემოეღო **ერთმეფობა.** ერთმა გარემოებამ ხელი შეუწყო ამ აზრის განხორციელებას, ეს იყო მაკედონელთა მიერ საქართველოს დაპყრობა.

5. მაკედონელთა ბატონობა.

მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტეს დაბადებამდი გამოჩნდა დიდებული გმირი **ალექსანდრე მაკედონელი**, მაკედონიის მეფე. ალექსანდრემ შეკრიბა საბერძნეთში საუკეთესო ჯარი მშვენიერათ შეიარაღებული და გადმოვიდა აზიაში სპარსეთის დასაპყრობათ. გმირი ალექსანდრე რამდენჯერმე შეებრძოლა სპარსეთის მეფეს და სასტიკათ დაამარცხა. მან დაიპყრო მთელი სპარსეთი და სხვა მრავალი ქვეყანა.

ამ დიდ ბრძოლაში სპარსეთის მეფეს ეხმარებოდენ ქართველები. განრისხებულმა ალექსანდრემ საქართველოს დასაპყრობათ გამოგზავნა **აზო** დიდი ჯარით. აზომ დაიპყრო მთელი ივერია და დაადვა მონობის მძიმე უღელი. ბრძოლაში მოკლეს ქართლის მამასახლისი **სამარა** და მისი ძმა **მიტრიდატი.** დიდი სასტიკობა გამოიჩინა აზომ საქართველოში; მან დაანგრია მრავალი ციხე, ოთხ საუკეთესო ციხეში კი ჩააყენა თავისი

ლაშქარი. მანვე დაბეკრა მძიმეთ ქართველი ხალხი და დაუწყო მას უდიერათ მოქცევა. ქართველებმა იგრძნეს მონობის სიმწვავე. ბევრს საუკეთესო ქართველს უმიზეზოთ მოუღეს ბოლო მტარვალებმა. ბევრი დამცირება, წვალება და უსამართლობა ხვდათ წილათ ქართველებს მაკედონელთაგან. ქართველი ერი აშფოთდა ბატონების წინააღმდეგ; მან შეიგნო ერთობის ძალა. ყველანი მზათ იყვენ მოეხდინათ ამბოხება აზოს წინააღმდეგ და ბრძოლით მოეპოვათ თავისუფლება. ქართველები ელოდენ მხოლოდ გმირს, მეთაურს—და აჰა გამოჩნდა გმირიც! ეს იყო ქართლის მამასახლისის სამარას ძმისწული **ფარნაოზი.**

---

6. ფარნაოზ გმირი.

აზოს შიშით დედამ პატარა ფარნაოზი გადამალა **ოსეთში.** დავაჟკაცდა თუ არა ფარნაოზი, ჩამოვიდა ქართლს და დაბინავდა **მცხეთაში.** მას გულს უკლავდა ქართველი ერის კვნესა მონობის მძიმე უღელში. გმირი ჭაბუკი ეძებდა დროს და შემთხვევას შურის საძიებლათ და მტარვალთა გასარეკათ საქართველოდან. ეს დროც დადგა. ერთ დღეს ფარნაოზი ნადირობდა მახლობელ ტყეში; სტყორცა ისარი ირემს, დასჭრა და გაეკიდა დასაჭერათ. კარგა ხნის დევნის შემდეგ დაეწია ირემს და მოკლა. ამასობაში დაღამდა კიდეც. ფარნაოზი იქვე ტყეში დარჩა და დაუწყო ძებნა შესაფერ ბინას. უცებ თვალი მოკრა გვირაბს, შევიდა შიგ, აანთო

კვარი და ნახა გვირაბში შეორე განყოფილება ქვით ამოქოლილი. ფარნაოზმა დაანგრია შესავალი და ნახა შიგ აუარებელი განძი, ოქრო და ვერცხლი. სამ ღამეში ფარნაოზმა გადმოზიდა ჩუმათ ეს დიდი განძი თავისი დედისა და დების დახმარებით და დაფლა საიდუმლო ალაგას. შემდეგ ამ დიდი ქონებით და მთელი ოჯახით იგი ეწვია ძოლხიდის მამასახლისს **ქუჯის**. აქ ეს ორი სამშობლოს მოყვარული გმირი, ქუჯი და ფარნაოზი, შეუდგენ მზადებას და ჯარების შეკრებას მაკედონელთა გასადევნათ. მათ შეაგროვეს ძოლხიდაში დიდი ლაშქარი, დაიქირავეს ოსები და ლეკები, მოიწვიეს ქართლელები, მიიმხრეს აგრეთვე მაკედონელთა ჯარის ერთი ნაწილი, ათას კაცამდი, და გაემართენ მცხეთას აზოს წინააღმდეგ. შეშინებული აზო გაიქცა ძლარჯეთს: აქ დაიბარა მან საბერძნეთიდან დიდი ჯარი. ფარნაოზი და ქუჯი არ შეუშინდენ მტერს; ისინი თავს დაესხენ აზოს და საშინლათ დაამარცხეს. თვით აზო მოკლეს ამ ბრძოლაში. მთელი საქართველო გათავისუფლდა მაკედონელთა ბატონობისაგან. აღტაცებულმა ერმა ფარნაოზ გმირი აღიარა **საქართველოს მეფეთ**. იგი ეკურთხა **მცხეთაში** 302 წელს ქრისტეს მოსვლამდი. ქუჯიმ შეირთო ცოლათ ფარნაოზის და, იგი გახდა დასავლეთ საქართველოს ერისთავათ.

7. პირველი მეფე ფარნაოზი.
(302—237 წ. ქრ. წ.).

ამ რიგათ საქართველოში დაარსდა მეფობა. **ფარნაოზი** მეტათ გონიერი მეფე გამოდგა. მან ააშენა მაკედონელთაგან დანგრეული ციხე-კოშკები, შემოავლო სატახტო ქალაქ მცხეთას ფრიად მტკიცე და მაღალი გალავანი, დაჰყო საქართველო ცხრა საერისთაოთ, შეავსო ქართული ანბანი, ხელი შეუწყო მრეწველობისა და ხელოვნების განვითარებას და შეადგინა ქართველთაგან ძლიერი ლაშქარი. თავისუფალი ერი გაიმართა წელში და შეუდგა ნივთიერსა და სულიერ განვითარებას.

ფარნაოზ მეფემ გადმოიღო სპარსეთიდან ახალი სარწმუნოება, **ცეცხლის თაყვანისცემა**, და აღმართა მცხეთის სიახლოვეს ქართლოსის მთაზე კერპი **არმაზი**, სპილენძ-ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასი თვლებით მოჭედილი. ფარნაოზმა იმეფა 65 წელი და მიიცვალა 237 წელს ქრისტეს დაბადებამდი.

თუ რა მდგომარეობაში იყო ძველ დროში საქართველო, ამას მოგვითხრობს სტრაბონი.

---

8. ქართველები პირველ საუკუნეში.

პირველ საუკუნეში ქრისტეს წინ საქართველოში იმოგზავრა საბერძნეთის მეცნიერმა **სტრაბონმა**, დედით-ქართველმა, შეადგინა საქართველოს რუქები, ასწერა ჩვენი ქვეყანა და ქართველი ერის ვითარება.

სტრაბონის მოწმობით იმ დროს საქართველო ყოფილა მეტათ მჭიდროთ დასახლებული; სოფელ-ქალაქებს ამკობდა ლამაზათ აგებული და კრამიტით დახურული სახლები, ქალაქებში იყო გაშენებული მშვენიერი დუქნები და ბაზრები. ფართო გზატკეცილები და მტკიცე ხიდები ხელს უწყობდა ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას. ხალხი მისდევდა აგრეთვე მადნეულობის დამუშავებას; ხოლო უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა იყო **მეურნეობა,** ე. ი. ჭირნახულის მოყვანა, მებაღობა, მევენახობა-მეღვინობა და საქონლის მოშენება. საწნახელი, ქვევრი, ჭური, ტიკი და სხვა ამისთანები უხსოვარ დროშია მოგონილი საქართველოში.

სტრაბონისივე თქმით ქართველი ერი ყოფილა იმ დროს გაყოფილი ოთხ წოდებათ: პირველ წოდებას შეადგენდენ **სამეფო გვარი და დიდებულები**, ე. ი. დიდი თავადები (ერისთავები), მეორე წოდებას ეკუთნოდენ **მეომარნი** ანუ **აზნაურნი**, მესამე წოდება იყო **სამღვდელოება,** მეოთხე წოდებაში კი შედიოდენ მიწის მუშაკნი, ე. ი. **გლეხობა** და **მსახურნი**. ადგილ-მამული ითვლებოდა მთელი გვარის საკუთრებათ, ამიტომ არაკის შეეძლო მიწა-წყლის არც გაყიდვა, არც დაგირავება და არც გასაჩუქრება. ბვარის უფროსათ იყო მისი უხუცესი წევრი.

სტრაბონის დროს საქართველოს ქალაქთა შორის უფრო შესანიშნავი ყოფილა **არმაზი** (ქართლი); **ოლთისი, წიწამური, შორაპანი, ფოთი, ცხომი** (სოხუმი) და **ბიჭვინთა**.

პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ საქართველოში ფეხს იკიდებს ახალი სარწმუნოება, ე. ი. **ქრისტიანობა.**

9. ქრისტიანობა საქართველოში.

არც ერთ ქვეყანაში ერთბაშათ არ გავრცელებულა **ქრისტიანობა**, ასე მოხდა საქართველოშიც. პირველათ ქრისტეს სარწმუნოება გავრცელდა **კოლხიდასა** და **მესხეთში**, შემდეგ კი **ივერიაში**. ქრისტიანობის პირველი მქადაგებელნი ჩვენში იყვენ პირველსავე საუკუნეში თვით ქრისტეს მოციქულნი, **ანდრია პირველწოდებული** და **სიმონ კანანელი**.

ძველი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ საქართველო წილათ ხდომია **ღვთისმშობელს**, მას უნდა გაეგრცელებია ჩვენში ქრისტიანობა. იგი გამოემგზავრა კიდეც საქართველოსკენ, გამოვიდა ერუსალიმიდან, მაგრამ გამოეცხადა თურძე ქრისტე და უთხრა დარჩენილიყო ისევ ერუსალიმში, ვიდრე მიწვეულ იქნება სასუფეველში, მის ნაცვლათ კი გაეგზავნა საქართველოს **ანდრია მოციქული** და **სიმონ კანანელი**. იმავე ღამეს მაცხოვარი გამოეცხადა ამ ორ მოციქულს, აუწყა მისულიყვენ ღვთისმშობელთან და აესრულებიათ მისი ბძანება. მოციქულები მეორე დღესვე მივიდენ ღვთისმშობელთან, მიიღეს მისი ხატი და წამოვიდენ საქართველოს ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლათ. ანდრიამ და სიმონ ქანანელმა გაავრცელეს ქრისტიანობა **კაბადოკიაში, ლაზიკაში, სამეგრელო-აბხაზეთში** და **იმერეთ-გურიაში**; შემდეგ გადვიდენ **მესხეთს**, და ყველგან აღმართეს ქრისტეს ჯვარი, მასთან ქმნიდენ მრავალ სასწაულს ღვთისმშობლის ხატის საშვალებით. აუარებელი ხალხი სტოვებდა წარმართობას და ღებუ-

ლობდა ქრისტიანობას. ამ ორი მოციქულის წყალობით მთელ ქოლხიდასა და მესხეთში მტკიცეთ მოიდგა ფეხი ქრისტიანობამ.

ივერია ანუ აღმოსავლეთი საქართველო კი გაქრისტიანდა მეოთხე საუკუნეში **წმ. ნინოს** მეოხებით.

---

10. წმინდა ნინო.

წმინდა **ნ**ინო იყო შთამომავლობით **კაპადოკიელი** (ქართველი), ახლო ნათესავი **წმ. გიორგისა**, რომელიც ითვლება ჩვენში უუდიდეს წმინდანათ. **ნ**ინო ადრე დაობლდა; იგი წაიყვანა **ე**რუსალიმს და აღზარდა ბიძამისმა, **ე**რუსალიმის **პ**ატრიარქმა. **ნ**ინომ შესანიშნავათ შეისწავლა საღვთო წერილი და შეიქნა გატაცებული ქრისტიანი. 14 წლის **ნ**ინო უკვე ოცნებობდა წასულიყო საქადაგებლათ და ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებია წარმართი ხალხი; განსაკუთრებით ის ფიქრობდა **ივერიაზე,** სადაც წამოელოთ **ქრისტეს კვართი** (პერანგი). **რ**ამდენიმე წლის შემდეგ გავრცელდა ხმა, **რ**ომის დედოფალ **ე**ლენეს სურს მიიღოს **ქ**რისტეს რჯულიო. **ა**მ ამბის გაგონებაზე **ნ**ინო გაეშურა **რ**ომისკენ. **გ**ზაზე ის შეჩერდა დროებით ქ. **ე**ფესის ქალთა მონასტერში, სადაც იყო 50 მონაზონი 1 მათ შორის მშვენიერი **რიფსიმე. რ**ომის იმპერატორს მოხსენდა **რ**იფსიმეს მშვენიერების ამბავი და მოისურვა მისი ცოლათ შერთვა. **ე**ს გაიგეს **ე**ფესის მონაზვნებმა და გაიპარენ **ს**ომხეთს, სადაც ისინი შეიპყრო და აწამა **ს**ომხეთის მეფემ. **შ**ე-

მთხვევით გადარჩა ტყვეობას წმ. ნინო; იგი დაიმალა ვარ-
დის ბუჩქში. ქალწული ნინო მხურვალე ცრემლით ევედ-
რებოდა ღმერთს და თხოვდა შველას. ამ დროს მოესმა
ხმა ზეციდან: აღსდექ და წადი ჩრდილოეთს, სადაც
ბლომათაა სამკალი, ხოლო მუშაკი არ ჩანსო.

იმედით აფრთოვანებული ნინო გაემართა ივერიის-
კენ. პირველათ იგი მივიდა **ჯავახეთს**. აქედან დაინახა
მან თოვლით მოსილი უზარმაზარი მთები. ამ დიადმა
სანახაობამ შიშის ზარი დასცა სუსტ ქალწულს, მან შეწუ-
ხებით წამოიძახა: „უფალო, უფალო! მიიღე სული ჩე-
მი“, და იწყო მხურვალე ვედრება. ამ ლოცვაში ნი-
ნოს მიეძინა. სიზმარში გამოეცხადა მას ღვთის-
მშობელი ანგელოზებით, დალოცა ნინო, მისცა ვაზის
ჯვარი, გაამხნევა და უბძანა წასულიყო ივერიას
ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლათ. მწყესებისგან
ნინომ შეიტყო მცხეთის გზა და გაემართა ქართლისკენ.
დიდი გაჭირება განიცადა მან ამ მგზავრობაში. როგორც
იყო მივიდა ქ. **ურბნისს**, სადაც ნახა კერპთ-მსახური
ხალხი. აქ ურიათა უბანში ნინო დარჩა ერთ თვეს და
სწავლობდა ქართველთა ზნე-ჩვეულებას. ერთი თვის შემ-
დეგ ურბნისის მცხოვრებნი გაემართენ მცხეთას არმაზის
დღესასწაულზე; მათ გაყვა წმ. ნინოც.

---

11. წმ. ნინო ივერიაში.

მცხეთაში ნინომ იხილა საოცარი სანახაობა: მთე-
ლი ქართლის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, მიეშუ-

რებოდენ **არმაზის მთაზე**. **ლ**იდებულათ მორთული მეფე **მირიანი** თავის მეუღლე **ნანა** დედოფლით მიბძანდებოდა იქ. **მ**ათ წინ მიქონდათ სამეფო დროშები, აფენდენ ვარდ-ყვავილებს, უკრავდენ საკრავთ და გალობდენ სხვადასხვა საგალობლებს.

ნინო გაერია ხალხში და შევიდა საკერპოს გალავანში **ა**რმაზის გორაზე. **ა**ქ მან იხილა საზარელი სურათი: გორის წვერზე იდგა სპილენძის უზარმაზარი კერპი, ტანთ ეცვა ოქროს ჯაჭვი და თავს ეხურა ოქროსავე მუზარადი, ზურმუხტის თვლებით შემკული, ხელში ატრიალებდა ელვარე ხმალს. **ე**ს იყო ივერიელთა უპირველესი კერპი **არმაზი**, რომელსაც შიშით ვერავინ ეკარებოდა, ვერც მეფე და ვერც ერის კაცნი. **ა**მ უმთავრესი კერპის ორივე მხრივ იდგა ოქრო-ვერცხლისაგან შემზადებული სხვა კერპები. **ა**უარებელი მლოცველი მიწაზე დამხობილი ეგედრებოდა კერპებს და სწირავდენ სხვერპლს, ზოგიერთი საკუთარ შვილებსაც.

წმ. **ნ**ინომ იხილა ეს საშინელი სურათი, დაიჩოქა, აღაპყრო ზეცათ ხელნი და მდუღარე ცრემლით შეევედრა **ღ**მერთს, რათა მოეხდინა სასწაული, დაემხო კერპნი და აეხილა გონების თვალი ივერთა ერისათვის. **მ**ოხდა სასწაული: უცებ დაბნელდა ცა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, შეიქნა უცნაური ჭექა-ქუხილი, გავარდა რამდენჯერმე მეხი და წამოვიდა სეტყვა. **თ**ავზარდაცემული ერი შეეფარა ფარდულებს და ნაპრალებს. **ზ**ამოიდარა ცოტა ხნის შემდეგ; გამობრწყინდა მანათობელი მზე. **ქ**ართველმა ხალხმა მიაპყრო თვალნი არმაზის წვერვალს, მაგრამ იქ აღარ ჩანდა მათი კერპები; მეხსა და სეტყვას დაემსხვრია ისინი, ქარსა და ნიალვარს

ჩაეყარა ხევსა და ნაპრალებში. იმათ ალაგას კი ვიღაც დაჩოქილ მანდილოსანს აღეპყრო ხელნი ზეცათ და ევედრებოდა უხილავ ღმერთს; ეს იყო **წმ. ნინო.**

---

12. წმ. ნინოს სასწაულები და მეფე მირიანი.

წმ. **ნ**ინო დაბინავდა მცხეთაში. **მ**ან შეაფარა თავი მაყვლის ბუჩქს. **ა**ქ **ნ**ინომ იწყო ახალი სარწმუნოების ქადაგება და სასწაულთ მოქმედება. **მ**ისი ვედრებით მეფის მებაღის ცოლს მიეცა შვილები. **ნ**ინომ განკურნა მომაკვდავი ბავში, თავადის ერთად ერთი შვილი, განკურნა აგრეთვე უკურნებელ სენისაგან შეპყრობილი **ნანა** დედოფალი და მისი ბიძა.

ნინოს სახელი, როგორც საოცარი მკურნალის, გაითქვა მთელ **ქ**ართლში. **მ**ცხეთაში ყველა იცნობდა ამ მშვიდსა და სათნო მონაზონს, ყველას ატკბობდა მისი სიტყვა; მისი ქადაგება იზიდავდა ხალხს, განსაკუთრებით ქალებს, რომელთა შორისაც ბევრი გააქრისტიანა **ნ**ინომ და გაიხადა თავის მოწაფეთ. **მ**იიღო აგრეთვე ფარულათ **ქ**რისტეს სარწმუნოება თვით **ნ**ანა დედოფალმა; მხოლოდ **მ**ირიანი იდგა მტკიცეთ ძველ კერპების თაყვანებაზე და ემუქრებოდა ქრისტიანებს ამოჟლეტას. **მ**აგრამ ერთმა შემთხვევამ **მ**ირიან მეფეს შეუცვალა აზრი და გახადა **ქ**რისტეს მსახურათ.

ერთ დღეს **მ**ირიანი დიდის ამალით მთაზე ნადირობდა. **უ**ეცრივ მზე დაბნელდა და მოიცვა მიდამო ყაშინელმა წყვდიადმა. **მ**ეფის ამალა დაფრთხა და გაი-

ფანტა. ფრიად შეშინებული მირიანი მხურვალეთ ეეედ-
რებოდა თავის კერპებს, მაგრამ ამაოთ; შემდეგ დაუ-
წყო ვედრება ნინოს ღმერთს; სიბნელე გაქრა და ისევ
გაანათა ბრწყინვალე მზემ. მეფემ ირწმუნა ქრისტეს
ძლიერება. მირიანი თავის ამალით გამოეშურა მცხე-
თისკენ. აქ მას მიეგება ნანა დედოფალი აუარებელი ხალ-
ხით. ყველანი ერთად დიდის ღაღადით გაემართენ წმ.
ნინოსკენ. აქ მეფე მირიანი მუხლმოდრეკით ეამბორა
ვაზის ჯვარს და ხელაპყრობით ადიდა ქრისტე ღმერთი.
ამ სურათის ხილვაზე უსაზღვრო აღტაცებამ შეიპყრო
წმ. ნინო და მისი 50 მოციქული. მეფემ გადაწყვიტა
ხალხის გაქრისტიანება და მთელი ივერიის მონათვლა
წმ. ნინოს ხელით.

13. ივერიის გაქრისტიანება. (324 წ.).

საქართველოს მეზობლათ დასავლეთით მეოთხე სა-
უკუნის დამდეგს ქრისტეს შემდეგ **კოსტანტინე დიდმა**
დააარსა ახალი საბერძნეთის იმპერია ანუ **ბიზანტია** და
ააგო სატახტო ქალაქი **კოსტანტინეპოლი.** კოსტან-
ტინე და დედა მისი ელენე მოინათლენ და მთელ ბი-
ზანტიაში გაბატონებულ სარწმუნოებათ ითვლებოდა
ქრისტიანობა. კოსტანტინე იმპერატორს მიმართეს
ნინომ და მირიანმა, სთხოვეს ღვდლები ქართველი ერის
მოსანათლავათ. იმპერატორი დიდი სიხარულით მიეგება
ამ ამბავს და მაშინვე გამოგზავნა **ეპისკოფოზი იოანე,**
ორი ღვდელი და **სამი დიაკონი**; მათვე გამოატანა

ჯვარი, მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატები და სხვა საჩუქრები.

სანამ ბიზანტიიდან მოვიდოდა დაბარებული სამღვდელოება, ნინო და მირიანი შეუდგენ ეკლესიის აგებას მეფის ბაღში. მოჭრეს ბაღის შუა ალაგას მდგომარე უზარმაზარი კიპაროსის ხე, რომლის ქვეშაც ხალხის გადმოცემით ემარხა **სიდონია** უფლის კვართით. ამ კიპაროსის ხიდან გააკეთეს სვეტები. შუა სვეტმა იწყო **მირონის** დენა და სნეულთა კურნება, ამიტომ მას დაერქვა **სვეტი ცხოველი** და ეს სახელი შერჩა თვით ტაძარს.

მოვიდა თუ არა მცხეთას **Iოანე** ეპისკოფოზი ღვდელ-დიაკვნებით, მირიანმა მაშინვე შეკრიბა მთელი ქართლიდან დიდებულნი და მდაბიო ხალხი. პირველათ მოინათლა თვით მირიან მეფე წმ. ნინოს ხელით, შემდეგ მოინათლენ ნანა დედოფალი, მეფის ძე **რ**ევი და მისი მეუღლე. მას შემდეგ გააკეთეს მტკვარში დიდი სანათლო და მონათლეს დიდებულნი. ამის ქვემოთ ორმა ღვდელმა მონათლა მდაბიო ხალხი. მოინათლა აგრეთვე იმ დღეს 50 ებრაელი. ეს დიდებული ამბავი მოხდა 324 წელს.

ამის შემდეგ წმ. ნინო გაემართა **კახეთს**, დაყო იქ 14 წელი და თავის ქადაგებით გააქრისტიანა ხალხი. მხოლოდ მთიელები დარჩენ ძველ რჯულზე. დიდმა შრომამ და მგზავრობამ მოქანცა ნინო; იგი დასნეულდა და მიიცვალა 14 იანვარს 338 წელს სოფ. **ბოდბეს**, ძიზიყში. მადლიერმა ერმა ამ დიდებულ ადამიანს უწოდა **ქართველთა განმანათლებელი** და მის უკვდავ ხსოვნას დღესასწაულობს **14 იანვარს.** წმ. ნინო ასაფლავია **ბოდბეს ქალთა მონასტერში.**

მირიან მეფემ თავი ისახელა კეთილი საქმეებით; გამოიწერა კიდევ ბიზანტიიდან მრავალი სასულიერო პირი, ააგო საქართველოში ტაძრები და აგრეთვე თვით ერუსალიმში ააშენა **წმ. ჯვრის მონასტერი.**

14. ვახტანგ გორგასლანი. (454—499 წ.).

მირიანს შემდეგ შესანიშნავი მეფე იყო **ვახტანგ გორგასლანი.** იგი ადრე დაობლდა, ამიტომ სამეფო საქმეებს განაგებდა დედა მისი **სანტუხტა.** დედოფლის სისუსტით ისარგებლეს მტრებმა და დაარბიეს საქართველო. ბიზანტიამ მოგლიჯა **კლარჯეთი, სამეგრელო** და **აფხაზეთი**; სპარსელებმა კი მოფინეს საქართველო ქურუმებით და იწყეს გავრცელება ცეცხლ-თაყვანისმცემლობის. მაგრამ ყველაზე მეტი ზიანი დაგვმართეს **ოსებმა** და **ხაზარებმა.** შვიდი წლის განმავლობაში ეს ველური ხალხნი თამამათ დათარეშობდენ ქართლ-კახეთში, აოხრებდენ დაბა-ქალაქებს, ცარცვავდენ ქვეყანას და მიყავდათ აურაცხელი ტყვე; სხვათა შორის მათ გაიტაცეს ვახტანგის სამი წლის და.

ამ გაჭირვებაში იყო საქართველო, როცა ვახტანგი შესრულდა 15 წლის. მას იმ თავითვე ეტყობოდა დიდი ვაჟკაცობა და მაღალი ჭკუა-გონება. ვახტანგს გულს უკლავდა საქართველოს ასეთი აოხრება და დაბეჩავება. 15 წლის ვახტანგმა შეკრიბა დიდებულნი და ეკურთხა მეფეთ 454 წელს. ვახტანგმა გადაწყიტა ოს-ხაზარებზე გალაშქრება, რისთვისაც შეკრიბა აუარებელი ჯარი, დაი-

ხმარა აგრეთვე 40 ათასი მთიელი და გაემართა მტრის წინააღმდეგ. როგორც კი გაიგეს ქართველთა გამოლაშქრება, ოს-ხაზართა მთავრებმა სწრაფათ შეკრიბეს აურაცხელი ჯარი და დახვდენ ვახტანგს დარიალის ვიწრო ხეობაში. საშინელი ბრძოლა მოხდა მდინარე თერგის ნაპირას. ვახტანგმა თავისი ხელით მოუკლა მტერს ორი გოლიათი, **ბაყათარ ოსი** და **თარხან ხაზარი.** ნორჩი მეფის საარაკო გმირობამ და ქართველთა ვაჟკაცობამ შიშის ზარი დასცა ოსებსა და ხაზარებს. იძლია მტერი; გამარჯვებული ვახტანგი შეესია ჯარით მათ ქვეყნებს და საშინლათ დაარბია. მან გაათავისუფლა თავისი და, იხსნა ტყვეობიდან მრავალი ქართველობა, დაატყვევა ურიცხვი ოსი და ხაზარი, და დიდის ალაფით დაბრუნდა საქართველოს.

15. ბრძოლა ბიზანტიელებთან და სპარსელებთან.

დაბრუნდა თუ არა ოსეთიდან, ვახტანგმა დიდი საჩუქრები გაუგზავნა სპარსეთის მეფეს და ითხოვა ცოლათ მისი ასული. რამდენიმე ხნის შემდეგ აიშალენ სპარსეთი და ბიზანტია. სპარსეთის მეფემ დახმარება სთხოვა ვახტანგს და ესეც დიდი სიამოვნებით დათანხმდა, რადგან სურდა ბერძნებზე ჯავრის ამოყრა და წართმეული ადგილების დაბრუნება. ვახტანგი დიდი ჯარით შეესია ბიზანტიის საზღვრებს. მეორე მხრით მოადგა სპარსეთის დიდი ლაშქარი. ბერძნებს მეტათ გაუჭირ-

დათ საქმე. Იმათ მოციქული გაუგზავნეს Ვახტანგს და დაპირდენ წართმეულ ქვეყნების დაბრუნებას, თუ ხელს აიღებდა მათზე და არ დაეხმარებოდა სპარსელთ. Ვახტანგი დათანხმდა. Ამით გამხნევებული ბიზანტიელთა ლაშქარი შეებრძოლა Სპარსეთის ჯარს და საშინლათ დაამარცხა იგი. Გამარჯვებულ ბერძნებს დაეტაკა Ვახტანგი თავის რჩეული ჯარით და მუსრი გაავლო.

Მოხერხებულმა Ვახტანგმა ორივე მეფესთან იმართლა თავი და თანაც შეარიგა ისინი. Ამ რიგათ დაასუსტა თავისი ძლიერი მტრები და დაიბრუნა წართმეული ქვეყნები. Ბიზანტიის იმპერატორმა Ვაგტანგს მადლობის ნიშნათ გაუგზავნა ძვირფასი ჯვარი, გვირგვინი და სამეფო სამოსელი, დაუთმო **კლარჯეთი** და **სამეგრელო**. Შემდეგ მიათხოვა ცოლათ თავისი ასული **ელენე** და მზითვათ მისცა **აფხაზეთი**.

Ამის შემდეგ Სპარსეთის ახალი მეფე **ფიროზი** კარგი თვალით არ უყურებდა Ვახტანგს, რომელმაც გარეკა საქართველოდან ცეცხლის მსახურნი. Ფიროზმა შეკრიბა დიდი ჯარი და წამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ. Არ ეძინა არც Ვახტანგს. Მან მოაგროვა დიდი ლაშქარი და გამაგრდა ვიწროებში. Სპარსეთის ჯარი დაბანაკდა **დიდუბეს** ქვემოთ. Ამასობაში მოვიდა ბერძენთა მაშველი ჯარი. Გაიგო თუ არა ეს ფიროზმა, მაშინვე შეურიგდა Ვახტანგს. Ვახტანგმა მიიპატიჟა სპარსეთის მეფე თავის ამალით და დიდი საჩუქრებით გაისტუმრა. Ფიროზი დაემოყვრა Ვახტანგს და ითხოვა ცოლათ მისი და, თანაც სთხოვა დახმარება **ინდოელთა** წინააღმდეგ. მართლაც 10 ათასი რჩეული მეომრით Ვახტანგი დაეხმარა Ფიროზს და გაითქვა Ინდოეთში დიდი სახელი.

ვახტანგის მუზარადზე (ქუდზე) გამოხატული იყო მგელი და ლომი, ამიტომ სპარსელებმა დაარქვეს ვახტანგს **გორგ-ასლანი,** რაც ნიშნავს მგელ-ლომს.

16. ვახტანგის მოღვაწეობა და სიკვდილი.

ვახტანგი დიდებული იყო არამარტო ბრძოლის ველზე, არამედ შინაურ საქმეებშიაც. მან ააგო მრავალი ციხე-ქალაქი, ააშენა მცხეთაში თლილი ქვისაგან **სვეტი ცხოვლის** დიდებული ტაძარი, გაათავისუფლა საქართველოს ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის ბატონობისაგან, დაადგინა **კათალიკოსობა** და გადაათარგმნინა ქართულ ენაზე **საღვთო წერილი** და წირვა-ლოცვის ყოველივე წესები. გარდა ამისა მან მოსპო საქართველოში ცეცხლ მსახურება, განამტკიცა ქრისტეს სარწმუნოება, მოსჭრა ფული, ააგო შკოლები და ხელი შეუწყო ხალხის ნივთიერსა და გონებრივ განვითარებას. ამ დიდმა მეფემ ისახელა აგრეთვე თავი ქალაქ **თფილისის** აგებით. ის ალაგი, სადაც დღეს თფილისია, იყო იმ დროს ტყით მოფენილი. ერთ დღეს ამ ტყეში ნადირობის დროს ვახტანგმა მიუსია ხოხობს ქორი და თვითონაც გაედევნა ცხენით. ნახა, რომ ორივე ფრინველი ჩავარდნილან ცხელ წყალში და მოხარშულან. ეს გოგირდის ცხელი წყალი ახლაც ბლომათ გამოდის თფილისში მთის ძირას და ცნობილია, როგორც საუკეთესო სამკურნალო წყალი. ეს ადგილი და წყალი მეტათ მოეწონა ვახტანგს და გააშენა დიდი ქალაქი, რომელსაც

შემოავლო მაღალი გალავანი. თფილი წყლის გამო, ამ ქალაქს უწოდა **თფილისი.**

ამ დროს მიიცვალა ფიროზი და სპარსეთის ტახტზედ ავიდა მისი შვილი **კობადი.** მან გაუმართა ომი ბერძნებს და დახმარება სთხოვა ვახტანგს. ამან უარი შეუთვალა. მრისხანე კობადი აუარებელ ჯარით მოადგა საქართველოს. ვახტანგმა შეაგროვა 140 ათასი მეომარი და გამაგრდა **უჯარმას** (ქიზიყში). აქ მოხდა საშინელი ბრძოლა. ბრძოლის დროს მოხუცი ვახტანგი გმირულათ შეიჭრა მტრის ბანაკში და მოკლა კობადის ვაჟი; მაგრამ იაფათ არ დაუჯდა ვახტანგს ეს გმირობა. მტრის ისარი მაგრათ ჩაერჭო მკერდში დიდებულ მეფეს. ამ ჭრილობამ იმსხვერპლა ვახტანგი. იგი გამოეთხოვა ცოლშვილს და დიდებულთ, ტახტი დაულოცა თავის უფროს ვაჟს **დაჩის** და მიიცვალა 499 წელს. შეიქნა გლოვა და ტირილი მთელ საქართველოში. მეფის გვამი დაასაფლავეს **მცხეთას** სვეტიცხოვლის ტაძარში და დაადგეს ზედ ქვის ძეგლი, რომელზედაც იყო ამოჭრილი ვახტანგის სახე.

---

17. ცამეტი სირიელი მამა.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ მეტათ გაძლიერდა სპარსეთი. სპარსეთის მეფეებმა ჩაიგდეს ხელში **ივერია,** გზავნიდენ ქურუმებს და ავრცელებდენ ჩვენში ცეცხლის თაყვანისცემას. დიდ საფრთხეში ჩავარდა ქრისტეს სარწმუნოება აღმოსავლეთ საქართველოში. ხალხი ირყეო-

და; ზოგი ძალით და ზოგი ნებით სტოვებდა ახალ სარწმუნოებას ე. ი. ქრისტიანობას და გადადიოდა ისევ ძველ რჯულზე, ცეცხლის თაყვანისცემაზე. ამ განსაცდელისაგან ივერია იხსნა სირიამ. ამ ქვეყნიდან მოვიდენ საქართველოში **ცამეტი განათლებული მამა** და მედგრათ შეებრძოლენ ცეცხლის თაყვანებას. ეს წმინდა მამანი მოეფინენ ქართლ-კახეთს, ააგეს ტაძრები და მონასტრები, დაარსეს შკოლები, დაუახლოვდენ ხალხს, იწყეს ქადაგება და ქრისტეს სარწმუნოების განმტკიცება მთელს ივერიაში. ამ ბერებმა კარგათ იცოდენ ქართული ენა. მათ მიერ დაარსებული მონასტრები თითქმის ყველა შენახულა დღემდი. ამ მონასტრებში მოღვაწეობენ დღესაც კი ქართველი ბერები. ამ სირიელ ბერებს ზედმეტათ დაერქვათ ის სახელი, სადაც მათ ააგეს მონასტრები. მათში უფრო შესანიშნავი იყვნენ: **იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, შიო მღვიმელი** და სხ.

---

18. ბაგრატიონთა გამეფება.

ვახტანგ გორგასლანის სიკვდილის შემდეგ მალე შეწყდა საქართველოში მისი გვარის მეფობა. 575 წელს საქართველოში გამეფდა **ბაგრატიონთა გვარი** (დინასტია).

როგორც ვიცით, საქართველოს პირველი მეფე იყო **ფარნაოზი**, ქართლოსის შთამომავალი, ამიტომ ამ საშეფო გვარს ანუ **დინასტიას** ქვია **ქართლოსიანთა** **დი-**

ნასტია. ეს გვარი მეფობდა საქართველოში 302 წლიდან 112 წლამდი ქრისტეს წინ. ამ გვარის მოსპობის შემდეგ სამეფო ტახტზე მოიწვიეს სომხეთის მეფის შვილი **ფარნაჯობი**, გვარათ **არშაკუნი**. ეს არშაკუნიანთა გვარიც მოისპო 265 წ. ქრ. შემდეგ, რის გამო მოიწვიეს საქართველოს მეფეთ სპარსეთის მეფის შვილი **მირიანი**, გვარათ **ხოსროიან-სასანიანი**. ეს გვარი მეფობდა 575 წლამდი. ამ გვარიდან იყო გამოჩენილი მეფე ვახტანგ გორგასლანი. 575 წლიდან გამეფდა საქართველოში **გურამ ბაგრატიონი** და ამ რიგათ დამყარდა ჩვენ'ში **ბაგრატიონთა დინასტია**. ეს შესანიშნავი გვარი მეფობდა საქართველოში 1801 წლამდი, ე. ი. იმ დროამდი, როცა საქართველო თავის ნებით შეუკავშირდა რუსეთს. ამ გვარმა მისცა საქართველოს ბევრი დიდებული მეფე, მაგ. **დავით კუროპალატი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ მეექვსე** და **ერეკლე მეორე**.

19. არაბთა მოძრაობა.

არაბეთის ნახევარ კუნძულზე აზიაში ცხოვრობდენ ნახევრათ ველური ხალხი **არაბნი**, ცნობილნი მხნეობით და ვაჟკაცობით. ეს ხალხი უმთავრესათ მისდევდა საქონლის მოშენებას. მეშვიდე საუკუნის დამდეგს, არაბებს გამოუჩდათ ერთი შესანიშნავი კაცი **მამადი**, რომელმაც იქადაგა **ერთღმერთობა** და მისცა **არაბთ ახალი სარწმუნოება**. მამადმა აღუთქვა ყველა არაბს ცხო-

ნება, თუ კი ისინი გაავრცელებდენ ამ ახალ რჯულს მთელ ქვეყანაზე ცეცხლითა და მახვილით; თანაც საიქიოში დაუხატა ის, რაც არაბებს ენატრებოდათ ამ ქვეყნათ, ე. ი. მშვენიერი ბაღები, ცივი წყაროები, გემრიელი საჭმელები და შარბათი.

შვიცი არაბნი გაიტაცა ამ ახალმა სარწმუნოებამ. ყველამ მოისურვა მისი გავრცელება და სამოთხეში შესვლა. ნიჭიერი სარდლების მეთაურობით ახალი სარწმუნოებით აფრთოვანებული არაბნი მოედვენ **აზიას, აფრიკას** და **ევროპას**. მათ იწყეს ცეცხლით და მახვილით ქვეყნების დაპყრობა და მამადის რჯულის გავრცელება. ამ პატარა ხალხმა ჩაიდინა ნამდვილი სასწაული. მოკლე დროში არაბებმა დაიპყრეს მრავალი ქვეყანა.

არაბებმა მალე მიიღეს ბერძნული განათლება. მათი მეოხებით განათლდენ აზიის ხალხები, გაიღვიძა ევროპამ და განვითარდა ჩვენი ქვეყანაც.

---

20. ივერიის დაპყრობა (668 წ.).

668 წელს დიდის ლაშქრით საქართველოში შემოვიდა არაბთა სარდალი **მურვან ყრუ**. ამ დროს ჩვენში მეფობდენ **მირი** და **არჩილი**. არაბთა შემოსევამ შიშის ზარი დასცა მეფეებს, ერსა და დიდებულებს. მირმა და არჩილმა თავი შეაფარეს აფხაზეთს; დაფრთხალი ხალხი გარბოდა ტყესა და მთებში.

ძლევა მოსილ მტერს არ შეეშინდა მხოლოთ ორი გმირი, **არგვეთის** (ზემო იმერეთშია) მთავრები **დავით**

და **კოსტანტინე**. მცირე რაზმით ისინი დახვდენ არაბებს ვიწროებში და ძვირათ დაუჯდინეს საყვარელ სამშობლოს აოხრება. ბაბრაზებული მურვანი მთელი მხედრობით შემოევლო ირგვლივ ამ თავგანწირულ გმირთ და მათ ერთი მუჭა რაზმს, დაამარცხა ისინი, შეიპყრო **დავით** და **კოსტანტინე**, აწამა საშინლათ, შემდეგ მოაბა ორივეს კისერზე დიდრონი ქვები და გადაყარა **მდ. რიონში** *). **დავით** და **კოსტანტინე** საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმინდათა შორის და მათი გვამი ასვენია მოწამეთის მონასტერში, ქუთაისიდან ორთხი ვერსის მანძილზე.

არ დაადგა ხეირი არც **მ**ურვანს; წვიმებით ადიდებულმა მდინარეებმა დაურჩო 23 ათასი მხედარი, **მ**ეცელამ გაუწყვიტა 35 ათასი **კ**აცი; ბოლოს მის ჯარს დაეცენ ქ. **ა**ნაკოფიასთან მეფე **მირი** და **არჩილი** ძლიერი რაზმით და მიაყენეს დიდი ზიანი. **შ**ერცხვენილი **მ**ურვანი გავიდა **ს**აქართველოდან.

50 წლის შემდეგ **ს**აქართველოს **შ**ემოესია უთვალავი ჯარით არაბთა მეორე სარდალი **ჭიჭუმ ასიმი**. **ჭ**იჭუმ მოაოხრა **ქ**ართლი და გადავიდა **ქ**ახეთში. **მ**ეფე **ა**რჩილი მივიდა **ჭ**იჭუმთან, რათა აეცილებია **ქ**ახეთისთვის ეს **ს**აშინელი რისხვა. **ა**რაბთა **ს**არდალმა **შ**ეიწყნარა მეფის თხოვნა, ნაცვლათ მოსთხოვა მიეღო მას მამადის რჯული. **ა**რჩილი უარზე დადგა, რის გამო **ჭ**იჭუმ ჩააგდო იგი **ს**აპყრობილეში და **შ**ემდეგ აწამა კიდეც. **ს**აქართველოს ეკლესიამ **ა**რჩილ მეფეც **შ**ერაცხა წმინდანათ.

ამ რიგათ მთელი აღმოსავლეთი **ს**აქართველო დაიპყრეს არაბებმა და დაადვეს მონობის უღელი. **ა**რაბთა

---

*) ზოგიერთის აზრით მურვან ყრუს დავით და კოსტანტინე გადუყრია მდ. წ ყ ა ლ წ ი თ ე ლ ა ში.

ბატონობამ გასტანა ჩვენში თითქმის **300 წლამდი** და მათი მოხერხებით ჩვენი ქვეყანა დანაწილდა **წვრილ სამეფო-სამთავროებათ.**

21. არაბთა ბატონობის შედეგი.

Ივერია ჩავარდა არაბთა ხელში; მათი **ამირა** (მართველი) იჯდა **თბილისში** თავისი ჯარით და ბძანებლობდა **ქართლ-კახეთზე.** Თავისუფლათ დარჩა **კოლხიდა** და **მესხეთი.** მაგრამ ამ მხარეებსაც არ ადგათ ხეირი დიდებულთა წყალობით, რის გამო საქართველოს ორივე ნაწილი მალე დაქუცმაცდა რამდენიმე სამეფო-სამთავროებათ. მთელი **კოლხიდა** დაიპყრო **აფხაზთა** მეფ**ელეონმა** და უწოდა **აფხაზეთის სამეფო.** მან სატახტო ქალაქათ გაიხადა **ქუთაისი.** მესხეთიც გაიყო რამდენიმე სამთავროთ; მათში უფრო ძლიერი იყო **ტაო-კლარჯეთის სამეფო,** *) რომლის სატახტო ქალაქათ ითვლებოდა **არტანუჯი,** ფრიად მაგარი ციხით. **სამ** ნაწილათ გაიყო **Ივერიაც.** **მათ**ში გაღონიერდა ბოლო დროს **კახეთის სამეფო.** **ასეთ** უნუგეშო სურათს წარმოადგენდა **საქართველო** სამი საუკუნის განმავლობაში. **მან** დაკარგა ერთობა, დაგჯა **წვრილ** სამეფო—სამთავროებათ, იწყო ერთმანეთში კინკლაობა, ამ რიგათ დაკარგა ძალა და გავლენა მეზობელ ხალხებზე. **კოლხიდა** და **მესხეთი** დაუახლოვდენ **ბიზანტიას** და იმყოფებოდენ მის გავლენის ქვეშ. **ბიზანტიის** იმპერატორები

*) ტაო ერქვა მესხეთის სამ ნაწილს: ლიბანას, შავშეთს და ერუშეთს.

აძლევდენ ჩვენ მეფეებსა და მთავრებს სხვადასხვა მაღალ ხარისხებს, მაგ. **კუროპალატობას, მაგისტროსობას** და სხ. Ივერია კი სრულებით ჩავარდა არაბთა გავლენის ქვეშ.

Თანდათან განათლდენ არაბნი. მათ გაავრცელეს დაპყრობილ ქვეყნებში სწავლა-განათლება, გაანვითარეს მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა, ააგეს ციხე-ქალაქები, გაიყვანეს გზატკეცილები და ააყვავეს ყოველგვარი ხელოვნება. Არა ნაკლებ ვითარდებოდა და მიდიოდა წინ ბიზანტიაც. Ამ ორი განათლებული ერის ზეგავლენამ ნივთიერათ და გონებრივათ ააღორძინა ქართველები; ამათ დაიარსეს მრავალი შკოლა, უმთავრესათ მონასტრებთან, ააგეს სირია—საბერძნეთში შესანიშნავი მონასტრები, სადაც დაარსეს **აკადემიები**. განათლებულმა ქართველებმა გადათარგმნეს ქართულათ მრავალი წიგნი, საერო და სასულიერო, გაანვითარეს ქართული ენა და მწერლობა, ააღორძინეს ქართული ხელოვნება, უმთავრესათ **მხატვრობა, გალობა** და **ხუროთმოძღვრება.**

ქართველებს ახლა აწუხებდა ორი რამ: **დანაწილება** და **არაბთა ბატონობა**. საერთო ენამ, მწერლობამ, ხელოვნებამ და სარწმუნოებამ ნათლათ აგრძნობინა მათ, რომ ისინი შეადგენდენ **ერთ ერს**, სულიერათ დაკავშირებულს. მათ გულში გაიღვიძა **ეროვნულმა გრძნობამ**, ე. ი. **სამშობლოს სიყვარულმა.** მათში გაიღვიძა ერთობის და თავისუფლების წყურვილმა. ქართველები გრძნობდენ ძალას თავიანთ არსებაში; მათ სურდათ წვრილ სამთავრო-სამეფოების ნაცვლათ შეექმნათ **ერთი ძლიერი სამეფო,** შეერთებული ქოლხიდა, მეს-

ზეთი და ივერია. ქართველ ერს წყეროდა დაენსხვრია მონობის სამარცხვინო ბორკილები, გაედევნა თავის ქვეყნიდან **არაბები** და აეფრიალებია თავისუფლების დროშა. ამისათვის ის ელოდა შესაფერ დროს, ის ეძებდა გმირებს. მეთაურიც მალე გამოჩდა, ეს იყო **დავით კუროპალატი**.

---

22. დავით კუროპალატი. (966—1001 წ.).

საქართველოს გაერთიანების საქმე წილათ ხვდა **დავით კუროპალატს**, რომლის მარჯვენა ხელად შეიქნა ქართლის ქებული ერისთავი **ივანე მარუშიძე**. დავით კუროპალატი იყო სამხრეთ მესხეთის ანუ ტაო-ქლარჯეთის სახელოვანი მეფე. იგი იყო ცნობილი თავის მაღალი გონებით, ნიჭით და სათნოებით. უცხოეთის მწერლები ქება-დიდებით იხსენიებდენ მას.

ამ დროს ქართლში იჯდა უნიჭო მეფე **ბაგრატ რეგვენი**, რომელსაც იბრიყვებდა ქახეთის მეფე **კვირიკე** და ართმევდა ადგილებს. ეს გარემოება გულს უწვავდა ქართლის ერისთავს ივანე მარუშიძეს. იგი ეახლა დავით მეფეს და სთხოვა დახმარება. მისივე წინადადებით უშვილო დავითმა იშვილა ბაგრატ რეგვენის ნიჭიერი შვილისშვილი **ბაგრატი**, გამოაცხადა იგი თავის მემკვიდრეთ, ქართლის და აფხაზეთის მომავალ მეფეთ, თან ალაგმა თავგასული ქვირიკე. ამავე ხანში ქოლხიდაში მეფობდა ძმის მიერ თვალებ დათხრილი **თევდოსე**. მას არ შეეძლო ქვეყნის მართვა, რის გამო სამეფოში ხდებოდა დიდი არეულობა. ერთგული მამულიშვილი ივანე

მარუშიძე გადვიდა **იმერეთში**, მიიმხრო **ქოლხიდის** ერისთავები და **დავით ქურაპალატის** დახმარებით **აფხაზეთის** მეფეთ გამოაცხადა ახალგაზდა **ბაგრატი**, რომელიც დაჯდა **ქუთაისში** ტახტზე **ბაგრატ** მესამის სახელით 980 წელს. **ამ** რიგათ შეერთდა უომრათ და სისხლ დაუღვრელათ **საქართველოს** უმეტესი ნაწილი: **ქართლი, მესხეთი** და **კოლხიდა**; დარჩა განზე მხოლოთ **კახეთი**. **ამ** დიდებულ დღიდან იწყება **საქართველოს** ძლიერება და ბრწყინვალე ხანა.

დავით ქურაპალატმა მიაშველა ჯარი და იხსნა **დაღუპვისაგან ბიზანტიის** იმპერია. **მანვე** ააგო **ქლარჯეთში** ღვთისმშობლის სახელზე **ხახულის დიდებული** ტაძარი, რომელიც დაცულია დღემდი. **იგი** უუდიდესი და **უუმშვენიერესი** ტაძარია მთელ **საქართველოში**. **ხახულის** ღვთის მშობლის დიდებული ხატი ამ ჟამათ ასვენია **ბელათის** მონასტერში და თავის მაღალი ხელოვნებით განცვირფებაში მოყავს ევროპის მეცნიერნი. **დავითმა** ააგო აგრეთვე **ჯავახეთში ზარხმის შესანიშნავი ეკლესია**.

---

23. თორნიკე ერისთავი ⁂ ივერიის მონასტერი.

დავით ქურაპალატის დროს თავი ისახელა **მესხეთის** ერისთავმა დიდმა **თორნიკემ**. **ეს** იყო **დავით** მეფის სპასალარი, ე. ი. ჯარების უფროსი. **მან** დიდი ამაგი დასდო **სამშობლოს**. **მოხუცობის** დროს **თორნიკე** შევიდა **ბერათ ივერიის** მონასტერში და იწოდა **იოანეთ**.

ამ დროს აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს მისი მცირე აზიის მართველი **ბარდა სკლიაროსი**. მან გამოაცხადა თავისი თავი მეფეთ, დაიმორჩილა ძალით თუ ნებით მცირე აზიის ქვეყნები, დაამარცხა რამდენჯერმე იმპერატორის ჯარები და დიდი მხედრობით წამოვიდა კოსტანტინეპოლისკენ მთელი ბიზანტიის დასაპყრობათ. ამ საშინელმა ამბავმა თავზარი დასცა ბიზანტიის იმპერატორს. მან სთხოვა დახმარება **დავით** კუროპალატს და მოციქულათ გაუგზავნა ბერათ შემდგარი **თორნიკე**. **დავით** მეფემ შეიწყნარა იმპერატორის თხოვნა და მიაშველა 12 ათასი რჩეული მეომარი თვით **თორ**ნიკეს მეთაურობით. ამათ და ბიზანტიის ჯარმა ერთათ საშინლათ დაამარცხეს გამდგარი **სკ**ლიაროსი და წაართვეს დიდი ალაფი. ამ რიგათ ქართველებმა იხსნეს მთელი ბიზანტია დიდ განსაცდელისაგან. უზომოთ გახარებულმა იმპერატორმა უბოძა **დ**ავით მეფეს მრავალი ქვეყანა, დაასაჩუქრა უხვათ ქართველი ჯარი, თვით **თ**ორ-ნიკეს მისცა აურაცხელი ქონება.

ეს დიდი განძი **თ**ორნიკე ერის თავმა მოახმარა **ივ**ერიის **მონასტერს**. მან ფრიად გაამშვენიერა ეს მონასტერი. **თ**ვით **ი**ვერიის მონასტერი დაარსა **ათონის** მთაზე ანუ **მთაწმინდაზე** მაკედონიაში (**ს**აბერძნეთში) მეცხრე საუკუნეში ქართველმა ბერმა **ათანასე დიდმა**. ეს დიდებული მონასტერი გადიქცა შემდეგ **ქართველთა აკადემიათ**. აქ იგზავნებოდენ უმაღლეს სწავლის მისაღებათ ქართველი უუნიჭიერესი ახალგაზდები. მეათე და მეთერთმეტე საუკუნეში აქ მოღვაწეობდენ ქართველი მეცნიერი ბერები, რომელთაც აიყვანეს ქართული ენა, მხატრობა, გალობა, თარგმანება და საერთოთ

მწერლობა უმაღლეს წერტილამდი. მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყვენ **იანე ბერი, მიქელ მოდრეკილი, ექვთიმე** და **გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე** და **იოანე პეტრიწი ფილოსოფოსი**.

---

24. მეფეთ-მეფე ბაგრატ მესამე. (980—1014 წ.).

ბაგრატ მესამე გამაგრდა დასავლეთ საქართველოს ტახტზე და ხელი მიყო ქვეყნის გონივრულათ მართვა-გამგეობას. ის გამოდგა მეტათ ნიჭიერი მეფე, მასთან შესანიშნავი სარდალი. ბაგრატს გადუდგა ძლიერი ერისთავი **რატი ორბელიანი**, მაგრამ სასტიკათ დაამარცხა იგი და დაიმორჩილა. თავის მამა ბურგენის და ბამბილ დავითის სიკვდილის შემდეგ მან შეიერთა **ქართლი** და **მესხეთი**, ამ რიგათ **გააერთიანა საქართველო**; მხოლოთ ქახეთი დარჩა განზე. ბაგრატ მესამეს მიეცა **მეფეთ-მეფობის ხარისხი**; ეს ხარისხი შერჩათ შემდეგ მეფეებს. ამ დიდებულმა მეფემ განიზრახა ქახეთის შემოერთება. ამ დროს ქახეთში მეფობდა **დავით ქორიკოზი**. ბაგრატმა დაამარცხა იგი და ძლევამოსილი ჯარებით დაიპყრო მთელი ქახეთი, რითაც მოხდა **სრული გაერთიანება მთელი საქართველოსი**. ამ გაერთიანებამ საქართველო მალე გააღონიერა. ამის შემდეგ ბაგრატი მედგრათ შეებრძოლა არაბთა ემირს **ფადლონს**, დაამარცხა საშინლათ და განდევნა არაბნი საქართველოდან. არაბებს შერჩათ მხოლოთ თფილისი თავის მაგარი ციხეებით. ამ რიგათ **ბაგრატ მეფემ გა-**

ათავისუფლა საქართველო არაბთა ხანგრძლივ ბატონობისაგან.

ბაგრატის მეფობა აღინიშნება კიდევ ხუროთმოძღვრების დიდებული ნაშთებით. მან ააგო აფხაზეთში **ბედიის მშვენიერი ტაძარი** და სამეგრელოში **მარტვილის მონასტერი,** აგრეთვე შესანიშნავი ტაძრები ატენის, წვიმოეთის, ვერიის მონასტერი და სხ. მაგრამ ხელოვნების ნამდვილ საკვირველებას წარმოადგენდენ **ქუთაისის დიდი ტაძარი** და მცხეთაში განახლებული **სვეტიცხოვლის ტაძარი**. ამ ორი ტაძრის ასაგებათ ბაგრატმა მოიწვია საუკეთესო ხუროთმოძღვრები. სვეტიცხოვლის კედლები და გუმბათი ააგო მწვანე ქვისაგან, შიგნით მოწყობილობა შეამკო ძვირფასი თვლებით და მარგალიტებით. მაგრამ ყველაზედ უფრო დიდებული და მშვენიერი იყო **ქუთაისის ტაძარი**; მისი მაღალი კედლები იყო გაკეთებული თეთრი მარმალილოსაგან და შემკული მეტათ ხელოვნური ჩუქურთმებით. მისი სიმშვენიერე იყო პირდაპირ აუწერელი და ნათლათ გვამცნევდა ძართველი ერის განათლებას და ძლიერებას. დღესაც ამ ტაძრის ნანგრევებს აღტაცებაში მოყავს ევროპის მეცნიერნი. ამ დიდებული ტაძრის აგება ბაგრატმა დაიწყო 1003 წელს; იგი დაამთავრა მისმა რძალმა ბიზანტიის იმპერატორის ასულმა **ელენემ**.

25. ბაგრატ მეოთხე ⁊ თურქების პირველი შემოსევა. (1027—1072 წ.).

ბაგრატ მესამის შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა მისი 18 წლის ვაჟი **გიორგი პირველი.** ეს იყო რაინდი მეფე, ე. ი. გულკეთილი, გამბედავი და კარგი მეომარი. გიორგის გადუდგენ ქახეთის დიდებულნი და თავიანთ მეფეთ გამოაცხადეს **კვირიკე**. ამავე გიორგის გაუმართა დიდი ომები ბიზანტიის იმპერატორმა. ამ ომებში ჯერ იმარჯვებდენ ქართველები, შემდეგ კი მეფის წინდაუხედაობით წააგეს ბრძოლაჲ ამ რიგათ ბიზანტიელებმა წაგვართვეს მესხეთის ორი მესამედი ნაწილი.

გიორგი გადაიცვალა 1027 წელს; ტახტზე ავიდა მისი 9 წლის ვაჟი **ბაგრატ მეოთხე**, რომელიც შემდეგ დაემოყვრა ბიზანტიის იმპერატორს და ითხოვა ცოლათ მისი დისწული **ელენე**. ლიპარიტ ორბელიანის რჩევით ბაგრატმა მოისურვა არაბთა განდევნა თფილისიდან. ის დიდი ჯარით შემოერტყა ქალაქს და ორი წლის განმავლობაში ისე შეავიწროვა არაბნი შიმშილით, რომ არაბთა ემირი აპირობდა ჩუმათ გაპარვას და თფილისის მიტოვებას. მაგრამ ამ დროს ლიპარიტის ძტერთა შთაგონებით ბაგრატმა მოულოდნელათ ახსნა ალყა თფილის, დაეცა ქახეთის მეფეს, წაართვა მრავალი ციხე და დასწვა მისი დიდებული სასახლე. ამ საქციელით ბაგრატმა მეტათ გაარისხა ლიპარიტ ორბელიანი, რომელიც ამ დღიდან გადაემტერა მეფეს და მიაყენა მრავალი ზიანი.

Ცოტა ხნის შემდეგ ბიზანტიასა და საქართველოს მოადგენ საშვალო აზიიდან მოსული ნახევრათ ველური ხალხი **სელჯუკის თურქები.** მათ დასცეს აზიაში არაბთა ძლიერება, დაიპყრეს მრავალი ქვეყანა, წაართვეს ბერძნებს მთელი მცირე აზია და 1064 წელს მოადგენ ჩვენს ქვეყანას. საქართველოს შემოესია ურიცხვი ჯარით თურქების სულთანი **არპასლანი** და გააოხრა ერთიანათ ქართლი და მესხეთი. ქახეთის მეფე აღსართანი თავის ნებით დაემორჩილა მას. არპასლანს კინაღამ ტყვეთ ჩაუვარდა ბაგრატ მეფე თავის ცოლ-შვილით. ბაგრატი გახდა თურქთა მოხარკეთ. შემდეგ არპასლანმა შეირთო ცოლათ ბაგრატის დისწული და დაუმეგობრდა მეფეს. ბოლო წლებში ბაგრატი აღარ აძლევდა მას ხარკს, მხოლოთ უგზავნიდენ ერთმანეთს ფეშკაშებს. 1072 წელს მიიცვალა ბაგრატი და ტახტზე ავიდა მისი შვილი **გიორგი მეორე.**

---

26. გიორგი მეორე და თურქების მეორე შემოსევა. (1072—1089 წ.)

გიორგი მეორემ ვერ გაამართლა ქართველი ერის იმედები. თუმც ის იყო მეტათ ლამაზი და ახოვანი კაცი, კარგი შვილდოსანი, სულით და გულით რაინდი, მაგრამ იმავე დროს მოქეიფე, უდარდელი, უზნეო და თავმიცემული. ქეიფსა და ნადირობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა იგი, ვინემ სამეფო საქმეებს. ამიტომ მის მეფობაში საქართველო აიწეწა როგორც შიგ-

ნით, ისე გარედან. შიგნით აუჯანყდენ მეფეს ზოგიერთი დიდებულნი, გარედან კი ხელმეორეთ შემოესიენ ველური თურქები და ააოხრეს ქვეყანა.

ბიორგი მეორის დროს შეწყდა მეგობრული კავშირი თურქთა და ქართველ მეფეთა შორის, ამიტომ დაახლოვებით 1080 წელს საქართველოს თავს დაატყდა საშინელი რისხვა: უთვალავი ჯარით მას შემოესია სელჯუკის თურქთა სულთანი **მალექ-შაჰ** (არპასლანის შვილი). სულთანს მიეგება ქვეყნის მოღალატე ივანე ორბელიანი და განუცხადა მორჩილება; ასევე მოიქცა ქახეთის მეფე აღსართანი. მტრის მოწინავე რაზმებს მხნეთ დახვდა ბიორგი მეფე და დაამარცხა, მაგრამ ამ მცირე გამარჯვებამ ვერ უშველა ქვეყანას: მალექშაჰს სარდალმა საშინლათ დაამარცხა ბიორგი. მტერს დარჩა დავლათ ქართველი ჯარის მთელი ბანაკი და ბიორგი მეფის აუარებელი განძი, რამაც ფრიად გააოცა თურქები.

თურქები კალიასავით მოედვენ ჩვენ სამშობლოს. მათ ცეცხლსა და მახვილს მისცეს ყველაფერი. ბიორგი მეფემ თავს უშველა იმერეთში. თურქების მხეცობას ვერ გადურჩენ ვერც ქალი და კაცი, ვერც ყრმა და მოხუცი. მთელ საქართველოში დათარეშობდენ ეს ველურთა ბრბონი და ცარცვავდენ ქვეყანას. თავზარ დაცემული ხალხი გარბოდა ტყესა და მთებში, იქ ხდებოდა შიმშილის და ნადირთა ხსვერპლი.

ამ დროს მოხდა საშინელი მიწისძვრა, ერთ წელიწადში განმეორდა რამდენჯერმე და მოსპო ის, რაც გადარჩათ თურქებს. ქართველი ერი დაეცა სულით გაიხრწნა ზნეობით; მან დაკარგა მომავლის იმედი. მაგრამ ამ საერთო უბედურობის დროს იფეთქა განათლებულ დი-

დებულთა წრეში **სამშობლოს სიყვარულმა.** ამ წრემ მოისურვა ქვეყნის ხსნა დალუპისაგან. ეს დიდებულნი ნათლათ ხედავდენ, რომ საქართველოს უშველიდა მხოლოთ **ძლიერი მეთაური, გენიოსი მეფე;** ასეთი იყო ტახტის მემკვიდრე **დავითი.** ამის გამო დიდებულებმა აიძულეს **ბ**იორგი მეფე გადამდგარიყო და ტახტი დაეთმო თავის შვილისათვის. **ბ**იორგი დაემორჩილა დიდებულთა სურვილს 1089 წელს განადგურებულ საქართველოს ტახტზე ავიდა 19 წლის **დავითი.**

---

27. დავით აღმაშენებელი. (1089—1125 წ.)

თურქების შემოსევის შემდეგ საშინელ სურათს წარმოადგენდა სისხლით მორწყული საქართველო; გადამწვარი სოფლები და ქალაქები, გატიალებული მინდვრები და ვენახები, დარბეული და ფეხქვეშ გათელილი ქვეყანა, ტყე-ღრეში შემალული ხალხი. ყოველივე ამას დასჩხაოდენ გულსაკლავათ ყვავ-ყორნები და შეექცეოდენ დახოცილ ქართველებით. ამ საშინელ ნანგრევთა შორის მწარე დუდუნით მოსჩქეფდენ მდინარენი და გორაკებიდან მოჩანდენ მდუმარეთ დიდებული ტაძრები, რომელთა სიდიადე-სიმშვენიერეს მოეხიბლა ველური თურქი; მათ ვერ შეხებოდა შესამუსრავათ მტარვალის მურდალი მარჯვენა...

ამ დროს ტახტზე ადის დიდებული მეფე **დავით,** იმდენათ ახოვანი და მშვენიერი გარეგნობით, რამდენათაც სულით ძლიერი და ნიჭით მაღალი, მასთან ფრიად

განათლებული და მწერლობის მოტრფიალე. ჯაბუკმა მეფემ მაშინვე დაიახლოვა საუკეთესო მამულიშვილნი და განათლებული პირნი, მათი დახმარებით მხნეთ შეუდგა დანგრეულ სამშობლოს აღდგენას და ქართველი ერის დაღუპისაგან გადარჩენას. ყველაზე უწინ დავითმა შეაჩერა თურქების თარეში თავის საკუთარ ხაზინიდან ხარკის ძლევით; ამ რიგათ ააცდინა ქვეყანას ყოველწლიური დარბევა. შემდეგ მთებიდან ჩამოიყვანა შეშინებული ხალხი და დაასახლა ძველ ბინაზე. აშენდა თანდათან სოფლები და ქალაქები, აბიბინდა მინდვრები პურის ყანებით, შეიმკო ბაღები ხეხილით და ვენახებით. მთელ საქართველოში დატრიალდა ახალი სიცოცხლე. დიდხანს მთა-ტყეებში ყოფნის დროს დასნეულდა მრავალი ქალი და კაცი. დავითიმა ააგო მათთვის საავათმყოფოები, ხშირათ ნახულობდა მათ, ანუგეშებდა ტკბილი სიტყვით, უვლიდა და თავის ხელით ასმევდა წამალს.

ამის შემდეგ დავითი შეუდგა მხნეთ დანგრეულ ციხე-კოშკების და მონასტრების აღდგენას, მოკლე დროში შეასრულა ეს მძიმე საქმეც. ამასთან ერთათ მან გაიყვანა არხები და გზატკეცილები, ააგო ხიდები და ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას. მეფეს არ ქონდა მოსვენება; მთელი მისი დრო ჩანთქა საქართველოზე ზრუნვამ. ამგვარი ზრუნველობით ქართველი ერი დამშვიდდა, მოსულიერდა, აყვავდა ნივთიერათ, გამრავლდა და გაღონიერდა. მეფე აღტაცებით შეტრფოდა ამ თავის მოქმედების ნაყოფს და ელოდა მარჯვე დროს, რომ გაედევნა საქართველოდან თურქები, ამ რიგათ მოეშორებია ქვეყნისთვის მონობის მძიმე უღელი. ეს ჟამიც მალე დადგა. მეფე საოცარის უნარით

შეუდგა ამ გმირულ საქმეს. **ამ** დღიდან მისი უმთავრესი მიზანი შეიქნა **მტარვალთა განდევნა** და **სამშობლოს თავისუფლება**.

28. თურქების განდევნა საქართველოდან.

დავით მეფე რომ ამგვარ ზრუნვაში იყო თავის ქვეყნის შესახებ, ამ დროს მოკვდა თურქების სულთანი მალექ-შაჰ და დანაწილდა მისი უზარმაზარი სახელმწიფო. **მ**ის მემკვიდრეთა შორის ჩამოვარდა შური და უთანხმოება, რამაც საკმაოთ დაასუსტა თურქები. **ამ** მარჯვე დროთი შესანიშნავათ ისარგებლა **დ**ავითმა. **მ**ან ჯერ მოუსპო თურქებს ხარკის ძლევა, შემდეგ შეკრიბა ჯარი და გაუმართა სამშობლოს მტერთ მედგარი ბრძოლა. **თ**ურქთა დიდი ურდოები ბინადრობდენ **მ**ტკვრის ხეობაში. **დ**ავითი თავის მამაცი ჯარით დაესხა მათ რამდენჯერმე და სასტიკათ დაამარცხა. **ქ**ართველთა ასეთმა სიმამაცემ და ზედი-ზედ გამარჯვებამ თავზარი დასცა თურქებს. **ი**მათ შესჩივლეს თავიანთ სულთან **მამედს**. **მ**რისხვანე სულთანმა გამოგზავნა **ს**აქართველოში ურიცხვი ჯარი; ისინი დაბანაკდენ **თრიალეთს**. **დ**ავითმა უცებ შეკრიბა 1500 საუკეთესო მეომარი, ელვასავით გაჩდა თრიალეთს, დაეცა ღამით ჩუმათ თურქების ბანაკს და საარაკოთ დაამარცხა მტერი. **ქ**ართველებს დავლათ დარჩა აუარაცხელი განძი. **გ**აბრაზებულმა სულთანმა გამოგზავნა კიდევ უფრო დიდი ლაშქარი, რომელიც დაბანაკდა **ზემო ქართლს**. **დ**ავითმა შეკრიბა საკმაო ჯარი, დაესხა მოულოდნელათ თურქებს და მიაყენა საშინელი დამარცხე-

ბა. მრავალი ტყვე და დავლა დარჩათ ქართველებს. ამ გამარჯვების შემდეგ დავითმა გაყო თავისი ჯარი რამდენიმე რაზმათ და შეესია თურქების ქვეყანას, გაიმარჯვა მტერზე, დაიპყრო **განჯა**, **შირვანი** და გაწმინდა თურქებიდან მტკვრისა და არეზის ხეობა. დიდმა მეფემ ჩაიგდო ხელში თურქების მაგარი ციხეები და იმდენი დავლა, რომ გაივსო ქონებით მთელი საქართველო.

ახლა თურქებს დაუდგათ უარესი დღე. მათ გამწარებას არ ქონდა საზღვარი. ისინი შავათ შემურული წარსდგენ თავიანთ სულთნის წინაშე, დაემხენ მის წინ და ცრემლით შეევედრენ შველას. ბრაზმორეულმა სულთანმა შეკრიბა თავის საბრძანებელში საუკეთესო ჯარი, რიცხვით **200 ათასი მეომარი**, გაყო სამ დიდ რაზმათ და საუკეთესო სარდლების მეთაურობით გამოგზანა საქართველოს მოსასპობათ. ეს დიდი ჯარები სამი გზით შემოვიდენ საქართველოში და დაბანაკდენ ერთი **თრიალეთს**, მეორე **მანგლის** და მესამე **დიდგორს**. გმირმა დავითმა სწრაფათ შეკრიბა 55 ათასი მეომარი, ეკვეთა მტერს და საშინლათ დაამარცხა სამივე ალაგს. შემდეგ გაედევნა უკან, შეესია თურქების ქვეყნებს, დაარბია ისინი და თან წამოიღო დავლათ იმდენი ქონება, რომლის მგზავსი არას დროს არ ენახათ ქართველებს. დავით მეფის ასეთმა საარაკო გმირობამ თავზარი დასცა თურქებს. ამიერიდან იმათ მიეცათ ქართველი ერის დიდი შიში. დავითმა გააფართოვა საქართველოს საზღვრები შავი ზღვიდან ქასპის ზღვამდი, ქავკასიონის ქედიდან არეზამდი და გაამაგრა ყოველი კუთხე ციხეებით და მეციხოვნე ჯარით.

29. ქახეთის შემოერთება და არაბთა განდევნა თბილისიდან.

თურქების განდევნით და ადგილების წართმევით არ დაკმაყოფილდა დიდი მეფე; დავითი შეუდგა საქართველოს **გაერთიანებას**. საჭირო იყო ქახეთის და თფილისის შემოერთება. ქახეთი შეიცავდა იმ დროს ცალკე სამეფოს, რომლის მეფე **ალსართანი** იყო ყოვლათ უზნეო კაცი. თფილისი კი ეკავა ისევ არაბებს. ქახეთის დიდებულებმა სტაცეს ხელი თავიანთ ულირს მეფეს, მიგვარეს დავითს გასასჯელათ და სთხოვეს ამ ქვეყნის შეერთება. დავითი სიამოვნებით დათანხმდა და შეიერთა ქახეთი. ამის სახსოვრათ დავითმა აგო **გელათის დიდი მონასტერი**, ქუთაისიდან 9 ვერსის მანძილზე, და შეამკო უმთავრესი ტაძარი იშვიათი ხელოვნებით.

ამ დიდი საქმის შემდეგ დავითი შეუდგა თფილისის აღებას; შემოარტყა ალყა და ორი წლის შემდეგ იერიშით აიღო იგი. მეფემ დანიშნა თფილისი თავის შვილების სამყოფელ ქალაქათ, დაამშვიდა მცხოვრებნი, მოსჭრა ფული და დიდის პატივით მოეპყრო არაბთა მწერალთ; შემდეგ დაბრუნდა ისევ ქუთაისს, რომელიც იყო მისი სატახტო ქალაქი. ცოტა ხნის შემდეგ დავითს წარუდგენ სომხეთის წარჩინებული პირნი, სთხოვეს მიეღო მათი ქვეყანა თავის მფარველობის ქვეშ და ამ რიგათ ეხსნა სომხეთის ერი თურქთა ძალადობისაგან. სომეხთა სატახტო ქალაქ **ანში** იჯდა ემირათ **აბულსევარი** და საშინლათ ავიწროებდა ხალხს. მეფემ შეიწყნარა სომხების ვედრება და ძლიერი რაზმით გაემართა ანისკენ.

აბულსევარი შეშინდა და დამორჩილდა დავითს უომრათ. დავითი დიდის ზეიმით შებძანდა ანში; სომეხთა აღტაცებას არ ქონდა საზღვარი. ამ რიგათ დავითმა შეიერთა სომხეთის ჩრდილო ნაწილი.

30. საქართველოს გაძლიერება.

დავითმა თავი ისახელა არა მარტო სამშობლოს გათავისუფლებით, მტრის შემუსვრით და საქართველოს საზღვრების გადიდებით, მან ჩაიდინა კიდევ უფრო დიდებული საქმე, ე. ი. **გააძლიერა ქართველი ერი ნივთიერათ და სულიერათ.** მტრის განდევნას, მეტადრე მის შეჩერებას და ფართო საზღვრების დაცვას ეჭივრებოდა კარგათ გაწვრთნილი დიდი მხედრობა, ამიტომ დავითმა დაარსა **სამუდამო ჯარი**, რიცხვით **60 ათასი კაცი.** ეს ჯარი შესდგებოდა როგორც **ქართველთაგან**, ისე **ყიფჩაღთაგან.** ამ მიზნით მეფემ გადმოასახლა ჩრდილო კავკასიიდან ეს მეომარი ხალხი, რიცხვით **40 ათასი ოჯახი** და დააბინავა მტკვრის ხეობაში. ამ სამუდამო ჯარში შედიოდა აგრეთვე გაქრისტიანებულ მონათაგან შემდგარი რაზმი, ანუ **მონასპა**, რიცხვით **5 ათასი კაცი.**

თურქების შემოსევას ბიორგი მეორის დროს მოყვა ქართველი ერის დაცემა ზნეობით და სარწმუნოების დაქვეითება. ამის გამო დავითმა მოიწვია განათლებულ და სასულიერო პირთა დიდი კრება, რომლის მეოხებით დიდმა მეფემ გაწმინდა სარწმუნოება, შეადგინა კანონები და გადააყენა თანამდებობიდან უზნეო პირნი. ამავე

დროს **Დავ**-თმა გაათავისუფლა სახელმწიფო ბეგრისაგან სასულიერო წოდება და საეკლესიო გლეხები, თავის მოძღვარს კი ყოველ დღე აძლევდა ფულს ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა დასარიგებლათ. **Დ**ავითი იყო მეტათ კეთილი ადამიანი; იგი დიდის პატივით ეპყრობოდა ყველა ხალხის სარწმუნოებას და ზნე-ჩვეულებას. **მ**ის მეფობის დროს ურიცხვი სომეხი გადმოსახლდა საქართველოში და ხელი მიყო აღებ-მიცემობას.

Დავით მეფის უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული ქართველი ერის სწავლა-განათლებაზე; ამ მიზნით მან **დ**აარსა მრავალი **შკოლა** და **სამი აკადემია**. **ბ**არდა ამისა ქართველ უნიჭიერეს ახალგაზდებს მეფე თავის ხარჯით გზავნიდა **ბ**იზანტიას უმაღლეს სწავლის მისაღებათ. **ა**მ დიდებულ მეფის წყალობით ქართველი ერი აყვავდა, ნივთიერათ, გამრავლდა და განვითარდა. **ქ**ართველთა რიცხვი ავითა **სამ მილიონამდი**; აგრეთვე **სამ მილიონამდი** იყო სხვა დაპყრობილი ხალხები.

ამდენმა შრომამ და ქვეყნის ზრუნვამ დაქანცა **დ**ავითი; მან თითქო იგრძნო სიკვდილის მოახლოვება; აკურთხა მეფეთ თავის უფროსი ვაჟი **დიმიტრი** და რამდენიმე დღის შემდეგ გადაიცვალა. **დ**ავითმა განისვენა **24 იანვარს 1125 წელს** და დიდის დიდებით იქნა დასაფლავებული **ბ**ელათის მონასტერში, ხურვალეთ დატირებული ქართველი ერისაგან. **ე**კლესიამ იგი შერაცხა **წმინდათა შორის**, ისტორიამ **დ**ავითი სცნო **საქ**ართველოს **უუდიდებულეს მეფეთ,** ქართველმა ერმა მას უწოდა **აღმაშენებელი.**

31. დიმიტრი პირველი და გიორგი მესამე. (1125—1184 წ.).

დიმიტრის ხელში გადვიდა ძლიერი სამეფო. გარეშე მტრები ვერაფერს უბედავდენ. ამიტომ ქართველი ერი სტკბებოდა ყუდრო ცხოვრებით და ვითარდებოდა ნივთიერათ და გონებრივათ. სიბერის დროს მეფეს აუჯანყდა მისი უმცროსი ვაჟი **დავითი** და ორბელიანთა დახმარებით ავიდა ტახტზე. დიმიტრიმ აკურთხა იგი მეფეთ, თვითონ კი შესდგა ბერათ ბელათის მონასტერში.

დავითს არ უმეფია დიდხანს; ის გადაიცვალა დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ. სიკვდილის დროს მან მიიწვია თავისი ძმა გიორგი, ათალიკოსი და დიდებულნი, ჩამოართვა მათ ფიცი, რომ არ უღალატებდენ მის პაწაწა შვილს **დემნას** და აკურთხებდენ მეფეთ, როცა ასაკში მოვიდოდა.

დაასაფლავეს თუ არა დავითი, ტახტზე ავიდა მისი ძმა **გიორგი მესამე**; მან გაიმეორა ფიცი, რომ ტახტს დაუთმობდა დემნას, როგორც კი გაიზდებოდა, მით უმეტეს, რომ გიორგი უშვილო იყო. ცოტა ხნის შემდეგ მეფეს გაუჩდა ქალი **თამარი**. შვილის შეძენამ მას შეუცვალა აზრი. დემნას მაგიერ მეფემ მოისურვა თავის ქალის გამეფება, რასაც მოყვა დიდი უბედურება.

გიორგი მესამე იყო მეტათ ზვიადი და სისხლის მღვრელი ადამიანი. თავის ხანგრძლივ მეფობაში მან ბევრჯერ გაილაშქრა თურქთა და სპარსთა წინააღმდეგ, ყველგან სასტიკათ დაამარცხა მტერი და ასახელა ქართველთა იარაღი. გიორგიმ კიდევ უარესი შიშის ზარი დას-

ცა შინაურებს. მან გამოიჩინა თავის ძმისწულ დემნასა და ორბელიანთა მიმართ საშინელი მხეცობა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე დემნა დავაჟკაცდა, ის დაემგზავსა ნიჭით და გარეგნობით თავის პაპა დავით აღმაშენებელს. დემნამ მოსთხოვა ტახტი ბიძას; გიორგიმ უარი შეუთვალა. მაშინ ზოგიერთ დიდებულთა დახმარებით დემნამ მოახდინა **შეთქმულება** გიორგის წინააღმდეგ. გიორგიმ გაიგო ეს, სწრაფათ შეკრიბა დიდი ლაშქარი, ეკვეთა შეთქმულებს, დაამარცხა, შერეკა **ლორის ციხეში** და ისე შეავიწროვა შიმშილით, რომ შეთქმულები იძულებული გახდენ დამორჩილებოდენ მეფეს. აქ კი საზარელი სიცხეცე ჩაიდინა გიორგიმ; მან წამებით მოკლა თავის ძმისწრული დემხა და ამოსწყვიტა სრულიათ ორბელიანთა გვარი, (მხოლოთ ერთი გადარჩა სპარსეთში). ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ აკურთხა მეფეთ თავის ასული **თამარი** და გადაიცვალა 1184 წელს.

---

32. თამარ მეფე. (1184—1212 წ.).

მეთორმეტე საუკუნის ბოლო ხანებში საქართველოს სამეფო ტახტი გააშუქა ბრწყინვალე ვარსკვლავმა, ეს იყო **თამარ მეფე**. სიმშვენიერით, სიბრძნით, ნიჭით და გულკეთილობით თამარი აღემატებოდა თითქმის ყველა დროისა და ქვეყნის ქალებს, რომელთაც კი დაუდგამთ თავზე მეფის გვირგვინი. არცერთ მეფეს არ აუგია იმდენი ტაძარი, რამდენიც თამარს; არავის არ შეუწირავს ეკლესია-მონასტრისთვის იმდენი განძი, რაც თამარ მე-

ფეს; არავის არ განუკითხავს ასეთი სიუხვით ქვრივ-ობოლი, როგორც ამ იშვიათ ადამიანს. ამ დიდებულმა მეფე ქალმა მოსპო მთელ საქართველოში კაცის სიკვდილით დასჯა და დასახიჩრება. ეს მაღალ ზნეობრივი საქციელი თამარმა ჩაიდინა იმ დროს, როცა არაფრათ აფასებდენ ადამიანის სიცოცხლეს და ყველგან რაიმე დანაშაულისთვის ანსჭრიდენ თავს, ან ასახიჩრებდენ სამუდამოთ თვალების დათხრით, ენის ამოგლეჯით და ხელ-ფეხის მოკვეთით.

თამარი აღზარდა მამიდა რუსუდანმა, ფრიად განათლებულმა ქალმა. თამარის სიმშვენიერე იყო აუწერელი. დიდის ზეიმით აკურთხა მეფეთ ეს ქალი თავისმა მამამ, გიორგი მესამემ. ანტონ ჭუთათელმა დაადგა მას თავზე ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო გვირგვინი, რაჭის ერისთავმა შემოარტყა წელზე ხმალი, მეფემ კი მისცა ხელში სკიპტრა; მიქელ ქათალიკოსმა უკურთხა გვირგვინი, დიდებულებმა შემოსეს სამეფო სამოსელით და დასვეს ტახტზე. გაიმართა ლიტანია. მშვენიერ მეფის წინაშე ერთგულობის ფიცი მიიღეს გიორგი მესამემ, ქათალიკოსმა, ეფისკოფოზებმა, ვეზირებმა, დიდებულებმა, მხედრობამ და სრულიათ საქართველოს ხალხმა. თამარმა მოატანია აურაცხელი საუნჯე და უხვათ დაურიგა დავრდომილთ, ქვრივ-ობოლთ, ხალხსა და ლაშქარს. მანვე დაასაჩუქრა აგრეთვე თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. გაიმართა დიდებული ნადიმი; ილხენდა ქართველი ერი.

ეკურთხა თუ არა მეფეთ, თამარმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია კანონს; მან აკრძალა სამეფოში უსამართლობა და ძალმომრეობა. ეს იყო პირველი ნა-

ბიჯი მისი ბრძნული მოქმედებისა. რამდენიმე წლის შემდეგ მიიცვალა გიორგი მეფე, თამარი შეიქნა საქართველოს ბძანებელი.

33. თამარ მეფის შინაური ცხოვრება.

ქართველი ერი ხარობდა, რომ მეფეთ ყავდა ასეთი დიდებული ადამიანი, მაგრამ ამავე დროს წუხდა, რომ თამარი რჩებოდა უქმროთ და არ ყავდა მემკვიდრე. თუმც თამარის სიმშვენიერით მოხიბლული იყვენ და მის ქმრობას ნატრობდენ ბიზანტიის იმპერატორის, სპარსეთის მეფის და დასავლეთ აზიის სულთნების შვილები, მაგრამ თამარი ყველას უარს ეუბნებოდა; მას არ სურდა გათხოვება. საქართველოს ყოველ კუთხიდან შეიკრიბენ დიდებულნი, ერის წარმომადგენელნი და მუხლმოყრით შეევედრენ თამარს, რათა აერჩია ქმრათ რომელიმე ღირსეული კაცი. თამარი მოლბა ამდენი თხოვნით; მას მოგვარეს საქმროთ **გიორგი რუსი**, რუსეთის დიდი მთავრის ანდრიას შვილი.

სამწუხაროთ გიორგი რუსმა ვერ გაამართლა დიდებულთა იმედები; მასში თავი იჩინა ველურმა ხასიათმა; იგი გალოთდა, გაირყვნა და ჩადიოდა არა კაცურ სიმკაცრეს და საქციელს. თამარი იძულებული გახდა განშორებოდა მას, როგორც ულირს ადამიანს. ჩასვეს გემში გიორგი რუსი და დიდი საჩუქრით გაისტუმრეს კოსტანტინეპოლს. თამარი კი, დიდებულთა სურვილის თანახმათ, მითხოვდა ოსეთის მთავრის შვილს **დავით სოს-**

ლანს, მამიდა **რუსუდანის** გაზდილს, რომლისაგან **თა-**
მარს შეეძინა ქალ-ვაჟი, **გიორგი ლაშა** და **რუსუდანი.**

Ცოტა ხნის შემდეგ **ბიზანტიის** ჯარით **ბიორგი** **რუ-**
სი მოადგა **მესხეთს** და მოისურვა **საქართველოს** ძალით
დაპყრობა. **მან** მიიმხრო **ქოლხიდა-მესხეთის ერისთავები**
და დიდის მხედრობით გადმოვიდა **ქართლში. თამარმა**
უცებ შეკრიბა ჯარები. **დავით სოსლანი** და ამირ სპა-
სალარი **ბამრეკელი** ამ ჯარებით ეკვეთენ მტერს და სა-
შინლათ დაამარცხეს. **ქოლხიდა-მესხეთის** დიდებულებმა
შეინანეს თავიანთი საქციელი და მორჩილება განუცხა-
დეს **თამარს. მეფე** ლმობიერათ მოექცა ყველას და აპა-
ტია მათი დანაშაული. **სვანებმა** მოგვარეს **თამარს ბიორ-**
გი **რუსი** ხელ-ფეხ შეკრული; **თამარმა** გაათავისუფლა
იგი და გაისტუმრა **საბერძნეთს.**

ამ ომში თავი ისახელა **ზაქარია მხარგძელმა. ბამ-**
რეკელის სიკვდილის შემდეგ **თამარმა** უბოძა მას **ამირ-**
სპასალარობა, ე. ი. მთელი ჯარების უფროსობა და
სამხედრო მინისტრობა.

---

34. შამქორის და ბასიანის ომი.

თამარის მეფობაში მოხდა რამდენიმე ბრძოლა; მათ-
ში **უფრო** შესანიშნავია **შამქორის** და **ბასიანის ომი.**

შამქორის ომი. სპარსეთი იყო გაყოფილი ძმებ **მორის**
სამ ნაწილათ. **შუათანა** ძმამ **აბუბეკერმა** წაართვა სამეფო
უფროს ძმას და ამასვე **უპირებდა** **უმცროს** ძმას **ამირმირმანს.**
ამირმირმანმა დახმარება სთხოვა **თამარს** **და** **შევიდა** **მის** **მფარ-**

ველობის ქვეშ. თამარმა შეკრიბა საუკეთესო ლაშქარი და გაემართა საომრათ. მეორე მხრით წამოვიდა აბუბეკერი ურიცხვი ჯარით. მისი მიზანი იყო საქართველოს დაპყრობა. ბრძოლა გაიმართა ბანჯის ახლოს **შამქორის ველზე**. ქართველთა გმირობამ და ზაქარია მხარგძელის სამხედრო ნიჭმა სძლია ურიცხვ მტერს. საშინლათ დამარცხდა აბუბეკერი; მან ძლივს მოასწრო გაქცევა. მთელი მისი ბანაკი, 12 ათასი ტყვე, აუარებელი ოქრო და თვალ-მარგალიტი დარჩათ ქართველებს. ქართველებმა ჩაიგდეს აგრეთვე ხელში ხალიფას დროშა, რომელიც თამარმა შესწირა ბელათში ხახულის ღვთისმშობელს.

ბასიანის ომი. ეს მეორე ბრძოლა იყო კიდევ უფრო საშინელი. ეს დიდი ომი გამოიწვია თამარის მიერ **ყარსის** დაჭერამ. ამ ძლიერ სიმაგრის წართმევამ მეტათ გააბრაზა მცირე აზიის სულთანი **ნუქარდინი**. მან შეკრიბა თავის ვრცელ საბძანებელში ურიცხვი ლაშქარი და წამოვიდა საქართველოს მოსაპობათ. ამასთან ერთად თავხედმა ნუქარდინმა მოსწერა თამარს ყოვლად უგვანო ბარათი, რომელშიაც გაკიცხა ჩვენი მეფე და მთელი საქართველო. ბარათის მომტანი პირველათ მიგვარეს ამირ სპასალარ ზაქარიას. დარბაისელი სპასალარი მეტათ გააცხარა, როგორც წერილის შინაარსმა, ისე მომტანის უზრდელმა სიტყვამ, გაუშალა ხელი და ისეთი სილა გააწნა ნუქარდინის ელჩს, რომ უგრძნოთ დასცა ძირს.

თამარის ბძანებით მაშინვე აფრინეს შიკრიკები საქართველოს ყოველ მხარეს და შეკრიბეს მრავალი ჯარი. ლაშქარმა იწყო დენა ვარძიის მონასტერთან. აქ თამარ მეფემ გადიხადა ლიტანია: შეავედრა ღმერთს ქართველი ჯარი, დალოცა იგი, ზაქარია მხარგძელის

და **Д**ავით **С**ოსლანის მეთაურობით გაგზავნა **ნ**უქარდინის წინააღმდეგ, თანაც მისწერა სულთანს შესაფერი პასუხი. **ბ**რძოლა მოხდა **ბ**ასიანს **ბ**ოლოსტიკის **ვ**ელზე, **ა**ზრუმის სიახლოვეს, სადაც ბანაკათ იდგა **ნ**უქარდინი. **ე**ს უზარმაზარი მინდორი მოფენილი იყო ერთიანათ მტრის კარვებით, უთვალავი ცხენით და ჯორ-აქლემებით. **ქ**ართველები არ შეუშინდენ თურქთა სიმრავლეს; ვით შევარდენი ეკვეთენ ისინი მტერს. **შ**ეიქნა ხელჩართული ბრძოლა. **მ**ზის შუქზე ელავდა ქართველთა ხმალი და მუსრავდა **თ**ურქებს. **ე**რთი მხრით მიესიენ მტერს იმერ-აბხაზნი, მეორე მხრით კი ქართლ-კახელნი. **შ**ედრკა **ნ**უქარდინის ჯარი; მან ველარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს, იბრუნა პირი და მოკურცხლა. **ყ**ველაზე წინ გარბოდა თავხედი **ნ**უქარდინი თავის ამალით. **მ**თელი ბანაკი და აუარებელი დავლა დარჩათ ქართველებს. **ო**ქრო-ვერცხლის და თვალ-მარგალიტის სიმრავლე იყო აუწერელი. **ზ**აივსო სიმდიდრით სამეფო ხაზინა; აივსენ ალაფით მხედრობა და დიდებულნი; აივსო **ს**აქართველო ტყვეთ წამოყვანილ თურქებით. **ე**ს ამოდენა დავლა **თ**ამარმა მოახმარა კეთილ საქმეებს, ქვრივ-ობლებს, ტაძრებს და მონასტრებს.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მთელმა **დ**ასავლეთმა **ა**ზიამ ქედი მოიხარა ქართველი ერის ძლევამოსილობის წინაშე. **ა**მიერიდან **თ**ამარს ადიდებდენ **ა**ზიის **მ**წერლები; მის მეგობრობას ნატრობდენ სულთნები და **ი**მპერატორები.

35. ტრაპიზუნის იმპერიის დაარსება და სპარსეთში გალაშქრება.

როგორც ვთქვით, თამარმა აურაცხელი სიმდიდრე შესწირა ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის უხვათ დაასაჩუქრა უცხოეთის ქართველი მონასტრები. ეს მონასტრები ურცხვათ გაკარცვა ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი მეოთხემ, ანგართ მოყვარე კაცმა. ამ საქციელით მან მეტათ გააცხარა თამარი. ჩვენი მეფე ეძებდა შემთხვევას სამაგიერო გადაეხადა. გაცარცულ მონასტრებს კი გაუგზავნა ისევ დიდი განძი. შემთხვევაც მალე მიეცა თამარს. რამდენიმე წლის შემდეგ ევროპის ჯვაროსნებმა აიღეს ძალით ბიზანტიის იმპერია. თამარმა მაშინვე გაგზავნა ძლიერი რაზმი, ჩამოართვა ბიზანტიას შავი ზღვის პირათ მრავალი ქვეყანა და დაარსა მათგან **ტრაპიზონის იმპერია**, რომლის იმპერატორათ დანიშნა თავისივე ნათესავი **ალექსი კომნენი**. ეს ახლათ დაარსებული იმპერია იყო თამარ მეფის მფარველობის ქვეშ.

ამ დიდმა საქმემ კიდევ უფრო გაზარდა და გააძლიერა საქართველოს სამეფო. მის მორჩილებაში იყვენ კავკასიონის ქედის ყველა ხალხები, **ოსები, ლეკები** და **ჩერქეზები, მთელი ამიერ კავკასია, მცირე აზიის** და **სპარსეთის ნაწილი.** ამ რიგათ საქართველო გადიქცა **სახელმწიფოთ,** რომლის მცხოვრებთა რიცხვი აღემატებოდა **რვა მილიონს,** ამათში **ოთხ მილიონზე მეტი იყო ქართველი,** დანარჩენი კი გარეშე ხალხები. ამის შემდეგ ქართველები სტკბებოდენ **ყუდრო** ცხოვრებით. მაგრამ ეს ტკბილი ცხოვრება ცოტა ხნით დაარღვია თა-

მარის ქმრის სიკვდილმა. ეს შესანიშნავი სარდალი და გულკეთილი ადამიანი მოაკლდა საქართველოს. მისი სიკვდილით ისარგებლა არდებილის სულთანმა და თვით აღდგომას დაეცა ანს, დაარბია საშინლათ ეს დიდი ქალაქი და გასწყვიტა 12 ათასი მცხოვრები. ამ ამბავმა თავზარი დასცა ქართველებს. თამარმა მაშინვე დაამშვიდა ანელები და სამაგიეროს გადასახდელათ გაგზავნა არდებილში დიდი ჯარით ზაქარია მხარგძელი. ზაქარია ჩუმათ მიეპარა არდებილს, დაეცა თურქებს სწორეთ მათ დღესასწაულზე და რისხვა ღვთისა მიაყენა მათ თავზე; დაარბია ეს მდიდარი ქალაქი, ამოსწყვიტა მრავალი თურქი და დიდის დავლით გამოიარა ანზე, რომლის მცხოვრებთ მისცა ამ დავლის ნახევარი.

ცოტა ხნის შემდეგ საუცხოოთ შეიარაღებული ქართველი ჯარი გაემართა სპარსეთს ქვეყნების დასაპყრობათ და დავლის შესაძენათ. ამ ჯარის ძლევა მოსილობას ვერ გაუძლო სპარსეთის სახელმწიფომ. ქართველებმა აიღეს მარანდა, თავრიზი, ყაზმინი და სხვა მრავალი ციხე-ქალაქი. უფრო შორს ველარ შესძლეს წასვლა დიდი ალაფის გამო და აუარებელ სიმდიდრით დატვირთული ქართველი ჯარი დაბრუნდა უკან. მას თფილისთან მიეგება თამარ მეფე თავის ამალით, ხალხით და დიდი ზეიმით შეუძღვა ქალაქში. მთელი საქართველო დღესასწაულობდა თავის ძლიერი მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვებას.

36. თამარის მოღვაწეობა და სიკვდილი.

უკვდავია და მრავალფეროვანი თამარ მეფის მოღვაწეობა არამც თუ მარტო საქართველოში, არამედ მთელ მის ვრცელ სახელმწიფოში. ეს გენიოსი ქალი იყო ნამდვილი დედა თავის ქვეშევრდომთა. თამარის დიდებული სახე მარხია **ერის გულში.** მას ერთგვარი სასოებით იხსენიებს როგორც ქართველი, ისე ავკასიის მთიელი, როგორც სომეხი, ისე სპარსელი. დაყრუებული არხები, წყლისაყვანები და დანგრეული ხიდები მოწმობენ თამარის ზრუნვას მეურნეობის ასაყვაებლათ, ავკასიონის ქედის მწვერვალებზე ამართული ტაძრები, რითაც მოფენილია ოსეთი, საჩერქეზო და დაღესტანი, მოგვითხრობენ თამარის მიერ ქრისტიანობის გავრცელებას მთის ხალხებში. შესანიშნავი **ვარძია, ციხე-დარბაზი** და მონასტრები **გუდარეთის, პითოარეთის, ქვაბთახევის,** და **ბეთანიის ტაძარი** გვამხელენ თამარ მეფის დიდებას და ქართველი ერის მაღალ ხელოვნებას. ერთი სიტყვით თამარ მეფე ისევ ცოცხალია ერის ხსოვნაში, ის წმინდანია, ღვთაებრივ მშვენიერი და უკვდაების შარავანდედით გარემოცული. თამარის დროს უმაღლეს წერტილამდი მიიყვანა ქართველი ერის პოლიტიკურმა და კულტურულმა ძლიერებამ, ე. ი. სამეფოს ძალამ, გონებრივმა და ნივთიერმა განვითარებამ. ამ დროს გაიზარდა ნამეტნავათ და გაძლიერდა საქართველოს მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა; ამ დროს მოირწყო უდაბური ადგილები, გაშენდა მრავალი დაბა-სოფელი და ქალაქი. ამ დროს აყვავდა ქართული ენა,

მწერლობა, პოეზია და ყოველგვარი ხელოვნება. თამართან ერთად ამ დროს წარმოშვა საქართველომ დიდებული **შოთა**. ამ დროსვე იყვენ გამოჩენილი მწერლები: **მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, ივანე შავთელი** და **ჩახრუხაძე**. ამ რიგათ თამარის მეფობის დროს დაერქვა **ოქროს ხანა**. მოკვდა თამარი და თითქო გაქრა ყველაფერი. თამართან ერთად ჩაესვენა საქართველოს დიდების მზე, დაბნელდა ირგვლივ და დაგვიდგა ტანჯვების გრძელი საუკუნე...

დაქანცა თამარ მეფე უზომო შრომამ და ზრუნვამ თავის სამშობლოს საბედნიეროთ. მისმა ნაზმა აგებულობამ ვერ შესძლო ამდენი ჯაფის ატანა და მოგზაურობა საქართველოს სხვა და სხვა მხარეებში. ადრე დასნეულდა ეს იშვიათი ადამიანი. იგი მძიმე ავათმყოფი შეიქნა ნაჭარმაგევს (ქართლში) და დიდი სიფრთხილით წამოასვენეს თფილისს. აქ თამარს თავს დაადგენ საუკეთესო ექიმები, მაგრამ ვერაფერი უშველეს. მაისის ვარდივით დაჭკნა მისი მშვენიერი სახე, მოდუნდა მისი თვალები. მომაკვდავ თამარს გარს ეხვიენ ქართველი ერი და სხვა ხალხთა წარმომადგენელნი. თავადი და აზნაური, გლეხი და ვაჭარი, ღვდელი და ბერი, ქალი და ბავში, ყველანი თავს დასტიროდენ თავის საყვარელ მეფეს, ღვრიდენ ხურვალე ცრემლს და გლოვდენ საქართველოს დედას და დიდებას. უკანასკნელათ აახილა თვალი თამარ მეფემ, დალოცა იქ დამსწრენი, ჩააბარა მათ თავისი შვილები, გიორგი ლაშა და რუსუდანი, შეავედრა ღმერთს საქართველო და მიიძინა საუკუნოთ. მან განისვენა **18 იანვარს 1212 წელს**. საშინელი გლოვის ზარი მოედვა საქართველოს. მთელი ერი მოსთქვამდა თამა-

რის დაკარგვას. მეფის ცხედარი ჯერ წაასვენეს მცხეთას, შემდეგ კი ბელათის მონასტერში. ხალხის გადმოცემით თამარი მარხია ვარძიაში, ნამდვილათ კი დღემდი არ იციან თუ სად ასვენია ეს დიდებული მეფე. ეს კი ცხადია, რომ თამარის სავანეა ქართველი ერის გული. ეკლესიამ იგი შერაცხა ნეტართა შორის, ერმა იგი შემოსა დიდების შუქით, უკვდაებით და უწოდა **თამარ მეფე**.

---

37. შოთა რუსთაველი.

შოთა დაიბადა დაბა **რუსთავში** (მესხეთში). იგი ადრე დაობლდა. ამ ფრიად ნიჭიერი ბავშის აღზრდა იკისრა მისმა ბიძამ. შოთამ ჯერ დაამთავრა რუსთავის პირველ-დაწყებითი შკოლა, შემდეგ ტბეთის სასულიერო სასწავლებელი, აქედან გადაიყვანეს ქახეთს, სადაც გაათავა ბრემის სასულიერო სემინარია და იყალთოს აკადემია. ამაზე არ შეჩერდა ეს გენიოსი ჭაბუკი. კიდევ უმაღლეს სწავლის მისაღებათ შოთა სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს ბიზანტიას. აქ სანაქებოთ შეისწავლა ბერძნული ენა და მწერლობა; მან შეისწავლა აგრეთვე სირიული, არაბული და სპარსული ენები და მათი მდიდარი ლიტერატურა.

ფრიად განათლებული შოთა დაბრუნდა სამშობლოში. აქ მის თვალწინ მოხდა საშინელი ამბავი: ბიორგი მესამის მიერ ორბელიანთა ამოწყვეტა და ძმისწულ დემნას წამებით სიკვდილი. ამ საზარელმა სურათმა ღრმა კვალი გაავლო მის გრძნობარე არსებაში. თამა-

რის დიდებამ და სიმშვენიერემ მოხიბლა შოთა. საქართველოს ძლიერებამ ააფრთოვანა იგი. დიდმა პოეტმა რამდენიმე ლექსი უძღვნა თამარს და შემდეგ მისივე ბძანებით დასწერა უკვდავი პოემა **„ვეფხის ტყაოსანი“**, რომელშიაც გამოხატა თამარის დიდება, მის დროს მომხდარი ამბები და ქართველი ერის ცხოვრება.

თავის უკვდავი პოემა შოთამ წაუკითხა თამარს, განათლებულ პირთა და დიდებულთა კრების წინაშე. თამარ მეფე და მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა შოთას ფერადოვანმა ენამ, საოცნებო მხატვრობამ, პოეზიამ, ახალმა აზრებმა და ღრმა ფილოსოფიამ. ყველამ ერთხმათ აღიარეს იგი **დიდებულ პოეტათ**. მადლობის ნიშნათ თამარმა წაიძრო ძვირფასი ბეჭედი და უბოძა შოთას; დავით სოსლანმა შემოარტყა მას თავისი ხმალი, დიდებულებმა კი მიართვეს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს კალაში. ამის შემდეგ შოთა მეტათ დაიახლოვა თამარმა; ეს მშვენიერი ჭაბუკი და დიდებული პოეტი შეიქნა მოლარეთ უხუცესი, ე. ი. სახელმწიფო ხაზინის უფროსი. მოხუცობაში შოთა შესდგა ბერათ ერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში, სადაც მიიცვალა კიდეც. მისი სურათი დღესაც აშშვენებს იქ მონასტრის კედელს.

ქალისა და კაცის თანასწორობა, გვარიშვილობაზე მაღლა პირად ღირსების დაყენება, ჭირში გამაგრება, ნაძრახ სიცოცხლის ნაცვლათ სახელოვანი სიკვდილი, კეთილი საქმე, მონებისადმი ადამიანური მოქცევა,-აი ის ახალი და კაცთმოყვარებით სავსე აზრები, რომლებიც შოთამ ობოლ მარგალიტებათ მოაბნია თავის დიდებულ პოემაში „ვეფხის ტყაოსანი“

ელვასავით გავრცელდა საქართველოში; მას იზეპირებ-დენ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი და თა-ვადი. ამ პოემის აზრები გადიქცა ანდაზებათ. „ვეფხის ტყაოსანს“ ატანდენ მზითათ თავად-აზნაურთა ქალებს. ეს წიგნი შეიქნა ქართველი ერისათვის ჭირსა და ლხინ-ში განუშორებელი. დღეს ეს უკვდავი პოემა გადათარგ-მნილია ყველა ევროპიულ ენაზე. და აღტაცებაში მო-ყავს ევროპის განათლებული პირნი. „ვეფხის ტყაო-სანი“ ცნობილია ერთ საუკეთესო ნაწარმოებათ მთელ ქვეყანაზე, შოთა რუსთაველი კი მონათლულია **მსოფ-ლიო გენიოსათ** და **ქართველი ერის ქება-დიდებათ.** იგი უკვდავია ვით ბრწყინვალე მზე; მისი დიადი სახე-ლი არ გაქრება, სანამ ცოცხალია ქართველი ერი და მთელი კაცობრიობა.

---

38. გიორგი ლაშა და რუსუდან დედოფალი. (1212—1247 წ.)

მოკვდა თამარ მეფე და მას შემდეგ მეტათ დაეცა ჩვენი ქვეყანა. ამ დიდებულ ადამიანს დარჩა ორი უღირ-სი შვილი, **გიორგი ლაშა** და **რუსუდანი**, ორივე შემ-კული სხეულის სიმშვენიერით, მაგრამ გარყვნილი და ზნედაცემული. თავიანთ სამარცხვინო საქციელით ამ ორმა და-ძმამ გარყვნეს ქართველი ერი და ჩრდილი მო-ფინეს თამარის სახელს. იმათ მოაშორეს სამეფოს მართვა-გამგეობას ღირსეული პირნი და მათ ნაცვლათ დააყე-ნეს ულიჭო და უზნეო ადამიანები. მეფის უზნეო მაგა-

ლითს ბაძავდენ დიდებულნი, ამათ კი ბაძავდა ხალხი და ამ რიგათ დაეცა ქართველი ერის მაღალი ზნეობა. ეჭვი არაა, ამგვარ პირობებში კეთილი არ დაეყრებოდა საქართველოს; ის უნდა მორწყულიყო სისხლით, უნდა გამხდარიყო სხვის ლუკმაო. ასეც მოხდა: იგი საშინლათ ააოხრეს ჯერ **თურქებმა** და შემდეგ **მონგოლებმა**.

ბოორგი ლაშამ თავი ისახელა მცირე გამარჯვებით: მან დაამშვიდა აჯანყებული **ბ**ანჯა, სამაგიეროთ საშინლათ დამარცხდა მონგოლთაგან, რომელთაც **ს**პარსეთიდან გრიგალივით გადმოიარეს **ა**მიერ- კავკასიაზე და **დ**ერბენდის გზით წავიდენ **ა**ღმოსავლეთს. **ა**მის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია **ბ**ოორგი **ლ**აშას; ის გადაიცვალა 1224 წელს. **ტ**ახტზე ავიდა მისი და **რ**უსუდანი.

რუსუდანის დროს **ს**აქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურობა; მას მოადგა 140 ათასი მეომრით **ხ**ორაზმის სულთანი **ჯ**ელალ-ედინი, მონგოლთაგან გამოქცეული. **ჯ**ელალ-ედინმა დაამარცხა ქართველი ჯარი, ააოხრა **მ**ესხეთი, გაცარცვა და დახოცა მცხოვრებნი და მოადგა **თ**ფილისს. **ა**ქ მოისურვა მან **რ**უსუდან დედოფლის ცოლათ შერთვა და გაუგზავნა მოციქული, რათა ამ რიგათ შეერთებია **ს**აქართველო და თავის საშეფო, შეერთებული ძალით დაემარცხებია საერთო მტერი მონგოლები. **რ**უსუდანმა უარი შეუთვალა, რითაც მეტათ გაბრაზდა სულთანი. **ე**ნით აუწერელი სისხლისღვრა მოხდა **თ**ფილისთან. **ქ**ართველი ჯარი და **თ**ფილისის მცხოვრებნი იბრძოდენ გმირულათ, მაგრამ ღალატმა შთანთქა ყველაფერი. **თ**ფილისში მცხოვრებმა მუსულმანებმა გაუღეს მტერს ქალაქის კარები. **ღ**ვთის რისხვა დატრიალდა **თ**ფილისის თავზე. **მ**ხეცმა **ჯ**ელალ-

ედინმა ცეცხლსა და მახვილს მისცა საქართველოს საუტახტო ქალაქი. ასი-ათასი თურქი შეესია თფილისს მახვილით ხელში. ცარცვა და გლეჯა, ბილწვა და სიკვდილი, კვნესა და ვედრება, ცეცხლი და ცრემლები, აი ის საშინელი სურათი, რითაც სტკბებოდა მხეცი ჯელალედინი სიონის მწვერვალიდან, სადაც დანგრეულ გუმბათის ნაცვლათ იდგა მისი ტახტი. დაინგრა დიდებული პალატნი; ტაძრები იქცა საჯინიბოთ; მტკვარი შეიღება ქართველთა სისხლით; სიკვდილმა შთანთქა **ასიათასი მცხოვრები.**

ასე ძვირათ დაუჯდა საქართველოს რუსუდანის უარი. ამის შემდეგ ჩვენს ბედშავ სამშოალოს თავს დაატყდა კიდევ უარესი უბედურობა. მას შემოესიენ **მონგოლები.**

39. მონგოლთა შემოსევა.

შავმა ყორანმა დასჩხავლა ბედშავ საქართველოს. ჯერ ისევ მძინვარებდა ქართლში ბრაზმორეული ჯელალედინი და აოხრებდა ქვეყანას, როცა საქართველოს თავს დაატყდა მეორე უარესი რისხვა; მას შემოესიენ **მონგოლები** ანუ **თათრები.**

ეს ფრიად მახინჯი ნახევრათ ველური, მაგრამ მეტათ მამაცი ხალხი ბინადრობდა საშვალო აზიაში. მისი უმთავრესი ხელობა იყო მეჯოგობა, განსაკუთრებით ცხენების მოშენება, რომელთა რძითა და ხორცით იკვებებოდა ეს ხალხი. მეცამეტე საუკუნის დამდეგს მონ-

ბოლოთ გამოუჩდა ერთი შესანიშნავი კაცი **ჩინგიზყაენი**, რომელმაც მისცა ხალხს ახალი რჯული, შეაერთა ერთ დიდ სამეფოთ თათართა წვრილი ურდოები და გახდა მათ **ყაენათ** (მეფეთ). თავის ურდოებით ჩინგიზყაენმა წალეკა მთელი **ა**ზია და ნახევარი **ე**ვროპა. **მ**ან დაიპყრო **ჩინეთი, ინდოეთი, მთელი რუსეთი, სპარსეთი, მცირე აზია** და საერთოთ თურქების მიერ დაპყრობილი ქვეყნები. **თ**ათრები განსაკუთრებით შეიქნენ თურქთა დაუძინარი მტერნი. **ა**მათი სისხლით თათრებმა სორწყეს მთელი **დ**ასავლეთი **ა**ზია.

მონგოლები პირველათ შემოვიდენ **ს**აქართველოში **ბ**ოორგი **ლ**აშას დროს, დაამარცხეს ქართველი ჯარი და **დ**ერბენდის გზით წავიდენ თავიანთ ქვეყანაში. **მ**ეორეთ თათართა დიდი ლაშქარი შემოვიდა **ს**აქართველოში, როცა **ჯ**ელალ-ედინი აოხრებდა ჩვენს ქვეყანას. **მ**ონგოლებმა აიღეს **ბ**ანჯა და მოსპეს მასში მცხოვრები მუსულმანები. **ა**მის გამგონე **ჯ**ელალ-ედინმა თავის ჯარით მოკურცხლა **ს**აქართველოდან. **თ**ათრები დაედევნენ მას, დაეწიენ **ბ**ასიანს, დაამარცხეს და გაუფანტეს ჯარი. **თ**ვით მძინარე **ჯ**ელალ-ედინი მოკლა ერთმა მემცხვარემ. **ა**სე დალია სული ამ **ს**აქართველოს მტერმა.

თათრები დაბრუნდენ უკან და მოუახლოვდენ **თ**ფილისს. **მ**ათ მოსვლამდი ეს ქალაქი უკვე დასწვა **რ**უსუდანის ბძანებით **თ**ფილისის ციხის თავმა **გ**ოჩა **მ**ხარგძელმა. **ხ**ალხი გაიხიზნა მთებში. **რ**უსუდანი თავის ამალით შეეფარა ქუთაისს. **ა**ქვე აკურთხა მან მეფეთ თავის ექვსი წლის ვაჟი **დ**ავითი; თავისი ქალი **თ**ამარი მიათხოვა ცოლათ **ი**კონიის სულთან **ყ**იასდინს.

თათრები კალიასავით მოედვენ **ს**აქართველოს და

იწყეს თარეში. ქართველი ხალხი მეტათ შეაწუხა მთებში გახიზნამ. დიდებულნი გამოვიდენ სიმაგრეებიდან და მორჩილება გაუცხადეს თათართა სარდლებს. ამრიგათ ჩვენმა ქვეყანამ უომრათ დაიდგა კისერზე მონობის მძიმე უღელი. ასე დასცეს ქართველი ერის ვაჟკაცობა ცუდმა მეფეებმა! ასე დაღუპეს იმათ ჩვენი ერთ დროს დიდებული ქვეყანა!...

ამის შემდეგ მონგოლთა სარდლებმა გაყვეს ქართლ-კახეთი ექვს ნაწილათ; მოსპეს მეფობა, ჩააბარეს ქვეყანა ქართველ ერისთავებს და დაადვეს მძიმე ხარკი. ზარდა ამისა შეკრიბეს საქართველოდან საკმაოთ დიდი ჯარი, შეუერთეს თავიანთ ლაშქარს და გაემართენ მუსულმანთა ქვეყნების დასაპყრობათ.

---

40. დიდებულთა შეთქმულება თათართა წინააღმდეგ.

მეფე-დიდებულთა უზნეო საქციელმა ვერ დასცა სრულებით ქართველი ერის ვაჟკაცობა. საქართველოში კიდევ ღვიოდა მამულიშვილური გრძნობა. ამდენმა უბედურობამ, თურქ-მონგოლთა მიერ ფეხქვეშ გათელამ და მონობის მძიმე უღელმა გამოაფხიზლა ქართველები. მძიმე ხარკმა გააღატაკა ხალხი, სამხედრო ბეგარამ მეტათ შეავიწროვა იგი; უმეფობამ აღვირი წააძრო თავგასულ თავადებს; ამათ თათრებზე უარესათ იწყეს ხალხის რბევა და დაჩაგვრა. ქართველი ერი ჩავარდა საშინელ ტანჯვა-წვალებაში. ამის გამო შეიკრიბენ ყოველ კუთხიდან საუკეთესო ქართველები, იწყეს თათბირი, თუ როგორ

ეხსნათ მონობისაგან თავიანთი სამშობლო და მოეწყოთ მისი საქმენი. მათ მოახდინეს **შეთქმულობა** მტარვალთა წინააღმდეგ. ამ შეთქმულობის მოთავე იყო რვა გამოჩენილი დიდებული და დანაწილებულ ქვეყნის მეთაურნი **შანშე მხარგძელი, ვარამ გაგელი, ეგარსლან ბაკურციხელი, ოტნე დადიანი, გამრეკელ თორელი, ყვარყვარე ციხის ჯვარელი, შოთა კუპრი** და **სარგის თმოგველი.**

შეთქმულნი შეიკრიბენ ჯავახეთს **კოხტის თავს** (ციხეში) და დაადგინეს, რომ დანიშნულ დროს მოსულ-ყვენ თავიანთი ჯარებით, დასცემოდენ უცებ და გაედენათ **მ**ონგოლები **ს**აქართველოდან. **ო**ტნე **დ**ადიანი ადრე დაემშვიდობა ამხანაგებს და გასწია შინ. **ა**მ დროს გაჩდა იუდა, ქვეყნის მოღალატე; მან საიდუმლოთ აუწყა მონგოლთ ქართველ დიდებულთა განზრახვა. **შ**ეთქმულები არ იყვენ დაშლილნი, რომ მოულოდნელათ თავს დაესხა მათ თათართა ჯარი, დაიჭირა ყველანი და მიგვარა **ა**ნში **ქარმაღან ნოინს.**

დიდებულებმა გადუფიცეს მას თავიანთი მიზანი და უთხრეს, რომ თქვენს ერთგულ სამსახურისთვის და ხარკის ძლევისთვის შევიკრიბენითო. **ა**მ პასუხმა არ დააკმაყოფილა ცბიერი ნოინი; ის შეუდგა დიდებულთა წამებას. **მ**ისი ბძანებით გაატიტვლეს შეთქმულნი, შეუკრეს ხელები, წაცხეს თაფლი და დაყარეს ზზეზე პაპანება სიცხეში. **წ**არმოუთქმელ ტანჯვებს გრძნობდენ ქართველი მამულიშვილნი, მაგრამ გმირულათ ითმენდენ ყველაფერს და არ ამხელდენ თავიანთ მიზანს. **მ**ათზე ვერ მოქმედობდა ვერც მუქარა, ვერც მტარვალის ამოღებული ხმალი.

მოაწია დანიშნულმა დრომ, როცა შეთქმულებს უნდა მოეყარათ თავი ქართლში თავიანთი ჯარებით. სახელოვანი მამულიშვილი ცოტნე დადიანი გაემართა თავის ჯარით. მესხეთის საზღვარზე მან შეიტყო საშინელი ამბავი: თათრების მიერ შეთქმულთა დატყვევება. ცოტნე დადიანი ფრიად შეაწუხა ამ ამბავმა. მაშინვე დააბრუნა უკან თავისი ჯარი და ორი მხლებელით წავიდა ანს. დაინახა თუ არა ტიტველა ამხანაგები, ჩამოხტა ცხენიდან, გაიხადა სამოსელი, შეაკვრევინა მხლებელთ ხელები და დაჯდა მათ შორის. ეს საკვირველი ამბავი აცნობეს ქარმაღანს. ამან მოაყვანია ცოტნე და კითხა მიზეზი მისი ასეთი საქციელისა. ცოტნემ აუწყა ნოინს, რომ ისიც ამხანაგია და თანაზიარი ამ ქართველ დიდებულთა და მათთან ერთათ სურს დაისაჯოს; კრების მიზეზათ დადიანმაც იგივე დაასახელა, რაც მისმა მეგობრებმა. ცოტნე დადიანის საარაკო საქციელმა ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზე, რომ მაშინვე გაათავისუფლა და გაუშვა სამშობლოში ქვეყნის ერთგული ქართველები.

ჩვენი ქვეყანა ამ დროს იყო უმეფოთ და შიგ თავისუფლათ დათარეშობდენ თათრები.

---

41. საქართველოს ორ სამეფოთ გაყოფა. (1253—1293 წ.) 1259—1330

მეტათ აწუხებდა საქართველოს უმეფობა. ერისთავთა თავგასულობას არ ქონდა საზღვარი. ჯერ კიდევ რუსუდანმა გაუგზავნა დიდ ყაენს თავისი ვაჟი **დავითი**

და სთხოვა ეცნო საქართველოს მეფეთ. ტახტის კანონიერი მემკვიდრე კი, გიორგი ლაშას შვილი **დავითი** რუსუდანმა გადაკარგა თავის სიძესთან, დასწამა ცილი და ჩააგდებია საპყრობილეში. დიდი ყაენი არ ჩქარობდა და არ უშვებდა დავითს. შვილის ლოდინში გადაიცვალა უზნეო რუსუდანი.

საქართველოს უფრო გაბედულათ ჩაკიდეს ბრჭალები მონგოლებმა და მეტათ შეავიწროვეს როგორც დიდის ხარკით, ისე სამხედრო ბეგრით. მარტო მესხეთისა და ქართლ-კახეთიდან მათ გაყავდათ საომრათ **90 ათასი მხედარი** და ხარკათ მიქონდათ ყოველ წლობით **60 ათასი ოქრო**. შინ კიდევ ერისთავების გამო ითელებოდა ქვეყანა. მაშინ შეიკრიბენ საუკეთესო ქართველნი; მათ გაიგეს, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე ლაშა გიორგის შვილი დავითი ცოცხალია და ზის ტუსაღათ რუსუდანის სიძის ყიასდინის ბძანებით. მიმართეს სულთანს და სთხოვეს დავითის გათავისუფლება. სულთანმა შეიწყნარა ქართველ დიდებულთა თხოვნა და მაშინვე გათავისუფლა დავითი. დიდებულებმა იგი მიგვარეს ქ. ყარაყურუმს დიდ ყაენს და სთხოვეს ეცნო საქართველოს მეფეთ. დიდმა ყაენმა ორივე მეფის წული, ორი დავითი გაუგზავნა დასავლეთ აზიის ყაენს **ულოს** და მისწერა ორივეს გამეფება საქართველოში.

ამ რიგათ 1253 წელს საქართველოს გაუჩდა ერთბაშათ **ორი მეფე**: გიორგი ლაშას შვილი **დავით მეხუთე** და რუსუდანის შვილი **დავით მეოთხე** ანუ **დავით ნარინი.** ეს იყო თათართა ცბიერების ნაყოფი; მათ სურდათ ორი მეფით საქართველოს დანაწილება. ასეც მოხდა: დავით ნარინი იყო მეტათ გონიერი და ხერხიანი

მეფე, **Დ**ავით მეხუთე კი, პირიქით, იყო ჯიუტი და უჭკუო კაცი. **Ი**ს გადიქცა ბიკინათ მონგოლთა ხელში და ათრევდენ **Ს**აომრათ ხან იქით და ხან აქეთ. **Დ**ავით **ნ**არინი მეტათ ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე და კრიჭაში უდგა თათრებს; ამიტომ მონგოლებმა შეიძულეს იგი და დაატყვევეს კიდეც, მაგრამ **Დ**ავით **ნ**არინი გზიდახვე გაეპარათ და მოვიდა ძუთაისს. **ა**ქ დიდის დიდებით მიიღეს იგი, გახადეს **Დ**ასავლეთ **ს**აქართველოს მეფეთ და გამოაცხადეს ეს ქვეყანა თათართაგან დამოუკიდებლათ. ამ რიგათ **საქართველო განაწილდა ორ სამეფოთ**.

ბევრჯერ სცადეს თათრებმა ამ ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ მუდამ დამარცხებული ბრუნდებოდენ უკან. **მ**ათ მომხრეთ და სამშობლოს მოღალატეთ შეიქნა **რ**აჭის ერისთავი **კახაბერი**; ორჯერ შემოასია მან ჩუმათ თავის ქვეყანას თათართა დიდი ჯარი, მაგრამ მხნე **Დ**ავითმა სასტიკათ დაამარცხა ისინი ორჯერვე. **შ**ემდეგ მეფემ სტაცა ხელი სამშობლოს მოღალატეს, ამოსწვა თვალები და მოკვეთა ხელ-ფეხი. **ე**ს ჭკვიანი მეფე გადაიცვალა კარგა მოხუცებული 1293 წელს. **Დ**ავით მეხუთე კიდევ უფრო ადრე გადაიცვალა (1269 წ.); მას დარჩა მცირე წლოვანი ვაჟი **დიმიტრი**.

---

42. ДИМИТРИ ТАВДАДЕБУЛИ. (1273—1289 წ.).

Დავით მეხუთის სიკვდილით ისევ დაობლდა **ა**ღმოსავლეთი **ს**აქართველო. ქვეყანას მართავდა **სადუნ ათაბაგი** (ამირ სპასალარი). **თ**ათრები ძველებურათ თა-

რეშობდენ და ბატონობდენ საქართველოში. სადუნ ათაბაგის მეცადინობით **აბალა ყაენმა**, როგორც იყო, შეიწყნარა ქართველ დიდებულთა ვედრება და მეფეთ აღიარა **დ**ავით მეხუთის შვილი ახალგაზდა **დიმიტრი**

მეტათ კარგი მეფე გამოდგა **დ**იმიტრი. **ი**ს იყო ფრიად გულკეთილი ადამიანი, ჭკვიანი, ქვრივ-ობოლთა შემბრალე და ქვეყნის ერთგული. **მ**ეფე გადიცვამდა ხშირათ უბრალო სამოსელს, დადიოდა ხალხში ფარულათ, იკვლევდა მის ყოფა-ცხოვრებას და ეხმარებოდა გაჭირებულთ. **ც**ოტა ხნის შემდეგ **ა**ბალა ყაენს მოუხდა დიდი ომი **ე**გვიპტის სულთანთან. **ა**მ ბრძოლაში მონაწილობას იღებდა **დ**იმიტრი მეფე ქართველი ჯარით და ეხმარებოდა **ყ**აენს. **ყ**აენი და თათრები გააოცა ქართველთა ვაჟკაცობამ. **მ**ონგოლთა მგოსანმა გალობით შეაქო ქართველთ გმირობა. **ყ**აენმა ფრიად დაასაჩუქრა როგორც მეფე, ისე მისი ჯარი. **ა**მიერიდან **ა**ბალა ყაენი დიდის ნდობით და პატივისცემით ეპყრობოდა ქართველებს. **ყ**აენი გზავნიდა მათ ელჩებათ სხვადასხვა ქვეყნის ხელმწიფეებთან.

მოკვდა **ა**ბალა ყაენი და ტახტზე ავიდა მისი ძმა **ჰ**ამადი. **ა**ხალი ყაენის წინააღმდეგ შეთქმულობა მოახდინეს მისმა ნოინებმა, მოკლეს იგი და გაამეფეს **ა**ბალას შვილი **ა**რლუნი. **მ**აგრამ ვერც **ა**რლუნმა გაამართლა მათი იმედები. **მ**ოხდა ისევ **ნ**ოინთა აჯანყება; **ა**რლუნმა დაამარცხა ისინი და დასაჯა სასტიკათ. **მ**ან ეჭვი აიღო **დ**იმიტრი მეფეზედაც და დაიბარა, თანაც დიდი ჯარი გამოგზავნა **ს**აქართველოსკენ.

დიმიტრი მეფემ გამართა დიდებულთა კრება და აუწყა ყაენის სურვილი. **დ**იდებულნი ურჩევდენ მეფეს,

არ წასულიყო **ა**რღუნთან, რადგან იქ მოელოდა სიკვდილი, არამედ შებმოდა მტერს **ქ**ათალიკოზი და თვით მეფე სულ სხვა აზრის იყვენ: ისინი ვერ ცნობდენ ქვეყანას იმდენათ ღონიერს, რომ გამკლავებოდა თათრებს, ამიტომ სამშობლოს დაღუპვას ამჯობინეს თვით მეფის სხვერპლათ შეწირვა. **გ**მირი **დ**იმიტრი გაუდგა გზას; მან თავს იდვა **სამშობლოს გადარჩენა. მ**ეფეს ეახლენ **ქ**ათალიკოზი და რამდენიმე დიდებული. **ა**რღუნ ყაენმა მრისხანეთ მიიღო **დ**იმიტრი, გაასამართლა და მიუსაჯა სიკვდილი. **გმირ მეფეს მოკვეთეს თავი 1289 წელს. დ**იდებულებმა მოისყიდეს მცველები, მოიტაცეს მეფის გვამი და მოასვენეს **ს**აქართველოში. **ე**კლესიამ იგი შერაცხა წმინდათა შორის, ისტორიამ კი ამ გმირ მეფეს უწოდა **თავდადებული**.

---

43. მონგოლთა ბატონობა.

დიმიტრი მეფის უდროოთ სიკვდილმა კიდევ უარეს უბედურობაში ჩააგდო **ი**ვერია. **ო**ცი წლის განმავლობაში მან გამოიცვალა **ექვსი მეფე. ე**რთი სიტყვით თათრებს, რაც სურდათ იმას ჩადიოდენ ჩვენ ქვეყანაში. **ა**სე დაეცა **დ**ავით **ა**ღმაშენებლის და დიდი **თ**ამარის დიდებული სამეფო, რომელიც შიშის ზარს სცემდა **დ**ასავლეთ **ა**ზიას. **თ**ათრების ყაენი **ყარა-ბუღა** ისე გათამამდა, რომ მოისურვა მთელი **ქართველი ერის გამამადიანება,** წინააღმდეგ შემთხვევაში უპირობდა **ამოწყვეტას მთელ საქართველოს**.

ვინ იცის ამ მხეცის გამო რა საშინელება მოხდებოდა ჩვენ ქვეყანაში, რომ იგი არ ეხსნა თავის გმირული საქციელით მეფე **ვახტანგს**, **დ**იმიტრის შვილს. **ი**ს ეახლა ყაენს ურდოში დიდის ფეშკაშებით, ამოიღო ხმალი, დასდვა მასზე თავი და უთხრა, რომ მზათ არის აქვე თავი მოაკვეთინოს, თუ ყაენი არ შეცვლის თავის სასტიკ ბძანებასო. **მ**ხეცი **ყ**არა-**ბ**ული მეტათ გააოცა მეფის ამგვარმა საქციელმა, მოლბა და შესცვალა ბძანება. **ა**მრიგათ გადარჩა **ს**აქართველო საშინელ გაჟლეტას.

ამ საერთო არეულობის დროს მეტათ დაეცა **ს**აქართველოში მეფის გავლენა. **ე**ს გარემოება ხელს უწყობდა ზოგიერთ ქართველ დიდებულთა თავგასულობას, გაძლიერებას და მეფის მორჩილებიდან გამოსვლას. **ს**აქართველოს საერთო დასუსტებამ და დიდებულთა ურჩობამ მეტათ გაათამამა ჩვენი მეზობლები, განსაკუთრებით მთიელები, ე. ი. ოსები, ლეკები და სხ. **ო**სებმა აიღეს **ბ**ორის ციხე და იწყეს თარეში მთელ ქართლში; ლეკები იკლებდენ **კ**ახეთს, **რ**ანსა და **შ**ირვანს, თურქები კი **თ**ფილისის მაზრას. **თ**ათრების ხანგრძლივმა ბატონობამ მეტათ დასცა ქართველი ერი როგორც გონებრივათ, ისე ზნეობით და სარწმუნოებით. **ნ**ახევრათ ველური და წარმართი მტარვალები თავიანთ უზნეო საქციელით მეტათ ცუდ მაგალითს აძლევდენ დამონებულ ერს.

ამგვარ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა **ს**აქართველო, როცა ტახტზე ავიდა **დ**იმიტრი თავდადებული ის უმცროსი ვაჟი დიდებული მეფე **გ**ი**ორგი ბრწყინვალე**.

44. გიორგი ბრწყინვალე (1318—1346 წ.).

მოეღო ბოლო საქართველოს **ასი წლის** წამებას, და დამცირებას. ჩვენს უბედურ ქვეყანას მოევლინა მხსნელათ ძლიერი მეფე **გიორგი ბრწყინვალე**.

მან დაამსხვრია მონობის ბორკილები, იხსნა საქართველო მტარვალთა ბატონობისაგან, ალაგმა მთიელები და თავგასული ერისთავები. **ამას** გარდა **გ**იორგიმ მისცა ხალხს **კანონი** და **სამართალი, გააერთიანა საქართველო**, გააფართოვა მისი საზღვრები, გააფაქიზა ხალხის დაცემული ზნეობა და გაუთენა ქართველ ერს დიდი **დ**ავითის და **თ**ამარის მზიანი დღეები.

გიორგი აღიზარდა **მ**ესხეთში, ბაბუამის **ბ**ექა **ა**თაბაგის სახლში. **დ**ედის ნანასთან მას ესმოდა დამონებული ხალხის კვნესა და ტირილი. **მ**ის გრძნობიარე გულში ღრმათ ჩაინერგა ქართველი ერის ტანჯვა და გაჭირვება. **ა**მ სამშობლოს მოყვარულმა და დიდათ ნიჭიერმა ახალგაზდამ მიიღო შესანიშნავი განათლება. **ე**კლიანმა გზამ და ქვეყნის უბედურობამ მას შესძინა სიფრთხილე და დიდი გამოცდილება. **ა**მასთან ერთათ ამ იშვიათ ადამიანს ამკობდა ხასიათის სიმტკიცე, ძლიერი სული და სამხედრო ნიჭი. **ს**წორეთ ასეთი მეთაური, ასეთი მეფე ეჭირვებოდა ბედშავ **ს**აქართველოს.

ამ დროს **ს**აქართველოს ყავდა სამი ძლიერი მტერი: **თათრები, მთიელები** და **თავგასული თავადები**. **ე**სენი ხრავდენ ერის გულს და ღუპავდენ ჩვენ ქვეყანას. **ა**ვიდა თუ არა ტახტზე მეფე **გ**იორგი, დიდი სიფრთხილით შეუდგა საქმეს და თავის მიზნების განხორციელე-

ბას. უწინარეს ყოვლისა მან გაილაშქრა ოსებზე, დაამარცხა სასტიკათ ისინი, წაართვა ბორის ციხე და სხვა სიმაგრენი, დაუმორჩილა თავის სამეფოს და იხსნა ქართლი მათ ცარცვა-რბევისაგან. ამგვარივე საქმე დამართა სხვა მთიელებსაც, ალაგმა ისინი და გაუჩინა სამართალი.

ამ ხანებში მოხდა თათრების ნოინთა შორის დიდი არეულობა. იმათ მოკლეს ყაენი და დაინაწილეს მონგოლთა უზარმაზარი სახელმწიფო. ამით ისარგებლა გიორგი ბრწყინვალემ, შეკრიბა ლაშქარი, შეებრძოლა საქართველოში მყოფ თათრებს, შემუსრა მათი ძალები და განდევნა საქართველოდან. **დაინსხვრა მონობის ბორკილები, დაეცა მტარვალი!** ქართველმა ერმა კვლავ ააფრიალა თავისუფლების დროშა და დაანახა ქვეყანას, თუ რა ძალა ტრიალებს მასში, როცა მას ყავს კარგი მეთაური.

ამის შემდეგ დიდმა მეფემ მოსთხოვა მორჩილება გალალებულ ერისთავებს. იმათ არ იამათ ეს და გამართეს **შეთქმულობა** მეფის წინააღმდეგ. ბიორგიმ მალე გაიგო მათი განზრახვა, სხვებთან ერთათ მოიწვია ისინიც, ვითომ და სათათბიროთ. ყველანი გამოცხადდენ; მეფემ სტაცა მათ ხელი და გადასცა სასამართლოს, რომელმაც სცნო შეთქმულები დამნაშავეთ და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ეს განაჩენი მეფემ მაშინვე მოიყვანა სისრულეში, რამაც თავზარი დასცა სხვა თავადებს. ამის შემდეგ ყველა დაემორჩილა დიდებულ მეფეს.

45. საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება.

ბიორგი ბრწყინვალეს აწუხებდა ერთი აზრი: ეს იყო **საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება**. მან კარგათ იცოდა, რომ ამ პატარა ერს იხსნიდა დაღუპისაგან **მტკიცე ერთობა, ერთ სამეფოთ გახდომა**. ამიტომ მეფეს მეტათ სურდა დასავლეთ საქართველოს შემოერთება. ის ეძებდა მხოლოთ შემთხვევას. ბედმაც გაუღიმა.

დავით ნარინის შემდეგ დიდი უთანხმოება ჩამოვარდა მის შვილებ შორის. მათი ქიშპობით ისარგებლეს იმერეთის დიდებულებმა და იწყეს თვითნებობა. ამას მოყვა არეულობა და ხალხის შევიწროება. საქმე გამწვავდა განსაკუთრებით ბიორგი ბრწყინვალეს დროს. ბიორგი მეფემ გამართა მოლაპარაკება იმერეთის საუკეთესო კაცებთან, რომ იგი ეცნოთ მეფეთ. ისინი სიხარულით დაეთანხმენ და დაპირდენ დახმარებას. ამის შემდეგ ბიორგი გადვიდა იმერეთში ძლიერი რაზმით; იმერლები აღტაცებით მიეგებენ მას და აღიარეს მეფეთ. ამ რიგათ უსისხლოთ შეერთდენ დიდი ხნის განშორებული იმერეთი და ქართლ-კახეთი. ბიორგი მეფემ დაიმორჩილა აგრეთვე ბურია-სამეგრელოს და მესხეთ-აბხაზეთის ერისთავები.

საქართველოს გაძლიერებას შურით უმზერდენ ლეკნი და განჯა-შირვანელნი. ისინი მოემზადენ ბიორგი მეფეზე დასაცემათ, რათა დროით შეემუსრათ მისი ძლიერება. მაგრამ ბიორგიმ მოასწრო; დიდის ლაშკრით შევიდა რანსა და შირვანში, აიღო ეს ქვეყნები, შემდეგ

შეებრძოლა ლეკებს, დაიპყრო მთელი დაღესტანი და დაადვა ყველას ხარკი. აქ დიდებული მეფე შეუდგა შინაურ საქმეებს, მოიწვია სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელნი და განათლებული პირნი, მათი დახმარებით შეადგინა კანონები, რომელთაც უწოდა „**ძეგლის დება**“. ექვთიმე ქათალიკოზის დახმარებით გიორგიმ აღადგინა დანგრეული ტაძრები, გაწმინდა და განამტკიცა ქრისტეს სარწმუნოება. დიდმა მეფემ გამართა აგრეთვე ზარაფხანა და მოსჭრა ფული.

ქვეყნის დამშვიდება-მოწყობაში იყო მეფე, როცა მას მოულოდნელათ მოუხდა ორი დიდი ბრძოლა; ერთი მონგოლებთან, მეორე კი თურქებთან. მონგოლთა ნოინი დიდი ჯარით შემოიჭრა სომხეთში, დაიპყრო იგი, შემდეგ შირვანი და მოადგა განჯას. შეიტყო თუ არა ეს ამბავი გიორგიმ, სწრაფათ შეკრიბა ჯარი და ეკვეთა თავხედ ნოინს, დაამარცხა სასტიკათ და დიდი ალაფით დაბრუნდა თფილისს. ცოტა ხნის შემდეგ მცირე აზიის სულთანი შემოესია ძლარჯეთს და იწყო რბევა. გიორგიმ ეს სულთანიც დაამარცხა საშინლათ და წაართვა ურიცხვი ტყვე და ალაფი.

ამის შემდეგ დიდებულ მეფეს დიდხანს არ უცოცხლია. ის გადაიცვალა თფილისს 1346 წელს. მან შექმნა დიდებული საქმე: **მოაშორა ქვეყანას საშინელი მტარვალი, გააერთიანა დაგლეჯილი საქართველო, გააძლიერა იგი, მისცა სამართალი, ალაგმა მთიელნი** და **თავგასული ერისთავები**, ამ რიგათ აღადგინა მკვდრეთით **ქართველი ერის ძველი დიდება**. მადლიერმა საქართველომ ამ დიდებულ მეფეს უწოდა **გიორგი ბრწყინვალე.**

46. ბაგრატ დიდი და ლანგ-თემური. (1360—1395 წ.).

ბოლოგი **ბ**ოლწინვალეს შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი **დ**ავითი, ეს იყო მეტათ გონიერი მეფე და ქვეყნის ერთგული; მან იმეფა 14 წელი; ამ დროს განმავლობაში ის მოგზაურობდა თავის ვრცელ სამეფოში, უვლიდა ქვეყანას, აშენებდა დანგრეულ ციხე-კოშკებს და ეკლესიებს. **დ**ავითის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი **ბ**აგრატ **დ**იდი. **ი**ს იყო იშვიათი ვაჟკაცი, მშვენიერი თვალტანადი, გამბედავი, მოწყალე და სამხედრო ნიჭით აღჭურვილი. **ბ**აგრატი მხნეთ შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ამ დროს შვაგულ **ა**ზიაში გაჩდა კაცობრიობის ახალი მტერი, მონგოლთა გამოჩენილი სარდალი **ლ**ანგ-**თ**ემური, კაცი უწყალო და სისხლის მღვრელი. **თ**ემურმა შეაგროვა დიდი ჯარი და მოკლე ხანში დაიპყრო თურქთა ქვეყნები, **ს**პარსეთი და **ი**ნდოეთი. **უ**თვალავი ლაშქრით **თ**ემური მოადგა **ს**აქართველოს. **ბ**აგრატმა შეაგროვა ჯარი, გახიზნა ხალხი მთებში და თვითონ გამაგრდა **თ**ფილისის ციხეში. **თ**ემური მოადგა **თ**ფილისს. **ა**ქ ატყდა საშინელი ბრძოლა და სისხლის ღვრა, რამაც გასტანა ექვს თვეს. **თ**ემურს გაუჭირდა საქმე; მან მიმართა ხერხს და ამ რიგათ აიღო **თ**ფილისი, სადაც დაატყვევა **ბ**აგრატი ცოლიანათ. **ა**მის შემდეგ მხეცმა თემურმა მოაოხრა **ქ**ართლი, დაანგრია **ს**ვეტიცხოვლის ტაძარი, **ქ**ვათახევის მონასტერი და **რ**უისის ეკლესია, გამოსწვა ეკლესიაში ხალხი, დიდის დავლით და ქართველი ტყვეებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

უმეფოდ დარჩენილ საქართველოს მხნეთ უვლიდა ბაგრატ მეფის ვაჟი **გიორგი** და იმორჩილებდა გადგომილ ერისთავებს. ბაგრატს უკვდებოდა გული ტყვეობაში. მან განგებ მიიღო მამადის სარწმუნოება და ამით თემური მეტათ გაახარა. შემდეგ გამოსთხოვა 12 ათასი რჩეული მეომარი, ვითომდა საქართველოს გასამამადიანებლათ, ამ ჯარით და ქართველი ტყვეებით დაბრუნდა სამშობლოში. გზიდან აცნობა თავის შვილ გიორგის, რომ სწრაფათ შეკრიბე ჯარი, ჩასაფრდი ვიწროებში და ჩემ რაზმს თავზე დაესხიო. გიორგიმ სიხარულით შეასრულა მამის ბძანება; დახვდა ვიწროებში საუკეთესო რაზმით, ეკვეთა მოულოდნელათ მტერს და გაჟლიტა ერთიანათ. გახარებული მამა და შვილი მოვიდენ თფილისს და ამოჟლიტეს იქ მყოფი მეციხოვნე თათრებიც.

ამ მოტყუებამ თემური მეტათ გაამწარა. აურაცხელი ჯარით მეორე წელს მან გამოსწია საქართველოს მოსასპობათ. ბაგრატმა მიიღო შესაფერი ზომები და მამაცათ დახვდა მტერს. საშინელი შეტაკება მოხდა მტკვრის ნაპირას. ქართლი მოირწყო ქართველთა სისხლით. საუკეთესო მამულიშვილებმა დასდვეს აქ თავი თავის ქვეყნისათვის; დიდი ზიანი მიაყენეს მტერს და გაჟლიტეს ათიათასობით. ამისთანა გასაჭირი არ დასდგომია არსად თემურს, მაგრამ სიმრავლემ თავისი გაიტანა: ბაგრატის დაქანცულმა ჯარმა დაიხია უკან და გამაგრდა ციხეებში. გამხეცებულმა თემურმა გადასწვა და გააოხრა ქართლ-ქახეთი და მესხეთი. შვიდჯერ შემოვიდა იგი საქართველოში, შვიდჯერ ააწიოკა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ვერ დაიმონა იგი, ვერ მოახრევინა ქედი. ბაგრატი და შემდეგ მისი ვაჟი გიორგი გმირულათ ებრძოდენ და ასუს-

ტებდენ ლანგ-თემურს. ქართველებთან ბრძოლით იმდენათ დაძაბუნდა ლანგ თემური, რომ მან ველარ გაბედა ევროპაში გადასვლა დასაპყრობათ. ამრიგათ პატარა საქართველომ დიდ ხიფათს გადაარჩინა მთელი ევროპა.

47. გიორგი მეშვიდე, კოსტანტინე პირველი და ალექსანდრე პირველი. (1395—1442 წ.)

ბაგრატის შემდეგ არა ნაკლები გმირობა გამოიჩინა მისმა შვილმა **გიორგი მეშვიდემ**. მის მეფობაში ოთხჯერ კიდევ შემოიჭრა საქართველოში დიდი ჯარით სისხლის მღვრელი ლანგ-თემური და ყოველთვის შერცხვენილი გაბრუნდა უკან. მან ვერ მოახერხა პატარა საქართველოს დაპყრობა. ამასობაში მოკვდა კიდეც ლანგ-თემური. ბაიგო თუ არა გიორგიმ ეს ფრიად სასიამოვნო ამბავი, მაშინვე შეკრიბა საკმაო ჯარი, მიუხტა თათრებს, წაართვა დაჭერილი ციხე-ქალაქები, შემუსრა მათი ძალები და განდევნა არეზს იქით; ამ რიგათ გაათავისუფლა საქართველო თათართა რბევა-თარეშობისაგან. გიორგი მეფის ასეთმა გამარჯვებამ გააბრაზა მონგოლები; დიდის ძალით ისინი წამოვიდენ საქართველოში. გიორგი არ შეუშინდა მათ, შეებრძოლა მედგრათ და საშინლათ დაამარცხა. ამ ბრძოლაში მოკლეს თვით გმირი გიორგიც. ის ასაფლავია მცხეთის ტაძარში.

გიორგის შემდეგ გამეფდა მისი ძმა **კოსტანტინე პირველი**, კაცი ძლიერი და გამბედავი. მან შიშის ზარი დასცა მუსულმანებს და ბევრგან ასახელა ქართველთა

დროშა, განსაკუთრებით შეავიწროვა მცირე აზიის თურქები. იმათ შესჩივლეს თავიანთ სულთანს. სულთანმა შეკრიბა დიდი ლაშქარი და საუკეთესო სარდლის მეთაურობით გამოგზავნა საქართველოს დასაპყრობათ. მეფე კოსტანტინემ სწრაფათ შეკრიბა ძლიერი რაზმი და დაეცა თავზე მტერს მოულოდნელათ. შეიქნა საშინელი ომი; თურქნი უკვე მარცხდებოდენ, გახარებული მეფე გაიტაცა გამარჯვებამ, შეევარდა ამოღებული ხმლით მტრის შეაგულ რაზმებში და იწყო თურქების უწყალოთ ჟლეტა. თურქნი შემოევლენ მეფეს რგოლივით და მოკლეს გმირი კოსტანტინე. მეფის სიკვდილმა თავზარი დასცა ქართველ ჯარს, მან იბრუნა პირი, მტრები დაედევნენ და შემოვიდენ ძლარჯეთს, მაგრამ ციხე-სიმაგრეებით შეშინებულნი ისევ მალე გაბრუნდენ უკან. მეფეთ შეიქნა გიორგის ვაჟი **ალექსანდრე პირველი.** ის იყო მეტათ კეთილი ადამიანი, ხალხისთვის მზრუნველი, დანგრეულ ციხე-ტაძრების მაშენებელი, მაგრამ სამწუხაროთ ამ მეფეს აკლდა შორს მჭვრეტლობა, რის გამო დიდი ზიანი მიაყენა ჩვენ ქვეყანას.

ალექსანდრემ დაამშვიდა ერთმანეთში მაჩხუბარი სამეგრელო-აფხაზეთი, დაიმორჩილა მესხეთის გამდგარი ათაბაგი და ბანჯა-შირვანი, ამის შემდეგ იგი დაუღალავათ მოგზაურობდა მთელ საქართველოში და მართავდა ქვეყანას. ცოტა რომ მოხუცდა, მეფე ალექსანდრე შედგა ბერათ 1442 წელს, საქართველო კი გაუყო თავის სამ შვილს: **ვახტანგს** მისცა **ქართლი, დიმიტრის იმერეთი** და **გიორგის კახეთი.** ეს იყო უუდიდესი შეცდომა და თითქმის ქვეყნის ღალატი. ამ რიგათ თავის უმეცრებით ალექსანდრემ დაარღვია ის ერთობა, რო-

მელიც დიდის წვალებით შექმნეს ბიორგი ბრწყინვალემ და ბაგრატ დიდმა. ამის შემდეგ საქართველოს აღარ გაუხარია. ჩვენი პატარა სამშობლო გაიყო **სამ პაწაწა სამეფოთ და ხუთ სამთავროთ,** რამაც ფრიად გაახარა და გაათამამა მტრები. ამიერიდან გაქრა საუკუნოთ ქართველი ერის ძველი დიდება და ძლიერება...

ამავე ხანში დასავლეთით ჩვენს მეზობლათ გახდა ძლიერი **ოსმალეთი.**

---

48. ოსმალეთი და ბიზანტიის იმპერიის მოსპობა. (1453 წ.).

მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს თურქებს გამოუჩნდათ შესანიშნავი მეფე-სარდალი **ოსმანი**, რომელმაც აღადგინა თურქების დაცემული სახელი, დაამარცხა მეზობლები და შექმნა ძლიერი სახელმწიფო. სულთან ოსმანის გამო ამ თურქთა სახელმწიფოს დაერქვა **ოსმალეთის იმპერია**, თვით თურქებს კი **ოსმალები**. ოსმანის შვილის შვილმა **მურად პირველმა** ფეხი შეისდგა ევროპაში, წაართვა ბიზანტიას ქ. ანდრიანოპოლი და მისი მიდამოები, შემდეგ წაართვა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილი, ამ რიგათ მეტათ შეავიწროვა ბიზანტია, რომელიც იმ დროს სულს ღაფავდა.

1451 წელს ოსმალთა დიდი სულთანი **მურად მეორე** მოადგა კოსტანტინეპოლს **300 ათასი მეომრით** და ალყა შემოარტყა, ორი წლის ბრძოლის შემდეგ აიღო ეს ბიზანტიის დედა ქალაქი. ოსმალებმა სამი დღის

განმავლობაში დაარბიეს იგი და გაჟლიტეს მრავალი ქრისტიანი. თვით კოსტანტინე იმპერატორი მოკლეს ქალაქის კარებთან. ასე დაემხო ეს დიდი იმპერია. ოსმალებმა კოსტანტინეპოლს უწოდეს **სტამბოლი**, მისი დიდებული აიასოფიოს ტაძარი გარდაქმნეს **მეჩითათ**. 1462 წელს ოსმალებმა დაიპყრეს თამარის მიერ დაარსებული **ტრაბიზონის იმპერიაც.**

ამრიგათ საქართველოს საშიშარ მეზობლათ განათლებულ ბიზანტიის ნაცვლათ დასავლეთით გახდა ძლიერი და გაუნათლებელი **ოსმალეთი**, რომელიც შიშის ზარს სცემდა დასავლეთ აზიას და მთელს ევროპას. ამ დღიდან უკუღმა დატრიალდა საქართველოს ბედიღბალი; იგი დანაწილდა და დაეცა.

---

49. საქართველოს დანაწილება და დაცემა.

მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს დანაწილება **სამ სამეფოთ** და **ხუთ სამთავრით**. ამ რიგათ ისედაც პატარა საქართველო დაიწიწკნა წვრილ სამეფო-სამთავროებათ. ამ დანაწილებას ხელი შეუწყო, როგორც ვთქვით, თვით საქართველოს მეფე **ალექსანდრემ**, რომელმაც დაგლიჯა სამათ ჩვენი პატარა ქვეყანა და გაუყო იგი თავის შვილებს. ამ უბედურ დღიდან საქართველო აღარ შეერთებულა. საქართველოში ჯერ გაჩდა სამი სამეფო: **ქართლი, კახეთი** და **იმერეთი.** მალე ქართლს მოგჯა **მესხეთი** და გახდა დამოუკიდებელ სამთავროთ. ცოტა ხნის შემდეგ იმერეთს

გადუდგენ **გურია**, **სამეგრელო**, **სვანეთი** და **აფხაზეთი**; ესენიც გადიქცენ დამოუკიდებელ სამთავროებათ. **გ**ურიაში მთავრათ შეიქნა **გურიელი**, **ს**ამეგრელოში—**და-დიანი**, **ს**ვანეთში ჯერ **გელოვანი** და შემდეგ **დადეშ-კელიანი**, **ა**ბხაზეთში კი **შერვაშიძე**.

ამ საბედისწერო დროიდან იწყება **ს**აქართველოს დაცემა როგორც პოლიტიკურათ, ისე ნივთიერათ და სულიერათ. **დ**აიწყო მეფე-მთავრებს შორის საშინელი შფოთი, კინკლაობა და სისხლის ღვრა. **ე**სენი არბევდენ ერთმანეთს, ეცილებოდენ მამულებს და ციხე-ქალაქებს, ამრიგათ ინთხეოდა ძმათა შორის სისხლი. **ა**მიერიდან უბედური **ს**აქართველო გადიქცა შინაური ბრძოლის ასპარეზათ. **დ**აეცა მეფის ღირსება და პატივისცემა, გაქრა სამშობლოს სიყვარული და ქვეყნის ერთგული სამსახური. **თ**ითქმის ყოველი თავადი ბატონათ თვლიდა თავს და მზათ იყო შეეწირა ქვეყნის ბედნიერება თავის პირად სარგებლობისათვის.

ამ გარემოებით მეტათ სარგებლობდენ ჩვენი მტრები, ესეოდენ **ს**აქართველოს ყოველი კუთხიდან და იკლებდენ ქვეყანას, თუმცა ქართველები თავგანწირვით ებრძოდენ მათ. **ა**მ ხანებში მეტათ გაძლიერდენ აღმოსავლეთით **სპარსეთი** და დასავლეთით **ოსმალეთი**. **ე**ს ორი პირდაღრენილი ვეშაპი ემუქროდენ ჩანთქას ჩვენს აწეწილ ქვეყანას. **ი**მათი ბასრი ბრჭალებით იკწარებოდა ბედშავი **ს**აქართველო. **ს**პარსეთი ეპატრონებოდა **ქ**ართლ-**კ**ახეთს, **ო**სმალეთი კი **ი**მერეთს. **მ**ესხეთი ხან ერთის ხელში გადადიოდა, ხან მეორეში, რის გამოც არა იშვიათათ მოსდიოდათ ომი **ს**პარსეთსა და **ო**სმალეთს, რომელთა შორის ბოზაკივით ისრისებოდა ჩვენი სამშობლო. **ო**სმა-

ლებმა მოგლიჯეს საქართველოს **ჭანეთი, კლარჯეთი, აჭარა, ქობულეთი** და ძალათ მიაღებიეს მათ მამადის რჯული. სულთნის ძლევამოსილი ჯარი არა ერთხელ შემოიჭრა **ი**მერეთში, ააწიოკა ხალხი, გადასწვა ძუთა-ისი და ბელათის მონასტერი. ძიდევ უარეს ზიანს შვრებოდენ სპარსნი აღმოსავლეთ საქართველოში. ამათი მიბაძვით მთიულებმაც აიშვეს თავი და დაუწყეს რბევა ქართლ-ძახეთს. განსაკუთრებით დიდ ვნებას აძლევდენ ჩვენ ქვეყანას ლეკები; მათ ცარცვა-გლეჯას და ხალხის აწიოკებას არ ქონდა საზღვარი. ამ შავბნელ დროს ჩნდებოდენ ხოლმე საქართველოში გამოჩენილი მეფენი, როგორიც იყვენ, მაგალითად, ქართლის მეფე **ლუარსაბ პირველი** და **სვიმონ დიდი**, მაგრამ ამათ თავგანწირულ ბრძოლას ბევრი ვერაფერი ნაყოფი მოქონდა ქვეყნისთვის. საქართველო მიდიოდა უკან საოცარი სისწრაფით. **ი**გი იძულებული შეიქნა დახმარება ეთხოვა **რუსეთისთვის.**

50. რუსეთი და საქართველო.

ამრიგათ პატარა საქართველო მოემწყვრა მამადიანთა რგოლში. მას დაუდგა საშინელი წლები. შიგნით კინკლაობა, ჩხუბი და უთანხმოება, გარედან თურქ-სპარსთა და ოს-ლეკთა შემოსევა, დარბევა და აწიოკება. ეს შავ-ბნელი დრო გაგრძელდა **350 წლამდი**, ე. ი. თითქმის რუსეთთან შეკავშირებამდი. არც ერთ ერს არ განუცდია ასეთი უბედურება, სისხლის ღვრა და აწიოკება, რაც

განიცადა საქართველომ ამ სამნახევარ საუკუნის განმავლობაში.

ქართველი ერი ცნობილია თავის სიმამაცით, გმირობით, სამშობლოს და სარწმუნოების უსაზღვრო სიყვარულით. სწორეთ ეს იყო მიზეზი მისი გადარჩენისა აურაცხელ მტერთაგან. ქართველის ამოღებული ხმალი იღებებოდა მტრის სისხლით 350 წლის განმავლობაში. აბა სად ეცალა ამ დროს ქართველებს ან სწავლა-განათლებისთვის, ან მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობისთვის! ამ რიგათ ჩვენი ერი მეტათ დაქვეითდა გონებრივათ და ნივთიერათ; დაეცა ქართული მწერლობა და ხელოვნება.

პატარა საქართველო უძლეველი იყო, როცა ყველა მისი ნაწილები და ტომები იყვენ შეერთებული ერთ სამეფოთ. მაგრამ წვრილ სამეფო-სამთავროებათ დანაწილებამ და შინაურმა კინკლაობამ მოუღო მას ბოლო. ამიერიდან საქართველომ ვერ მოახერხა გაერთიანება და ერთ სამეფოთ გახდომა, რომ საერთო ძალით შესაფერი პასუხი გაეცა მძვინვარე მტრებისთვის. ამიტომ საქართველოს მეფეები შეუდგენ მოკავშირეს ძებნას. ბიზანტია მოისპო. მის ნაცვლათ საქართველოსა და ევროპას შორის ჩადგა ზღუდეთ ძლიერი **ოსმალეთი**, რომელმაც დააშორა ჩვენი სამშობლო ევროპის განათლებულ ქვეყნებს, მათ გავლენას და მფარველობას.

ამ დროს კავკასიონის ქედის გადაღმა ჩრდილოეთით თვალ უწვდენ ვაკეზე ბალტიისა და თეთრ ზღვებამდი იზრდებოდა უზარმაზარი სახელმწიფო, ეს იყო **დიდი რუსეთი**, სარწმუნოებით მართმადიდებელი ქრისტიანი. აი ამ თანამორწმუნე რუსეთს გაუწოდა სისხლიანი მარ-

ჩვენა ქართველმა ერმა, რუსეთს სთხოვდენ მფარველობას და დახმარებას ქართლ- კახეთის მეფენი. ამის შესახებ პირველი მიწერ-მოწერა და ელჩების გზავნა გამართეს რუსის ხელმწიფეებთან კახეთის მეფეებმა, **ალექსანდრემ** და **ლევანმა** 1492 და 1558 წლებში. ამის შემდეგ გზავნიდენ ელჩებს რუსეთში და დაბეჯითებით სთხოვდენ შველას კახეთის მეფენი **ალექსანდრე მეორე** და **თეიმურაზ პირველი.** ამათ ბანი მისცეს ქართლის მეფეებმა **გიორგი მეათემ** და **ლუარსაბ მეორემ**. რუსეთს კი იმ ხანებში, შინაურ არეულობის გამო, არ შეეძლო დახმარებოდა ქართველებს, თუმცა მისი ხელმწიფენი პირდებოდენ დახმარებას და იღებდენ ივერიის მეფეთა ხარისხს.

რუსეთისკენ ხელების შვერა იაფათ არ დაუჯდა ქართველებს. ამ გარემოებამ მეტათ გააბრაზა სპარსეთი და გამოიწვია საშინელი სისხლის ღვრა. სპარსეთის მეფე **შაჰ-აბაზმა** ხომ პირდაპირ გადასწყვიტა საქართველოს მოსპობა. ჩვენ ბედშავ ქვეყანას თავს დაატყდა ენით წარმოუთქმელი რისხვა; ის შეიღება აღდგომის წითელ კვერცხივით თავისივე სისხლში.

---

51. ირანის ლომი შაჰ-აბაზი.

მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება სპარსეთის გაძლიერება. ამ დროს სპარსეთის ტახტზე ადის ახალი გვარი, **სეფიდების დინასტია**, რომლის დამაარსებლათ ითვლება **ისმაილ-შაჰ**. მან შეაერთა დანაწილებული სპარ-

სეთი და შექმნა ძლიერი სახელმწიფო. ამ დროს ქართლ-კახეთის მეფენი გზავნიდენ ელჩებს რუსეთში და სთხოვდენ შეკავშირებას. ეს გარემოება გულს უხეთქდა სპარსეთს და ოსმალეთს. რუსეთის ჩამოთესლებით ისინი არამც თუ ხელს იღებდენ საქართველოზე, არამედ თვითონ ვარდებოდენ საშინელ ხიფათში: აქამდი რუსეთსა და იმათ შორის აშვერილი იყო უზარმაზარ კედლათ კავკასიონის ქედი, რომლის კარები დახშული იყო რუსებისთვის. ამიერიდან თვით ქართველები უღებდენ რუსებს კავკასიონის კარებს, ე. ი. დარიალის ხეობას და უშვებდენ მათ ამიერ-კავკასიაში. აქედან კი რუსებს პირდაპირი გზა ეხსნებოდა როგორც სპარსეთის ისე ოსმალეთის დასაპყრობათ. აი ეს გარემოება აშინებდა მეტათ ამ ორ საზელმწიფოს და ყოველგვარ ზომებს ხმაროობდენ, რომ საქართველო არ შეერთებოდა რუსეთს.

ისმაილ-შაჰმ შეკრა ზავი ოსმალეთთან და მოიწადინა საქართველოს მოსპობა, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალა მათ ხელი. ისმაილის შვილი **შაჰ-თამაზი** ოთხჯერ შემოესია საქართველოს ძლიერი ჯარებით, მაგრამ სასტიკათ დამარცხდა ქართლის მეფე **ლუარსაბ პირველისა** და მისი შვილის **სვიმონის** მიერ. ამ გვარათვე დაამარცხა სვიმონ მეფემ ოსმალებიც.

ამ ხანებში მოკვდა შაჰ-თამაზი და სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი გენიოსი შვილი **შაჰ-აბაზი**. ის იყო მეტათ ცბიერი, დიდათ ნიჭიერი და შორს გამჭვრეტი ადამიანი, მასთან შესანიშნავი სარდალი, ამიტომ მას მეტ სახელათ დაერქვა სპარსეთის ანუ **ირანის ლომი**. ამ დიდებულმა შაჰმ გააფართოვა სპარსეთის საზღვრები და უმაღლეს წერტილამდი აიყვანა თავის ქვეყნის პოლიტიკური ძლიე-

რება. შაჰ-აბაზმა მაშინვე მიაქცია ყურადღება საქართველოს. ამ დროს ქართლში მეფობდა **გიორგი მეათე**, კახეთში კი **ალექსანდრე მეორე**; ამათ გაჩაღებული მიწერ-მოწერა ქონდათ **რ**უსეთის მეფესთან. ამ გარემოებამ მეტათ შეაშფოთა **შ**აჰ-აბაზი. მისი შორს გამჭვრეტი გონება ნათლათ ხედავდა, თუ რა შედეგი მოყვებოდა ამ მიწერ-მოწერას. მან შეუთვალა ქართლ-კახეთის მეფეებს შეეწყვიტათ **რ**უსეთთან ყოველივე კავშირი, ნაცვლათ დაპირდა ყოველგვარ შეღავათს, მაგრამ ამაოთ. ჩვენი მეფეები დაჯინებით გზავნიდენ ელჩებს **რ**უსეთში და სთხოვდენ შეკავშირებას. ამით განრისხებულმა **შ**აჰ-აბაზმა მიმართა მკაცრ საშვალებას: მან იდუმლათ მოაწამლინა ქართლის მეფე ბიორგი, კახეთის მეფეს კი გაუგზავნა მკვლელათ მისივე გამამადიანებული შვილი **კოსტანტინე**, რომელსაც დაპირდა კახეთის ტახტს. სპარსელთა რაზმით კოსტანტინე მოვიდა კახეთს, დაიბარა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა ბიორგი, მოკლა ისინი ღალატით და გამეფდა კახეთში.

---

52. ქეთევან დედოფალი და თეიმურაზ პირველი. (1605-1663 წ.).

კოსტანტინეს საზიზღარმა მოქმედებამ ააშფოთა მთელი კახეთი. ამ მამის და ძმის მკვლელმა მოისურვა აგრეთვე თავის ქვრივი რძლის **ქეთევან დედოფლის** ცოლათ შერთვა. მოთმინებიდან გამოსული კახეთი აჯანყდა ქეთევან დედოფლის მეთაურობით. ამ იშვიათმა ქალმა

იწყო საომრათ მზადება და ჯარების მოგროვება. თავის მხრივ ქოსტანტინესაც მოუვიდა მაშველი ჯარი ზანჯაშირვანიდან და ადირბეჯანიდან. მამაცი ქეთევანი გაუძღვა თავის ლაშქარს და ეკვეთა თავგანწირულათ მოღალატეს. მოხდა საშინელი ბრძოლა, სადაც სანაქებოთ გაიმარჯვეს კახელებმა. დამარცხდა ქოსტანტინეს ჯარი, თვით ქოსტანტინე მოკლა ამ ბრძოლაში ქახეთის გმირმა დავით ჯანდიერმა და მისი თავი მიართვა ქეთევანს.

ქეთევანმა აუწყა თავის გამარჯვება შაჰ-აბაზს და მოსთხოვა ქახეთის მეფეთ მძევლათ წაყვანილი თავისი შვილი **თეიმურაზი**. შაჰ-აბაზი მეტათ გააბრაზდა ქოსტანტინეს მოკვლამ და ქეთევანის გამარჯვებამ, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით დაიმშვიდა გული, დაიბარა თეიმურაზი, განუცხადა პირფერობით თავისი სიხარული, მიულოცა გამარჯვება და დიდის საჩუქრით გაისტუმრა ქახეთის მეფეთ.

სამწუხაროთ, თეიმურაზი ვერ გამოდგა შესაფერი მეფე; ეს იყო მეტათ უნდო და წვრილმანი ადამიანი, სუსტი მართველი და უნიჭო სარდალი. მას წარმოდგენილი ქონდა თავი დიდ პოეტათ და იმ დროს, როცა მთელი ქახეთი იღუპებოდა, ეს მეფე ალხეინათ ბძანდებოდა იმერეთს და სწერდა თავის უნიჭო ლექსებს და პოემებს. თეიმურაზს მეტათ სძულდა შაჰ-აბაზი, თანაც მეტათ ეშინოდა მისი; მას არ სწამდა შაჰ-აბაზის ფიცი და დაპირებანი. ამიტომ იგი ადრევე დაადგა იმავე გზას, რასაც ადგენ მისი წინაპრები და იწყო მოციქულების გზავნა რუსეთში. ამ საქმეში მან ჩაითრია ახალგაზდა და სუსტი ხასიათის მქონე ქართლის მეფე **ლუარსაბ მეორე**. ამგვარი მოქმედებით თეიმურაზმა მეტათ გაარისხა შაჰ-

აბაზი, გამოიწვია ძახეთის აოხრება და მთელი საქართველო ჩააგდო საშინელ ხიფათში. თეიმურაზ მეფის სიბრიყვეს უნდა მივაწეროთ მისი ორი შვილის, ლუარსაბ მეფის და ძეთევან დედოფლის წამებაც.

შაჰ-აბაზს არ სურდა უბრალოთ სისხლის დანთხევა. მისი მიზანი იყო მშვიდობიანი გზით მოენადირებია თეიმურაზის და ლუარსაბის გული; ამ მიზნით იგი დაემოყვრა ორივეს და შეირთო ცოლათ მათი დები. აგრეთვე დაამოყვრა ერთმანეთს ეს ორი მეფე; თეიმურაზს შერთო ცოლათ ლუარსაბის მეორე და. შაჰაბაზი გულწრფელათ ურჩევდა ორივე მეფეს შეეწყვიტათ რუსეთთან ყოველივე კავშირი და მინდობოდენ მას, როგორც სიძეს და ერთგულ ადამიანს. შაჰ-აბაზი არ ზოგავდა თავს, რათა მოეგო ამ ორი მეფის გული და დაკავშირებოდა მათ, მით უმეტეს, რომ იგი დედით ქართველი იყო და კარგათ იცოდა ქართული ენა. მაგრამ ყოველივე ცდამ უქმათ ჩაუარა ამ დიდებულ შაჰს. მაშინ იგი დიდი ჯარით წამოვიდა ივერიაში და მოსთხოვა თეიმურაზს მძევლათ შვილები. თვიმურაზმა გაუგზავნა ჯერ უმცროსი ვაჟი და შემდეგ უფროსი, თანაც გააყოლა მათ თავისი დედა ძეთევან დედოფალი. შაჰ-აბაზმა დაიბარა თვითონ თეიმურაზი, მაგრამ მან გაქუსლა იმერეთს და თან გადიყვანა მეფე ლუარსაბი, რომელიც შემდეგ მოტყუებით ხელში ჩაიგდო შაჰ-აბაზმა. ცოტა ხნის შემდეგ შაჰი უომრათ დაბრუნდა სპარსეთს და თან წაიყვანა ლუარსაბი, თეიმურაზის დედა და შვილები.

53. კახეთის აოხრება. (1616 წ.).

ბავიდა თუ არა ქართლ-კახეთიდან შაჰ-აბაზი, კახეთის საუკეთესო მამულიშვილებმა **დავით ჯანდიერმა, თამაზ ვაჩნაძემ** და **ნოდარ ჯორჯაძემ** მოახდინეს შეთქმულობა კახეთში დარჩენილ სპარსელთა ჯარის წინააღმდეგ. მათ შეკრიბეს საუკეთესო ვაჟკაცნი და ალაყერდობა დღეს მოულოდნელათ აუტეხეს ბრძოლა სპარსელებს ეკლესიის გალავანში, გაწყვიტეს ისინი ერთიანათ, გადმოიყვანეს იმერეთიდან თეიმურაზი და დასვეს ტახტზე.

თეიმურაზმა შეაგროვა 10 ათასი მეომრი, დაეცა გამამადიანებულ იასეს, შაჰ-აბაზის მიერ დაყენებულს, მოკლა იგი და ამოსწყვიტა ერთიანათ სპარსელთა ჯარი მისი სარდლებით. ამას არ დაჯერდა თეიმურაზი; მან გასწყვიტა იასეს მომხრე თავადობა, შეიპყრო კახეთში მყოფი სპარსელი ვაჭრები და დახოცა ათასი წამებით; მათი ქონება კი დაისაკუთრა თვითონ. არც ეს იკმარა; შეუსია ათი ათასი კაცი სპარსეთის მიდამოებს და ააოხრა ერთიანათ. ეს ამბები მალე გაიგო შაჰ-აბაზმა. მის გაბრაზებას არ ქონდა საზღვარი. ის შეუდგა სამზადის, შეაგროვა აუარებელი ჯარი და წამოვიდა კახეთის მოსასპობათ. წამოსვლამდი კი მოაკვლევინა ლუარსაბ მეფე, თეიმურაზის ორი ვაჟი და საშინლათ აწამა გახურებული შანთებით ქეთევან დედოფალი, რომელიც ქართველმა ეკლესიამ შერაცხა წმინდათა შორის.

აღდგომა ღამეს დავით ბარეჯის უდაბნოში ეკლესიას უვლიდენ ლიტანიას კელაპტრებით ხელში ექვსი

ათასი ბერი და გალობდენ ქრისტე-აღდგას. შორს გაისმოდა ეს აფრთოვანებული ღაღადება და ტკბილათ აკრთობდა მიდამოს. ამ დროს გავარდა თოფი, იელვა ჰაერში ხმალმა; ათიათასი გამხეცებული მხედარი ეკვეთა უმწეო ბერებს და იწყეს მათი მუსვრა. ეს იყო შაჰ-აბბაზის მოწინავე ჯარი. დავით გარეჯის უდაბნოს ბერები შეიქნენ პირველი სხვერპლნი. სამი მხრით მოედვენ ქახეთს შაჰ-აბბაზის მძვინვარე ჯარები და იწყეს ხალხის უწყალოთ ჟლეტა; ცეცხლსა და მახვილს მისცეს ყველაფერი. ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა ამ ტურფა ედემში. ათასობით სპობდა ქალსა და კაცს მტარვალის თოფი და ზარბაზანი. მტრის ხმალი და ხანჯალი იღებებოდა ქართველის სისხლით. ცეცხლის აღზნებული ალი, მომაკვდავის საზარელი კვნესა, ბავშთა უნუგეშო ტირილი და ქალთა საშინელი ვაება წვდებოდა თვით ზეცას, მაგრამ ზეცა სდუმდა ამ საშინელების წინაშე.

აოხრდა მთელი ქახეთი; ვინც ვერ მოასწრო მთებში შეფარება, ზოგი დაიხოცა, ზოგიც შეიქნა ტყვეთ. მოსპეს და გადასწვეს ყველაფერი; ნანგრევებათ იქცა ეს მშვენიერი და მჭიდროთ დასახლებული ქვეყანა. ასე იჯერა გული მძვინვარე შაჰ-აბბაზმა! ასე გადუხადა სამაგიერო ბრიყვ თეიმურაზს! **70 ათასი** კახელი გაწყდა ამ შემოსევის დროს. **150 ათასი** კი ტყვეთ ჩაუვარდა ხელში სპარსელებს. ამათგან სამი წილი გაწყდა გზაში. დანარჩენი ზოგი გაიყიდა მონებათ, ზოგიც დაასახლეს სპარსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში და ძალათ მიაღებიეს მამადის რჯული. ამ რიგათ გაწყდა ნახევარი ქახეთი; ეს იყო საშინელი რისხვა, რომლის მგზავსი არას დროს არ განუცდია საქართველოს...

როცა მშვენიერი ქახეთი ასე იღუპებოდა, მისი ულირსი მეფე თემურაზი განცხრომით ბძანდებოდა იმერეთს და ალხეინათ სწერდა თავის უნიჭო ლექსებს.

54. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

ზაბრაზებული შაჰ-აბაზი კიდევ უარეს საქმეს უპირობდა ქართლს. მან გადასწყვიტა მოესპო მთელი საქართველო, ქართველი ერი ზოგი გაეყიდა მონებათ, ზოგიც მოეფანტა სპარსეთის სხვა-და-სხვა უვარგის კუთხეში, მათ ნაცვლათ კი საქართველოში დაესახლებია სპარსელები, რათა ამ რიგათ ეხსნა თავისი სახელმწიფო საშინელ ხიფათისაგან, ე. ი. რუსთა შემოსვლისაგან ამიერ კავკასიაში. ადვილათ შეიძლება შაჰ-აბაზს აესრულებია კიდეც ეს თავისი სატანური განზრახვა და მოესპო ჩვენი სამშობლო, რომ განგებას საქართველოს მხსნელათ არ მოევლინა დიდებული გმირი **გიორგი სააკაძე**.

გიორგი სააკაძე იყო ქართლის უბრალო აზნაური. 16 წლის გიორგიმ იჩინა თავი სვიმონ მეფის დროს ოსმალებთან ბრძოლაში. ეს გენიოსი ახალგაზდა, 22 წლის გიორგი უკვე ხდება **ამირ-სპასალარათ** გიორგი მეფის დროს და იღებს თავადის ხარისხს. მას ემოყვრება და აძლევს ქალს ქართლის უუპირველესი თავადი ნუგზარ არაგვის ერისთავი. სააკაძე ხდება თითით საჩვენებელ გმირათ. ის შეიქნა მეფის პირველ ვეზირათ და **დიდ-მოურავათ**. მეფის ბძანებით გიორგიმ ალაგმა თავგასული ერისთავები, დაამარცხა ოსები, გადააყენა ულირსი მო-

ხელენი და მათ ნაცვლათ ქვეყნის გამგეობის სათავეში ჩააყენა ღირსეული პირნი. სააკაძე არ აქცევდა ყურადღებას გვარიშვილობას, რითაც მეტათ გადიმტერა დიდი თავადები. გიორგიმ მალე დაამშვიდა მტერთაგან აოხრებული ქართლი, დააბინავა გლეხობა, ხელი შეუწყო მშრომელ ხალხს და ააღორძინა ვაჭრობა-მრეწველობა. ერთი სიტყვით ყველაფერ საქმეში ახალგაზდა სააკაძემ გამოიჩინა საარაკო ნიჭი, ნამდვილი გენიოსობა; რომლის მგზავსი ჩვენ სამშობლოს არ ღირსებია დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ. მისი მართვა-გამგეობით და სამხედრო ნიჭით განცვიფრებული იყვენ მეზობელი მეფენი, განსაკუთრებით შაჰ-აბაზი.

დიდებულ ნიჭთან ერთათ ბუნებას უხვათ დაეჯილდოებია გიორგი სააკაძე გარეგან სიმშვენიერით. ის იყო მეტათ ზორბა, ახოვანი და საოცრათ ღონიერი ვაჟკაცი; მის ლამაზ სახეს ამკობდა შავი წვერ-ულვაში. მის ცეცხლის მრქვევ თვალებიდან კრთოდა უსაზღვრო სიმამაცე, დიდსულოვნება და სამშობლოს სიყვარული; მისი ლომებრივ მჭექარე ხმა შიშის ზარს სცემდა ბრძოლის ველზე საქართველოს მტერთ. ვაი მას, ვისაც მოხვდებოდა გიორგის ხმალი! კაცი და ცხენი ოთხათ გაკვეთილი ვარდებოდენ ძირს. მტრის რაზმები ივლტოდენ მის წინაშე; ათასი კაცით ის ამარცხებდა მტრის ოცსა და ორმოც ათას მხედარს.

გიორგი სააკაძე არ ეთანხმებოდა ქართლ-კახეთის მეფეთა მისწრაფებას; მას არ სურდა საქართველოს რუსეთთან შეკავშირება. მისი მიზანი იყო დანაწილებულ საქართველოს შეერთება; **მას სწყუროდა აღედგინა დიდი დავითის და თამარის დროის საქართველო.**

ვით ამირან გმირი, ვით წმინდა გიორგი თეთრი რაშით, გიორგი სააკაზე მფარველობდა საქართველოს იმ დროს, როცა ჩვენ სამშობლოს უპირობდა ერთიანათ აოხრებას ირანის ლომი შაჰ-აბაზი.

---

55. ცხირეთის ომი. (1609 წ.)

გიორგი სააკაძის შეწყანიშნავ გმირობათ უნდა ჩაითვალოს ოსმალოს ჯარზე საარაკო გამარჯვება. გაბრაზებულმა სულთანმა შეუსია საქართველოს **30 ათასი** მეომარი. მს ჯარი მოულოდნელათ შეიჭრა ქართლში და წამოვიდა სოფელ **ცხირეთზე**, სადაც იმყოფებოდა იმ დროს ახალგაზდა მეფე **ლუარსაბ მეორე** თავის ამალით.

ოსმალოს მოწინავე ჯარმა გზაში ჩაიგდო ხელში **თევდორე ღვდელი**, გაიგდო იგი მუქარით წინ ცხირეთის გზის საჩვენებლათ. მაგრამ ამ ღირსეულ ქართველის გულში ღვიოდა მამულის მტკიცე სიყვარული. მან არჩია ქვეყნის ღალატს ტანჯვით სიკვდილი. თევდორე ღვდელი გაუძღვა მტრებს, ააცდინა ცხირეთის გზას და შეიყვანა უსიერ ტყეში. აქ მტრები მიუხვდენ ღალატს; სტაცეს ხელი ღირსეულ მამულიშვილს და მოკლეს წამებით. ოსმალებმა ძლივს დაახწიეს თავი უდაბურ ტყეს და მიადგენ ცხირეთს. თევდორე ღვდელი ეკლესიამ შერაცხა წმინდათა შორის.

ოსმალთა ჯარის მოულოდნელმა თავდასხმამ შიშის ზარი დასცა ლუარსაბ მეფეს და მის ამალას. მათ დაკარგეს ყოველივე იმედი. მაგრამ მათ შორის იყო ერთი

ძლიერი ადამიანი, რომლის გულს არას დროს არ მიკარებია შიში, ეს იყო დიდი მოურავი **გიორგი სააკაძე.** მან გაამხნევა მეფე და მისი ამალა, აფრინა ირგვლივ შიკრიკები ბარათებით და შვიდი საათის განმავლობაში შეკრიბა **ხუთასამდი კაცი.** ამ ერთი მუჭა რაზმით იგი შევარდენივით თაეცა თავზე ოსმალთა ჯარს და იწყო მათი საშინელი მუსვრა. ცოტა ხნის შემდეგ მას მოემატა კიდევ **ხუთასი კაცი** ზაზა ციციშვილის მეთაურობით. ახლა უფრო გამხნევდა სააკაძე. იგი იბრძოდა როგორც ლომი, მისი შუბის კვეთება, ხმლის ტრიალი და მჭექარე შეძახება შიშის ზარს ფენდა მტრის რაზმებს. სააკაძეს გვერდით მისდევდა ხმალმოწვდილი მეფე ლუარსაბი და მუსრავდა მტერს. გიორგის შემდეგ ყველაზე მეტათ თავი იჩინა **ზაზა ციციშვილმა.** მან თავის ხელით მოკლა მტრის მთავარ-სარდალი და მისი თავი მიართვა მეფეს.

მტერი დაფრთხა; ამდენმა ჯარმა იბრუნა პირი და მიაშურა ბორის ციხეს. მაგრამ სომხის ღვდელმა ტერსააკამ დროით აცნობა გორელებს ეს ამბავი. ხალხი გამოცვინდა ქალაქიდან, მტრის თვალწინ აჰყარა ხიდი და მით შეუშალა ხელი ოსმალოს ჯარს ციხეში შესასვლელათ. მაშინ ოსმალთა ჯარი დაადგა ახალციხის გზას, მაგრამ მათ დაედევნა **ექვსი ათასი კაცით** გიორგი სააკაძე და ბორჩომის ხეობაში მიაყენა მტერს ისეთი დამარცხება, რომლის მგზავსი არას დროს არ ენახათ ოსმალებს. მთელი მათი ბანაკი და ქონება დარჩა ქართველებს. ამ რიგათ სააკაძის წყალობით იძლია საშინელი მტერი. ქართველთა სიხარულს არ ქონდა საზღვარი.

56. გიორგი სააკაძის განდევნა სპარსეთში.

ოსმალთა ჯარის დამარცხების შემდეგ სააკაძის სახელი უფრო განითქვა მთელ საქართველოში. იგი შეიქნა თითით საჩვენებელ გმირათ. მეფე ლუარსაბმა მეტათ შეიყვარა გიორგი და ერთ დღეს ეწვია მას დიდი ამალით. გიორგიმ მეფური ნადიმი გადუხადა ლუარსაბს. მან გადააჭარბა სიუხვით და მასპინძლობით ყველა დიდებულს. ამ ლხინის დროს მეფის ნორჩი გული მოხიბლა თავის სიმშვენიერით და საოცნებო სიმღერით სააკაძის დამ **მაკრინემ**. მეფემ გადასწყვიტა მისი ცოლათ შერთვა და შეირთო კიდეც.

ამ რიგათ ქართლის მეფე შეიქნა სააკაძის სიძე, მაგრამ ეს მეფის დამოყვრება გახდა საბედისწეროთ თვით სააკაძისთვის. ამ დამოყვრებამ უზომოთ გააბრაზა დიდებულნი. მათ გადასწყვიტეს სააკაძის დაღუპვა. ისინი შეუჩდენ მეფეს, დაემუქრენ ტახტიდან ჩამოგდებას და იმდენათ გადიბირეს ეს სუსტი ხასიათის ადამიანი, რომ გააშვებიეს ცოლი. თვით სააკაძეს დაუპირეს ღალატით მოკვლა. ეს ამბავი შეიტყო გიორგიმ და ძლივს გაასწრო თავის ცოლ-შვილით. დიდებულნი დაეცენ სააკაძის სასახლეს, გაცარცვეს და ცეცხლის ალს მისცეს მთელი მისი ქონება. ამ რიგათ ქართლის თავადებმა მოაშორეს თავის სამშობლოს უუპირველესი გმირი და მამულიშვილი. სააკაძის გაძევებით მათ დააობლეს მთელი საქართველო.

გიორგი სააკაძემ თავი შეაფარა სპარსეთს. მას თან ახლდა **თავის** ცოლის ძმა, შესანიშნავი ვაჟკაცი **ზურაბ**

ერისთავი. შორს გამჭვრეტმა შაჰ-აბაზმა მეფური ღირსებით მიიღო საკაძე, უბოძა დიდი ადგილი და ქონება. შაჰმ ისარგებლა ამ გმირის სტუმრობით, წაიყვანა იგი საომრათ ჯერ ინდოეთში და შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ. საკაძემ სანაქებოთ გაიმარჯვა ორივე ალაგას, დაუპყრო შაჰის დიდი ქვეყნები და მოდრიკა ოსმალეთის ამაყი სულთანი. გიორგის სახელი განითქვა მთელს აზიაში. აღმოსავლეთის პოეტები უძღვნიდენ მას ლექსებს და პოემებს; მომღერალნი გალობდენ ლხინსა და ნადიმში მის ქება-დიდებას.

საკაძის სპარსეთში ყოფნის დროს საქართველოს თავს დაატყდა ის საშინელი რისხვა, რომელიც მოვიხსენეთ ზეით: მრისხანე შაჰ-აბაზმა სისხლით შეღება მთელი ქახეთი და გაწყვიტა აურაცხელი ქართველობა. ამ დროს საკაძე ხმლით ხელში წინ მიუძღოდა სპარსელ ჯარებს და იპყრობდა ქვეყნებს. გიორგის ესმოდა ბრძოლის ველზე ის საშინელი ამბები, რაც თავს დაატყდა მის სამშობლოს. ამ გმირის გული ივსებოდა საშინელი შურისძიებით. ის ელოდა დროს, ის ეძებდა მარჯვე შემთხვევას. და აჰა, მიეცა მას ერთიც და მეორეც!

---

57. შაჰ-აბაზის რისხვა.

იმერეთს გადახვეწილი მეფე თეიმურაზი გზავნიდა ელჩებს რუსეთში და სთხოვდა შეკავშირებას. მან მიიმხრო ამ საქმეში იმერეთის მეფე გიორგი და გურია-სამეგრელოს მთავრები. ეს ამბავი ესმოდა შაჰ-აბაზს და

ბრაზით ივსებოდა მისი გული. შაჰმ გადასწყვიტა **საქართველოს სრულიათ მოსპობა.** მან გამოგზავნა უთვალავი ჯარი საუკეთესო სარდლების მეთაურობით და უბრძანა კახეთის ერთიანათ ამოწყვეტა, ქართლის აყრა და სპარსეთში გადასახლება, მათ ნაცვლათ კი სპარსელთა დასახლება.

ეს იყო საბედისწერო ჟამი ქართველი ერის ცხოვრებაში. ამისთანა განსაცდელი არას დროს არ დასდგომია ჩვენს უბედურ ქვეყანას, ამიერიდან მისი სახელი უნდა წაშლილიყო ქვეყნის გულიდან; ამიერიდან ქართველების ნაცვლათ ივერიაში უნდა ყოფილიყვენ სპარსელნი. **ან სიცოცხლე, ან სიკვდილი! ან საუკუნოთ გაქრობა, ან გმირული ბრძოლა და გამარჯვება!** აი რა საშინელი სიტყვები აიმართა ქართველი ერის თვალწინ!

სპარსეთის ლაშქარი სხვადასხვა გზით შემოვიდა ქართლ-კახეთში და დიდი მოხერხებით დაიკავა ციხეები. მათ მოამწყვრიეს შუაში უმეფოთ და უპატრონოთ დარჩენილი ქართველობა. თავის სარდლებს შაჰ-აბაზმა თან გამოაყოლა ბიორგი სააკძე. სააკაძე შაჰის მიაჩდა თავის ერთგულ კაცათ, მით უმეტეს, რომ საქართველომ იგი გარისხა და გადისროლა. მაგრამ მოსტყუვდა საშინლათ. ამ გმირის გულში ღვიოდა სამშობლოს ძლიერი სიყვარული. ჩამოვიდა თუ არა საქართველოში, ბიორგიმ ხელი მიყო მოქმედებას. მან საიდუმლოთ აფრინა კაცები ქართლ-კახეთის ყოველ კუთხეში, გაამხნევა დაფრთხალი ხალხი, მიიმხრო გავლენიანი თავად-აზნაურნი და გამართა დიდებული შეთქმულობა მტარვალთა გასაჟლეტათ და საქართველოს გადასარჩენათ. შეთქმულებს ბიორგიმ მისცა პაემანი; ეს იყო **25 მარტი,** ე. ი. **ხარება.**

ხარება დილას რიჟრაჟზე ქართველი ჯარი მოულოდნელათ უნდა დასხმოდა **სამუხრანოში** (ქართლში) სპარსთა მთავარ ლაშქარს და უნდა გაეწყვიტა იგი. აქედან სწრაფათ უნდა სცემოდენ და აეღოთ ყველა ციხეები, ამ რიგათ უნდა მოეშორებიათ თავის სამშობლოსთვის საშინელი განსაცდელი. მართლაც ყველაფერი ასრულდა იმ წესით, რაც მისცა შეთქმულებს ზიორგი სააკაძემ. ის იყო სული და გული ამ საიდუმლო მოძრაობის.

---

58. საქართველოს გადარჩენა. (1623 წ.).

მოახლოვდა დანიშნული დღე. ხარებამ წინა ღამეს ზიორგი სააკაძე ოთხი საუკეთესო ვაჟკაცით იყო მტრის მთავარ ბანაკში. ეს ხუთი გმირი იარაღ ასხმული იდუმლათ ერთ კარავში გულის ფანცქალით ელოდენ რიჟრაჟს, ელოდენ შეთქმულთა ნიშანს, რომ დარეოდენ მტერს და შიშის ზარი დაეცათ მისთვის.

ამ დროს გაისმა შორს ბუკის და საყვირის საშინელი ხმა, ეს იყო შეთქმულთა ნიშანი; თუშ-ფშავ-ხევსურთა ჯარი ზიორგი სააკაძის შვილის და ზურაბ ერისთავის მეთაურობით მოდიოდა მტარვალთა გასაქლეტათ. ქართველი ჯარის გუგუნი და ბუკ-ნაღარის მჭექარე ხმა ედებოდა ველსა და მთებს, ეს ხმა შიშის ზარს ფენდა სპარსელთა ლაშქარს. მათ ეგონათ ეს თეიმურაზ მეფე რუს-იმერთა ჯარით, რადგან ეს ხმა წინდაწინ დაყარა შორსგამჭვრეტმა სააკაძემ. უსაზღვრო შიშმა შეიპყრო სპარსელები. ისინი დაიბნენ ამ მოულოდნელ თავდას-

ხმაზე. მათმა სარდლებმა აფრინეს კაცი ბიორგისთან. სააკაძე თავის ოთხი ვაჟკაცით ცხენზე შემსხდარი მივიდა მთავარ სარდლის **ყორჩიხანის** კარავთან. აქ შემოეხვიენ მას სპარსელი სარდლები გაფითრებული სახით და დაუწყეს კითხვა, თუ რას ნიშნავდა ეს ბუკის ხმა.

„ეს ის ხმაა, რომ დადგა ჟამი თქვენი გაჟლეტისა და საქართველოს გათავისუფლებისა“! მიაძახა მათ ბიორგი სააკაძემ. **„სიკვდილი მტარვალთ“!** შესძახა მან მჭექარე ხმით, იძრო შუბი, ჰკრა გულში თვით ყორჩიხანს და იქვე გააგორა. შემდეგ ხმლით ხელში თავის ოთხი გმირითურთ ჩაერია სპარსელ სარდლებს და გაჟლიტა ერთიანათ. ეს იყო ერთი წუთის საქმე. ეს ხუთი გმირი ახლა ლომივით ეკვეთენ სპარსელთა ჯარს და შეიქნა საშინელი ჟლეტა. ამასობაში მოუსწრო ქართველმა ჯარმა. როგორც გაშმაგებული ლომები, ისე ჩაერიენ ამ უთვალავ ლაშქარში **ზურაბ ერისთავი** და ბიორგის შვილი **ზურაბი** თავის ვაჟკაცებით და გაავლეს მუსრი. შეიქნა მტრის უწყალო ჟლეტა; ისე შეიპყრო შიშმა სპარსელნი, რომ ველარ არჩევდენ მტერს და ხოცავდენ ერთმანეთს. ორ-სამ საათში ქართველმა ჯარმა მოუღო მათ ბოლო. შემდეგ ქართველები გაეშურენ სხვა ციხე-სიმაგრეების ასაღებათ; აიღეს რამდენიმე ციხე, დაამარცხეს ყველგან სპარსთა ჯარები და ბოლოს გაეშურენ **ლოჭინოს**, ქახეთისკენ, სადაც იდგა კიდევ მტრის დიდი ლაშქარი. მეორე მხრით სპარსელთ მოადგენ ქახელები **დავით ჯანდიერის** მეთაურობით. აქაც ქართველმა ჯარმა გამოიჩინა საოცარი გმირობა და გაჟლიტა მტერი.

ამ რიგათ სააკაძემ, თავის გენიოსური ნიჭით **გადაარჩინა ქართლ-კახეთი დაღუპვას** და **ერთიანათ მო-**

სპობას. **მ**აგრამ იაფათ არ დაუჭდა მას ეს გმირობა. **სა-**
აკაძემ უმსხვერპლა სამშობლოს თავის უფროსი და უსა-
ყვარლესი ვაჟი **პაატა**, რომელიც **შ**ah-**ა**ბაზმა დაიტოვა
მძევლათ. **ბ**ამხეცებულმა შahმ საშინელი წამებით მოკლა
პაატა და მით იჯერა გული **სა**აკაძეზე.

---

59. მარაბდის ომი და საკაძის გოლო.
(1623—1629 წ.).

ამ უმაგალითო გამარჯვების შემდეგ **ს**აკაძემ გად-
მოიყვანა **ი**მერეთიდან **თ**ეიმურაზ მეფე და დასვა **ქ**ართლ-
კახეთის ტახტზე. **ი**ქით **შ**ah-**ა**ბაზი შეუდგა დიდ მზადე-
ბას შურის საძიებლათ. **მ**ან შეკრიბა თავის ვრცელ სა-
ხელმწიფოში საუკეთესო ლაშქარი, რიცხვით **100 ათასი**
მეომარი და თავის სიძის **ყ**ორჩიბაშის მეთაურობით გა-
მოგზავნა **ს**აქართველოს მოსასპობათ.

არც **ბ**ეორგი **ს**აკაძეს ეძინა. **მ**ან შეაგროვა **ქ**ართლ-
კახეთში რჩეული ჯარი, რიცხვით **20 ათასი კაცი** და
ურჩევდა **თ**ეიმურაზ მეფეს **ქ**ართლშივე გამაგრებას. **მ**აგ-
რამ პირადმა მტრობამ დაღუპა საქმე. **ს**აკაძის მტერმა
თავადებმა ჯარის მთავარ-სარდლობა მისცეს თვით მეფე
თეიმურაზს და მასვე ურჩიეს მიხტომოდა სპარსელებს.
სუსტი გონების პატრონი **თ**ემურაზი აყვა თავადებს.
მან არ შეისმინა **ს**აკაძის გონივრული რჩევა და მიუხტა
ჯარით სპარსელებს. **ბ**რძოლა მოხდა პაპანება სიცხეში
უწყლო და მხურვალე ადგილას **მ**არაბდის **ვ**ელზე. **ს**იც-
ხეს შეჩვეულნი სპარსელნი იბრძოდენ მხნეთ; მაგრამ მათ

სიმრავლეს აქაც სძლია ქართველი ჯარის ვაჟკაცობამ და მეტადრე ზიორგი სააკაძის გენიოსობამ. სასტიკათ დამარცხდა მტერი და იბრუნა პირი გასაქცევათ.

ამ დროს მთებიდან გამოჩდა სპარსეთის მეორე ლაშქარი და მედგრათ ეკვეთა ბრძოლით და სიცხით დაქანცულ ქართველებს. ქართველი ჯარი ჩავარდა საშინელ საფრთხეში. ის მოემწყვრა სპარსელებს შორის. სპარსთა უთვალავი ჯარი შემოევლო ირგვლივ ქართველებს და იწყო მათი უწყალო ჟლეტა. ქართველთ დაუდგათ საბედისწერო ჟამი. ამ საშინელ ბრძოლაში გამოიღეს ხელი საომრათ თვით ღვდელმთავრებმაც. ამ ბრძოლაში გაწყდენ საუკეთესო მამულიშვილნი და მათ შორის **ცხრა ძმა ხერხეულიძე** და **ცხრა ძმა მაჩაბელი**. ამ საშინელმა ბრძოლამ იმსხვერპლა **ცხრა ათასი ქართველი** და **18 ათასი სპარსელი**.

იქნებ სულ ერთიანად გაწყვეტილიყო ქართველი ჯარი, რომ იგი არ ეხსნა ისევ ზიორგი სააკაძეს. რამდენიმე თავგანწირულ ვაჟკაცით მან გააპო მტრის ლაშქარი და მისცა გასაქცევი გზა ქართველ ჯარს. ამ რიგათ თეიმურაზისა და მის მრჩეველთა წყალობით მარაბდის ველზე დამარცხდა ქართველი ჯარი; მან ზურგი უჩვენა მტერს. ყველაზე წინ გარბოდა თეიმურაზ მეფე. ზიორგი სააკაძე კი ერთი მუჭა ვაჟკაცებით აჩერებდა მტერს და ბრძოლით მიჰყვებოდა უკან.

სპარსეთის ჯარი შემოვიდა ქართლში. ხალხი გაიხიზნა მთებში. სააკაძემ ფიცხლავ შეაგროვა ორას-სამასი ვაჟკაცი და გაუმართა მტერს **სათარეშო ბრძოლა**. ამ მცირე რაზმით ისე შეავიწროვა მტერი, რომ რამდენიმე თვის შემდეგ სპარსნი შერცხვენილი გაბრუნდენ უკან. ამ

რიგათ გმირმა სააკაძემ ხელმეორეთ იხსნა საქართველო დალუპვისაგან.

ამის შემდეგ სააკაძეს უსიამოვნება მოუხდა თეიმურაზ მეფესთან და ზურაბ ერისთავთან. ამის გამო იგი იძულებული გახდა ისევ გაცლოდა თავის სამშობლოს და წასულიყო ოსმალეთს. სულთანმა დიდის პატივით მიიღო სააკაძე, უბოძა მრავალი ქონება და გაგზავნა საომრათ მცირე აზიაში, სადაც ბიორგიმ ზედიზედ გაიმარჯვა და დაუპყრო სულთანს მრავალი ქვეყანა. დიდხანს არ დასცალდა სააკაძეს; საზიზღარმა შურმა მოუღო ბოლო ამ დიდებულ ადამიანს. მძინარე სააკაძე ღალატით მოკლა სულთნის სიძემ, დიდმა ვეზირმა, რომლის სახელი დაჩრდილა ოსმალეთში ბიორგის საარაკო გმირობამ. ეს საზარელი მკვლელობა მოხდა 1629 წელს.

ასე სამწუხაროთ დალია სული უცხოეთში საქართველოს უპირველესმა შვილმა და სამხედრო გენიოსმა, რომლის სახელი გრგვინავდა მთელს აზიაში!...

---

60. საქართველოს არეული მდგომარეობა (1630—1676 წ.).

ბიორგი სააკაძის სიკვდილის შემდეგ საქართველო ჩავარდა კიდევ უარეს მდგომარეობაში. საშინლათ აიწეწა როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთი. აღმოსავლეთ საქართველოს დაეპატრონა სპარსეთი, დასავლეთ საქართველოს კი ოსმალეთი. მესხეთი ხან ერთის ხელში გადადიოდა, ხან მეორისაში. ეს ჩვენი მტრები ცდი-

ლობდენ დაესუსტებიათ საქართველო და აღმოეფხვრათ მასში ქრისტიანობა. მიზანს აღწევდენ კიდეც. მათ გაამამადიანეს **აფხაზეთი** და **მესხეთი**. თვით ევერიაში გაბატონდა სპარსული ზნე-ჩვეულება, სამოსელი, სმა-ჭამა, ქცევა-საუბარი და მუსიკა-სიმღერები. ქართლ-კახეთის მეფენი და თავად-აზნაურნი ღებულობდენ მამადის სარწმუნოებას და ყველაფერში ბაძავდენ სპარსელთ, ამათ კი ბაძავდა ხალხი და ამ რიგით იხრწნებოდა ქართველი ერი.

ამავე დროს ჩვენს უბედურ სამშობლოს ყვავ-ყორნებივით ეხვევოდენ მთის ხალხები, უმთავრესათ ლეკნი და იკლებდენ ქვეყანას. ბურია-სამეგრელოში ხომ საშინელ სენათ გადიქცა ტყვეების ყიდვა ოსმალეთში. თავად-აზნაურები და თვით ბურია-სამეგრელოს მთავრები ყიდდენ ოსმალეთში თავიანთ მოძმეთ. ამ სამარცხვინო საქმეს კადრულობდენ ღვდელმთავრებიც კი. ასე დაეცა იმ დროს ქართველი ერის მაღალი ზნეობა! ასეთი დაზღუპავი გავლენა იქონიეს ქართველებზე სპარსეთმა და ოსმალეთმა.

უნიჭო მეფე თეიმურაზი ვერაფერს შველოდა თავის ქვეყანას. მისმა მუდარამ და დახმარების თხოვნამ რუსის ხელმწიფის მიმართ ვერაფერი ნაყოფი გამოიღო. რუსები პირდებოდენ დახმარებას, მაგრამ ეს დაპირება მუდამ ჟამს დაპირებათ რჩებოდა.

სპარსელები გამძლავრდენ აღმოსავლეთ საქართველოში. მათი შაჰები გზავნიდენ ქართლ-კახეთში მეფეებათ გამამადიანებულ ბატონიშვილებს. თეიმურაზი უკვე დიდხანს გადაყენებული იყო მეფობიდან და დარბოდა ხან რუსეთსა და ხან სპარსეთს; ხან რუსის ხელმწიფეს

სთხოვდა შველას, ხან სპარსეთის შაჰს აბრალებდა თავს. ამ ტანტალში ამოძვრა სული ამ დაუდეგარ მეფეს.

61. შეთქმულება სპარსელთა წინააღმდეგ. (1659 წ.).

სპარსელებმა მეტათ გაუჭივრეს საქმე ქახეთს. ერთ დროს მის მართველათ გახდენ სპარსელი მოხელენი. ესენი ართმევდენ მამულს ქახეთის თავადებს და აძლევდენ სპარსელთ; აგრეთვე ანგრევდენ ტაძრებს და საშინლათ სტანჯავდენ ხალხს. სპარსთა ასეთ სისასტიკეს ვერ გაუძლეს ქართლ-ქახელებმა. მტარვალთა წინააღმდეგ შეითქვენ ოთხი გამოჩენილი მამულიშვილი, **არაგვის ერისთავი ზაალი**, **ბიძინა ჩოლოყაშვილი** და **ქსნის ერისთავები ორი ძმა შალვა და ელისბარ**. ამათ მიიმხრეს თუშ-ფშავ-ხევსურნი, მოახდინეს აჯანყება, დაეცენ სპარსელებს ძლიერი რაზმით ბახტრიონის ციხეში და ალავერდობა დღეს ალავერდის ტაძრის გალავანში და გაჟლიტეს მტერი. მაგრამ იაფათ არ დაუჟდათ ეს გმირობა ამ ქებულ მამულიშვილთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ქახეთის მართველმა **მურთუზ-ალიმ** შეიპყრო **ბიძინა**, **შალვა** და **ელიზბარი** და გაუგზავნა შაჰის. შაჰიმ აწამა ისინი 1661 წელს. წამებულნი საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმინდათა შორის.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გათამამდენ სპარს-ოსმალნი. მათ ხელს უწყობდენ ერთმანეთში კინკლაობით თვით ჩვენი დიდი მებატონეები. მეფის გავლენა და სა-

ხელი უკვე დაცემული იყო ჩვენში. ბალაღებული თავადები ეცემოდენ ერთმანეთს და ართმევდენ ყმებსა და მამულს. ამგვარათვე ექცეოდენ ეს დიდი თავადები თავიანთ მეფეებსა და მთავრებს. ამ ქვეყნის დამღუპავ საქმეში ისინი იშველიებდენ სპარსელებს და ოსმალებს. ესენიც დიდი სიამოვნებით ერეოდენ ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში და სისხლით ღებავდენ ტანჯულ საქართველოს.

ასეთ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა, როცა ქართლში გამეფდა **გიორგი მეთერთმეტე**.

---

62. გიორგი მეთერთმეტე და ქართველთა სიმამაცე. (1676-1688 წ.).

მთელ მეჩვიდმეტე საუკუნეში გიორგი სააკაძეს შემდეგ პირველ კაცათ უნდა ჩაითვალოს ქართლის მეფე **გიორგი მეთერთმეტე**. ახოვანობით, სამხედრო ნიჭით და პოლიტიკური გამჭრიახობით გიორგი მეფე მოგაგონემდათ საქართველოს ბრწყინვალე დროის საუკეთესო მეფეებს. მაგრამ გარემოება არ უწყობდა ხელს ამ მეფეს აღედგინა ქართველი ერის ძველი დიდება. მისი მიზანი იყო **საქართველოს გაერთიანება ქართლ-კახეთის და იმერეთის შეერთებით**. ამ მიზნით მან მიიმხრო იმერეთის გავლენიანი თავადები და გაამეფა ქუთაისში თავისი ძმა **არჩილი**.

არჩილმა ვერ გაამართლა ძმის იმედები. თუმც ის იყო განათლებული კაცი და კარგი მწერალი, მაგრამ

იმავე დროს მეტათ სუსტი მეფე; ამიტომ ვერ გამაგრდა ვერც **ი**მერეთისა და ვერც **ქ**ახეთის ტახტზე. **ბ**ოლოს იძულებული გახდა წასულიყო **რ**უსეთს, სადაც მიიცვალა კიდეც 1710 წელს.

თვითონ **ბ**იორგის დიდხანს არ უმეფია **ქ**ართლში. **ი**ს იძულებული შეიქნა ქართველი ჯარით დახმარებოდა **ს**პარსეთის **შ**აჰის **ავ**ღანთა წინააღმდეგ. **ბ**იორგი მეფე დარჩა **ა**ზიაში თითქმის ოც წელს. **მ**ისი მეცადინობით, **შ**აჰმ **ქ**ართლის გამგეთ დანიშნა ყველაზე უფრო განათლებული ბატონიშვილი **ვახტანგი**, რომელიც შემდეგ გამეფდა **ქ**ართლში **ვახტანგ მეექვსეს** სახელით.

ბიორგი მეფემ ნამდვილი გმირის სახელი მოიხვეჭა მთელს **ა**ზიაში. **თ**ავის პატარა რაზმით მან დაამარცხა ავღანელნი და შიშის ზარი დასცა საერთოდ **ს**პარსეთის მტრებს, რომლებიც იხსენიებდენ **ბ**იორგი მეფეს **გურგენ-ხანის** სახელით. **ბ**იორგის დიდ ფეშქაშებს უგზავნიდენ **ა**ზიის სულთნები; აგრეთვე **ო**ანდაარში ყოფნის დროს დიდი ძღვენი მიართვა მას **ი**ნდოეთის მეფის შვილმა.

ბიორგი მეფეს გადაემტერა სულთანი **მ**ირვეისი, რომელმაც დაიმარტოხელა მეფე მცირე რაზმით, მიუხტა მას ღამე დიდი ჯარით და მოკლა მეფე (1709 წელს). **ბ**იორგი მეფის მცირე რაზმი, **500 კაცი**, წამოვიდა **გ**ირიშკისაკენ. **მ**ირვეისმა დაადევნა მას **15 ათასი ცხენოსანი**. **ე**სენი დაეწიენ ქართველებს და გაუმართეს ომი. 500 ქართველი თავგანწირვით ეკვეთენ მტერს და საარაკოთ გაიმარჯვეს. **მ**ათ თითქმის ერთიანათ გაჟლიტეს ეს დიდი ჯარი და მშვიდობით მოვიდენ **ბ**ირიშკს. **მ**ირვეისმა კიდევ დაადევნა ქართველებს **13 ათასი მეომარი**, რომელთაც ალყა შემოარტყეს **ბ**ირიშკს. **ბ**ანთიადისას ქართ-

ველები მიუხტენ მტერს გმირულათ, დაამარცხეს საშინლათ და გააქციეს. დახოცილთა თავებით კი აღმართეს კოშკი.

ასე უნაყოფოთ გაქრა შუაგულ აზიაში ქართველების ძალა და მამაცობა! საქართველოს ამით არ მისცემია არავითარი შეღავათი. მხოლოდ შორეულ აზიაში დარჩა ხსოვნა გმირ ბურგენხანისა და მის ლომგულ ქართველებისა.

ამ დროს დაობლებულ ქართლს განაგებდა განათლებული მეფე **ვახტანგ მეექვსე** ანუ **სჯულმდებელი**.

---

63. ვახტანგ სჯულმდებელი. (1703-1724 წ.).

ვახტანგ მეექვსე ანუ სჯულმდებელი, თუმც იყო ფრიად განათლებული პირი, მშრომელი და გულკეთილი, მაგრამ მას აკლდა პოლიტიკური გამჭრიახობა და სამხედრო ნიჭი, ე. ი. ის, რაც ყველაზე უფრო საჭიროა მეფისთვის. რვა წლის განმავლობაში ვახტანგი ერთგულათ განაგებდა ქართლს. მან გადმოიყვანა ქახეთში გახიზნული ქართლელები და დაასახლა მათსავე მამულში, დანგრეული ქართლი ისევ აღადგინა, მოაწყო შინაური საქმეები, გამართა შკოლები, დაარსა პირველათ თბილისში სტამბა და დაბეჭდა მრავალი წიგნი. მეფე განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლებას და ამ მხრივ მეტათ ბევრიც გააკეთა მან. ვახტანგმა შეადგინა აგრეთვე **კანონები**, ანუ **სჯულის წიგნი**, რისთვისაც უწოდეს მას **სჯულმდებელი**.

ვახტანგი მიიწვიეს სპარსეთს. ის დიდხანს დარჩა შაჰის სასახლეში. იქ მან მშვენივრათ შეისწავლა სპარსული ენა და მწერლობა. 1719 წელს შაჰმ აღიარა იგი **ქართლის მეფეთ** და გამოგზავნა სამშობლოში. გახარებული ვახტანგი შეუდგა ისევ ქართლის მართვას. მაგრამ არ დასცალდა დიდხანს მეფობა. 1722 წელს სპარსეთს მოადგა ორი ძლიერი მტერი: აღმოსავლეთით ავღანთა ხანი და ჩრდილოეთით რუსთა ხელმწიფე **პეტრე დიდი**. შეშინებულმა შაჰმ ვახტანგს სთხოვა დახმარება, მაგრამ [illegible] უარი. მეორე მხრით დახმარება სთხოვა ვახტანგს პეტრე დიდმა და აღუთქვა ბევრი რამეები. ეს ამბავი რომ სცნო ოსმალეთის სულთანმა, სწრაფათ აფრინა შიკრიკი ვახტანგთან და შეუთვალა, არ დახმარებოდა რუსებს, რადგან რუსთა გამარჯვებით დიდ საფრთხეში ვარდებოდა თვით ოსმალეთი. ნაცვლათ ამისა სულთანმა ვახტანგს აღუთქვა დიდი ჯილდო.

ვახტანგმა არ იცოდა რა ექნა. თუმცა მას სურდა პეტრე დიდის დახმარება, მაგრამ ერის დაუკითხავათ ვერ გადასწყვიტა ეს მძიმე საქმე. ამ მიზნით მან მოახდინა დიდებულთა კრება. დიდი ბჭობის შემდეგ ვახტანგს მიეცხრო კრების უმეტესობა. ამის შემდეგ ვახტანგმა შეკრიბა საუკეთესო ჯარი, რიცხვით 40 ათასი მხედარი, და გაემართა ყაზახს, რომ შეერთებოდა პეტრე დიდს. ამ მოქმედებით ვახტანგმა მეტათ გაარსისხა როგორც შაჰი, ისე სულთანი, რომლებიც ამიერიდან გადიქცენ საქართველოს დაუძინარ მტრებათ.

შაჰი შეურიგდა პეტრე დიდს და ამან უომრათ გააბრუნა უკან თავისი ჯარი. პეტრე დიდმა მალე დაივიწყა თავის დაპირებანი და მიატოვა ვახტანგი. მრისხანე

შაჰიმ იჯერა გული ვახტანგზე; იგი მაშინვე ჩამოაგდო ტახტიდან და ქართლი მისცა ქახეთის გამამადიანებულ მეფე **კოსტანტინეს**. ქახეთის მეფე დიდის ჯარით შეესია ქართლს, ააოხრა თფილისი, დახოცა მრავალი ხალხი და დასწვა **სიონი**. ასე ძვირათ დაუჯდა ვახტანგს რუსების დახმარება; მან დაკარგა ტახტი და დიდი ზიანი მისცა თავის ქვეყანას.

ვახტანგი თავის ოჯახით და ამალით შეეფარა იმერეთს; აქედან კი 1724 წელს თავის ცოლშვილით გადასახლდა რუსეთს, სადაც მიიწვია პეტრე დიდმა. ვახტანგმა თან წაიყვანა **1200 რჩეული ქართველი** მათი ცოლშვილით და ამ რიგათ უფრო დაასუსტა ქართლი. გზაში ვახტანგმა შეიტყო პეტრე დიდის გადაცვალება. ზარბაზნების სროლით და დიდის პატივით მიიღეს ვახტანგი პეტერბურგში. რამდენიმე ხნის შემდეგ ქვრივმა დედოფალმა ვახტანგის მეთაურობით გაგზავნა ჯარი ბილანის დასაპყრობათ, მაგრამ ამ ლაშქრობიდან არაფერი გამოვიდა. უიმედოთ დარჩენილი ვახტანგი მიიცვალა ქ. **ასტრახანს** 1737 წელს და იქვე იქნა დასაფლავებული ერთ ტაძარში.

---

64. ქართული მწერლობის აღორძინება.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი და მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი შესანიშნავია მითომ ამ დროს აღორძინდა **ქართული მწერლობა**.

მონგოლთა შემოსევას და ბიზანტიის იმპერიის დამ-

ობას მოყვა ჩვენთვის ის ცუდი შედეგი, რომ დაეცა საქართველოში მწერლობა და ხელოვნება, შემცირდა მეტათ შკოლები და სწავლა-განათლება, დაქვეითდა მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა. შინაურმა ბრძოლამ და კინკლაობამ, მტრების შემოსევამ, მთიელთა ტაციობამ და უზომო ბეგარამ გააღატაკა ერთიანათ ჩვენი ხალხი. ნივთიერ სიღარიბესთან ერთათ ფეხი მოიდგა უმეცრებამ. გაუნათლებელ მტარვალთა ზეგავლენით მეტათ დაეცა ქართველი ერის ზნეობა. ყოველივე ამან ცუდათ იმოქმედა ქართველ ერზე და უკან დასწია მისი ცხოვრება.

ამ დროს ევროპის სახელმწიფონი, მაგ. **იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია** მეტათ განათლდენ და წავიდენ წინ ნივთიერათ და გონებრივათ. მეჩვიდმეტე საუკუნეში იტალია-საფრანგეთიდან ჩამოვიდენ ჩვენში კათოლიკეთა სარწმუნოების საქადაგებლათ ფრიად განათლებული **პატრები** (ღვდლები). ამ პატრებმა იცოდენ კარგათ **აქიმობა** და მასთან მალე შეისწავლეს ქართული ენა. ეს პატრები, თავის მოქარგული ენით, მეტათ დაუახლოვდენ ჩვენს მეფეებს, მთავრებს, თავადაზნაურთ და იქონიეს მათზე დიდი გავლენა. ამ პატრების რჩევით ვახტანგ მეექვსემ დაიბარა უნგრეთიდან (ევროპაშია) **მესტამბენი** და **1709 წელს დაარსა თბილისში სტამბა**, სადაც დაბეჭდა **საღვთო წერილი, „ვეფხის ტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“** და სხვა მრავალი წიგნი. ამ პატრების რჩევით ბევრი გამოჩენილი ქართველი წავიდა ევროპაში და გაეცნო იქაურ ცხოვრებას. ევროპიული განათლება მიიღეს აგრეთვე ზოგიერთმა მეფის შვილებმაც. ბონებით ფხიზელი და სწავლის მოტრფიალე ქართველები ამ საშინელ სისხლის

ღვრის დროს მწყურვალივით დაეწაფენ სწავლას. მოკლე დროში გაჩდენ ჩვენში შესანიშნავი მწერლები და პოეტები, როგორც, მაგ. **არჩილ მეფე, სეხნია ჩხეიძე, იოსებ თბილელი, ვახტანგ მეექვსე, საბა სულხან ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, დავით გურამიშვილი** და სხ. **Ა**რჩილ მეფემ დასწერა ლექსათ **თეიმურაზ პირველის ცხოვრება**, სეხნია ჩხეიძემ-**საქართველოს ისტორია**, Იოსებ **Თ**ბილელმა—**გიორგი საკაძის ცხოვრება**, **ს**აბა სულხან-**Ო**რბელიანმა შეადგინა **ქართული ლექსიკონი** და გადათარგმნა **ვ**ახტანგ მეფესთან ერთათ შესანიშნავი წიგნი **„ქილილა და დამანა“**, **ვ**ახტანგ მეექვსემ შეადგინა **კანონის წიგნი**, მისმა შვილმა **ვ**ახუშტიმ დასწერა **საქართველოს ისტორია**, **გ**ეოგრაფია და შეადგინა **საქართველოს რუქები**, **დ**ავით **ბ**ურამიშვილმა კი დასწერა ხალხური ენით შესანიშნავი **ლექსები** და **პ**ოემები. **ა**მ მოძრაობის სული და გული იყო თვით **ვ**ახტანგ **მ**ეექვსე. **ა**მ მწერლობის აღორძინების ხანას დაერქვა **ვ**ერცხლის **ს**აუკუნე.

მეთვრამეტე საუკუნეში **ს**აქართველოში გამოჩდენ აგრეთვე ორი შესანიშნავი მეფე: **Ი**მერეთის მეფე **სოლომონ დიდი** და ქართლ-** კ**ახეთის მეფე უძლეველი გმირი **ერეკლე მეორე**.

65. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. (1752-1781 წ.)

სამი საუკუნის განმავლობაში იმერეთს არ ღირსებია შესაფერი მეფე. უხეირო მეთაურთა წყალობით ეს ქვეყანა გადიქცა შინაურ კინკლაობისა და მტრობა-ქიშპობის ასპარეზათ.

იმერეთის მეფეს ებრძოდენ გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები, ხშირათ ამარცხებდენ მას და ართმევდენ ქვეყნებს. მეფეს ებრძოდენ აგრეთვე იმერეთის დიდი თავადები, იხმარიებდენ ხშირათ ოსმალებს და იკლებდენ ქვეყანას.

ასეთ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა იმერეთი, როცა ტახტზე ავიდა მეტათ მხნე და შესანიშნავი ვაჟკაცი **სოლომონ პირველი** ანუ **დიდი**. ეს იყო სულით სლიერი და სამხედრო ნიჭით აღჭურვილი, მასთან მეტათ მშრომელი და სამშობლოს მოყვარული. მისი საზრუნავი შეიქნა **იმერეთის გაძლიერება** და **გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან**.

ავიდა თუ არა ტახტზე, სოლომონმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია თავგასულ მთავრებსა და თავადებს. ის შეუდგა მათ ალაგმას და ქვეყნის დაწყნარებას. ამ მიზნით სოლომონი დაემოყვრა სამეგრელოს მთავარს **ოტია დადიანს** და შეერთებული ძალით საშინლათ დაამარცხა **რუხის ველზე** აფხაზეთის მთავარი, რომელსაც ყავდა **40 ათასი მეომარი**, თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული.

ძიდევ უფრო ადრე სოლომონმა დაამხო თავგასული თავადები **ლევან აბაშიძე** და რაჭის ძლიერი ერისთავი

როსტომი. **Ბ**აბრაზებულმა მეფემ როსტომსა და მის შვილებს დასთხარა თვალები. **Ა**მ საქციელით მეფემ შიშის ზარი დასცა ყველა თავადებს.

Იმ დროს იმერეთის უმთავრესი ციხეები ეკავათ ხელში ოსმალებს. **Ა**ქედან ისინი თავისუფლათ თარეშობდენ მთელს **Ი**მერეთში, იკლებდენ ქვეყანას, მიყავდათ მრავალი ტყვე და მიქონდათ დიდი ხარკი. **Ი**მერეთი მეტათ შევიწროებული იყო ოსმალთა მტარვალობით. **Ს**ოლომონ მეფემ შეკრიბა საკმაო ჯარი და **Დ**ადიანის დახმარებით ეკვეთა გმირულათ ოსმალებს რამდენიმე ალაგას და მიაყენა საშინელი დამარცხება. **მ**ეტადრე შესანიშნავი იყო **ხრესილის ომი** (**Ო**კრიბაში). **Ა**მ ბრძოლაში მეფემ დაიხმარა **ქ**ართლის ჯარი და საშინლათ დაამარცხა ოსმალები. **Ა**მ ბრძოლაში მოკლეს ოსმალთა ჯარის უფროსი **გოლა-ფაშა** და ქვეყნის მოღალატე **ლევან აბაშიძე**. **Ა**მავე ბრძოლაში მოკლეს **ს**ოლომონის მომხრე შესანიშნავი ვაჟკაცი **ხუტუნია შერვაშიძე**, რომელიც მამაცათ შეიჭრა ოსმალთა ჯარში და დახოცა 16 მეომარი.

Ამ გამარჯვების შემდეგ **ს**ოლომონი შეუდგა შინაურ საქმეებს; გამართა სტამბა ორ-სამ ალაგას და დაბეჭდა მრავალი წიგნი, აკრძალა ტყვეთა ყიდვა, შეაკეთა დანგრეული ციხეები და **ქ**უთაისში **მ**დ. **რ**იონის პირათ აიშენა ლამაზი სასახლე „**ოქროს ჩარდახი**“. **Ი**მერეთი დამშვიდდა და გაძლიერდა. **მ**აგრამ, საუბედუროთ, დიდხანს არ შერჩა **Ი**მერეთს ეს შესანიშნავი მეფე; იგი გადაიცვალა უშვილოთ 1781 წელს და დააობლა **Ი**მერეთის ტახტი. **Ა**მიტ **მ**ეტათ კარგი შემთხვევა მიეცა **ქ**ართლ-**კ**ახეთის მეფე **ე**რეკლეს შეერთებია **Ი**მერეთი და

მით აღედგინა საქართველოს ძველი ერთობა და ძლიერება; მით უმეტეს, რომ იმერეთის ზოგიერთი თავადები სთხოვდენ ერეკლეს შეერთებას. მაგრამ, სამწუხაროთ, ერეკლეს აკლდა პოლიტიკური გამჭრიახობა და არ მიიღო ეს მეტათ სახეირო წინადადება, რითაც დიდი ზიანი მისცა მთელ საქართველოს.

---

66. პატარა კახი ერეკლე მეორე. (1744—1798 წ.).

მეთვრამეტე საუკუნეში მტრებიდან დასუსტებულ საქართველოს მოევლინა ქომაგათ უძლეველი გმირი **ერეკლე მეორე.** ეს იყო ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ მეორის შვილი.

თეიმურაზი ჯერ იყო კახეთის მეფე. იგი მეტათ ერთგული იყო სპარსეთის ძლიერი ხელმწიფის **ნადირ-შაჰის.** ამ დროს, ვახტანგ მეექვსის გადასახლების გამო რუსეთში, ქართლი უმეფოთ იყო დარჩენილი. ნადირ-შაჰმ ერთგულობისათვის თეიმურაზს მისცა ქართლი, ერეკლეს კი—კახეთი. ამ რიგათ შეერთდენ დიდიხნის განშორებული ქართლი და კახეთი. ეს შეერთება გაადვილა უფრო იმ გარემოებამ, რომ ქართლის ტახტის ნამდვილი მემკვიდრენი რუსეთში იყვენ და თვით თეიმურაზ მეფეს ცოლათ ყავდა ვახტანგ მეექვსის ქალი **თამარი,** ერეკლეს დედა. თეიმურაზ მეფის სიკვდილის შემდეგ ერეკლე შეიქნა ქართლ-კახეთის ბრძანებელი.

ბარეგნობით ერეკლე იყო ტანმორჩილი, ამიტომ

შას მეტსახელათ დაერქვა **პატარა კახი**. მისი შევარდენის თვალები კრთოდენ ელვასავით. **ერეკლე** იყო მეტათ სწრაფი, საოცარი გულადი და იარაღის იშვიათი მხმარებელი. **მ**ისი იერიში და ლომივით მჭექარე ხმა შიშის ზარს ფენდა მტრის ლაშქარს. **ერეკლე** იყო **სამხედრო გენიოსი,** უპირველესი სარდალი ბრძოლისთვის მოვლინებული. **დ**ავით **ა**ღმაშენებლისა და **ბ**ოიორგი **ს**ააკაძის გარდა **ს**აქართველოს არას დროს არ ყოლებია ასეთი დიდებული სარდალი. **ეს** გმირი მეფე სჩადიოდა ნამდვილ სასწაულებს და ხუთი ათასი კაცით ამარცხებდა მტრის ორმოცსა და სამოც ათას მხედრობას.

13 წლის არც იყო **ერეკლე**, როცა მამამ დანიშნა იგი **ქ**ახეთის ჯარის სარდლათ. 14 წლის **ერეკლემ** უკვე შემუსრა ლეკთა დირი ჯარი. **ა**მ ბრძოლაში **ერეკლე** ლომივით იბრძოდაო, ამბობს ისტორიკოსი პაპუნა **ო**რბელიანი. **ერეკლეს** გმირობის სახელი განითქვა მთელს **ა**ზიაში. **ი**გი მიიწვია დიდმა სარდალმა **ნ**ადირ-შაჰმ და წაიყვანა საომრათ **ინდოეთში**. **ა**მ ომებში **ერეკლემ** გამოიჩინა საარაკო გმირობა და გაიმარჯვა ყველგან. მან დასტოვა **ა**ზიაში თავის გმირობის წაუშლელი კვალი. **დ**ღესაც ღზაპრათაა იქ დარჩენილი **ერეკლე** მეფის საოცარი გმირობა.

ერეკლეს სამხედრო გენიოსობას და ქართველი ჯარის მამაცობას განცვიფრებაში მოყავდა აგრეთვე მთელი **ევ**როპა. **ჩ**ვენს მეფეს განსაკუთრებით ადიდებდა **პ**რუსიის შესანიშნავი მეფე-სარდალი **ფრიდრიხ დიდი. ბ**რძოლის ველზე თავის ჯარს იგი ამხნევებდა ქართველთა სიმამაცით.—„**დ**ასავლეთით მე ვბრძანებლობ, **ა**ღმოსავლეთით კი უძლეველი გმირი **ერეკლე** მეფეო“, ამბობდა

ხშირათ **ფრიდრიხ დიდი** და უგზავნიდა ჩვენს მეფეს ძვირფასს საჩუქრებს.

67. ერეკლე გმირის ომები.

ერეკლე მეფემ თავის სიცოცხლეში გადიხადა **ასამდე ომი**. უმთავრესათ მას უხდებოდა ბრძოლა **ლეკებთან**. ეს მოუსვენარი ხალხი მეტათ გათამამდა ბოლო ხანებში, გადმოდიოდა თავის მთებიდან და ცარცვავდა **ქართლ-კახეთს**. ლეკთა მიბაძვით არ უსვენებდენ ჩვენს ქვეყანას მთის სხვა ხალხებიც, უმთავრესათ **ოსნი**. მაგრამ მოელო ბოლო მათ თარეშს; მათ რისხვათ განგებამ მოავლინა **ერეკლე გმირი**.

ჯერ 14 წლის ძლივს იყო ერეკლე, როცა მან დაამარცხა კახეთში ლეკთა დიდი ჯარი. მას შემდეგ ერეკლეს მრავალჯერ მოუხდა შეტაკება ამ მთის ხალხთან და ყოველთვის გამოდიოდა გამარჯობილი. ხშირათ ხელჩართულ ბრძოლაში პატარა კახი თავის ხელით კლავდა ლეკთა განთქმულ **ბელადებს** (ჯარის უფროსთ). ერეკლემ მოსპო აგრეთვე ოსთა თარეშიც. იგი საკმაო რაზმით შევიდა **ოსეთში**, დალეწა 40 კოშკ-სიმაგრენი, დაატყვევა მრავალი ოსი და ძლევამოსილი დაბრუნდა სამშობლოში.

აზატხანის დამარცხება. (1752 წ). ნადირ-შაჰას სიკვდილის შემდეგ მეტათ აიწეწა სპარსეთის საქმენი: ხანები ეცილებოდენ ერთმანეთს ირანის ტახტს. მათ შორის იყო **აზატხანიც**. იგი წამოვიდა **40 ათასი** მებრძო-

ლით და მოსთხოვა ხარკი **ერევნის ხანს**, რომელიც ემორჩილებოდა **ერეკლეს**. სცნო თუ არა ეს ამბავი **ერეკლემ**, სწრაფათ შეკრიბა **ხუთი ათასი** კაცი და გასწია **ერევანს**. **მ**იუახლოვდა თუ არა მტერს, **ერ**ეკლემ განაზრახა თავისი ჯარი, რომ არ ესროლათ თოფი, სანამ თვითონ არ მისცემდა ნიშანს. **პ**ატარა რაზმით **ერ**ეკლე წარსდგა წინ. **მ**ტერმა იცოტავა და შემოეხვია ირგვლივ. **ა**მ დროს მტრის სარდალმა მოაგდო ცხენი და ამაყათ დაიძახა:—„სად არის **ერ**ეკლე ხანიო„!—**მ**ე ვარ **ერ**ეკლე მეფეო, მიაძახა **პ**ატარა **ძ**ახმა; დაახალა გულში თოფი და გადმოაგდო ძირს. **ა**მას უცდიდენ ქართველებიც. **დ**ასცალეს მათაც თოფები, იშიშვლეს ხმალი და დაერიენ მტერს მშიერი ლომივით. **მ**ტრის ჯარმა ვერ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს და გაიქცა. **ქ**ართველებს დარჩათ დავლათ 14 ზარბაზანი და მთელი ბანაკი.

ასპინძის ომი (1770 წ.). **რ**უსებს მოუხდათ ოსმალებთან დიდი ომი. **რ**უსეთის დედოფალმა **ეკატერინე დიდმა** დახმარება სთხოვა **ერ**ეკლეს და გამოგზავნა საქართველოში **ოთხი ათასი** კაცი ღენერალ **ტ**ოტლებინის სარდლობით. **ერ**ეკლემაც შეკრიბა საკმაო ჯარი და ერთათ გაემართენ **ა**ხალციხისკენ, სადაც იყო დაბანაკებული მტრის დიდი ლაშქარი. **ბ**ზაში **ტ**ოტლებინმა მიიღო ბრძანება, დაებრუნებია უკან თავისი ჯარი. **ა**რავითარმა თხოვნამ არ გასჭრა მასზე; იგი დაბრუნდა უკან და მიატოვა **ერ**ეკლე სამიათასი კაცით მტრის თვალწინ. **მ**აგრამ **ერ**ეკლე გმირი არ შეუშინდა ლეკ-ოსმალთა დიდ ლაშქარს. **მ**ან მიმართა თავის მცირე ჯარს მხურვალე სიტყვით:—„**ჩ**ემო გულის ძმანო, გულოვანო ქართ-

ველნო! ამისთანა საშინელი ომი ჩვენს თავზე პირველი არ არის. ვიომოთ სიკვდილამდის! ბავწყდეთ ბრძოლაში და მტერს ზურგი არ ვაჩვენოთ.“ — „ბავწყდეთ ერთიანათ, გავწყდეთ! ან სიკვდილი, ან გამარჯვება! დაიგრიალა ქართველმა ჯარმა, იძრო ხმალი და შევარდენივით დაერია უთვალავ მტერს. მისვლისთანავე ერეკლემ მოკლა ლეკთა სარდალი **კოხტა ბელადი**. დაფრთხენ ლეკ-ოსმალნი და გაიქცენ. ისინი შეცვინდენ აყრილ ხიდზე, ჩატყდა ხიდი და გადაცვინდენ მტკვარში. მდინარის ზვირთებმა თფილისთან ჩაატარა ათასობით დამრჩვალი ლეკნი და ოსმალნი. ამ საარაკო გამარჯვებამ განცვიფრებაში მოიყვანა მთელი ევროპა და მოუპოვა ერეკლეს უძლეველი გმირის სახელი.

---

68. ერეკლე გმირის შინაური ცხოვრება და მოღვაწეობა.

ერეკლე მეფე დიდებული იყო არა მარტო ბრძოლის ველზე, იგი მეტათ ნიჭიერათ მართავდა სამეფოს შინაურ საქმეებსაც. ერეკლე ~~შეუდგა~~ თავის სამეფოს ევროპიულათ მოწყობას და განახლებას. მისი ბრძანებით მცოდნე კაცებმა აღმოაჩინეს **ახტალას** (ქახეთში) ოქროვერცხლის მადანი, საიდანაც ხაზინას ყოველ წლობით ქონდა **ასი ათასი მანეთი** შემოსავალი. მეფემ მოსჭრა ფული, ააგო ციხე-სიმაგრენი, უმთავრესათ ლეკთა საზღვარზე და დაარსა თფილისში **თოფხანა**, სადაც აკეთებდენ თოფებს და ასხამდენ ზარბაზნებს. ერეკლემ და-

აწესა აგრთვე „**მორიგე ლაშქარი**“, რიცხვით **ხუთი ათასი** კაცი და დაუდგინა მათ **ასისთავები** და **ათასისთავები**. **ამ** ჯარს ჯამაგირი ეძლეოდა ხაზინიდან. **მ**ორიგობაში თვით **ერ**ეკლე დგებოდა თითო თვეობით და აყენებდა აგრეთვე თავის შვილებს. **ამ** მორიგე ჯარის შემწეობით მისმა შვილმა **ლევანმა** საქართველო გასწმინდა ლეკთა თარეშისაგან. **ეს ლ**ევანი იყო იშვიათი ვაჟკაცი და, ხალხის გადმოცემით, თავის გმირობით მამას აჭარბებდა. **ს**ამწუხაროთ, ეს საუკეთესო მამულიშვილი ადრე მიიცვალა. **ლ**ევანის დაკარგვამ გასტეხა წელში მოხუცი **ერ**ეკლე.

ახლევ უფრო ადრე **ერ**ეკლემ მოახდინა სასულიერო პირთა მსოფლიო კრება; ამ კრების შემწეობით მან მოსპო ყოველივე უწესო ქცევანი. მეფემ დაარსა აგრეთვე **სტამბა** და აავსო წიგნებით ქართულ-ქახეთი. **მ**აგრამ ყველაზე მეტათ **ერ**ეკლე ზრუნავდა **ხალხის განათლებაზე**. **ამ** მიზნით მან დაარსა შკოლები და ორი **სასულიერო სემინარია** თფილისსა და **თ**ელავში (ქახეთში). ამგვარი მზრუნველობით **ს**აქართველოში წარმოიშვენ შესანიშნავი მწერლები, პოეტები და ფილოსოფოსნი, მაგ. **ანტონ პირველი ქათალიკოზი** (პოეტი და ფილოსოფისი), **ბესიკი** ანუ **ბესარიონ გაბაშვილი** (პოეტი), **ამბროსი ნეკრესელი**, **სოლომონ ლეონიძე** (მსაჯული), **პაპუნა ორბელიანი** (ისტორიკოსი), **ნიკოლოზ დადიანი** (ისტორიკოსი) და სხ. **თ**ვით მეფე **ერ**ეკლეს შვილიშვილებმა მიიღეს ევროპიული განათლება და შეიქნენ შესანიშნავი მწერლები; ასეთი იყვენ, მაგ. **დავით, იოანე** და **თემიურაზ ბატონიშვილები**; ეს **თ**ეიმურაზი შემდეგ აირჩიეს **პ**ეტერბურგში სამეცნიერო აკადემიის წევრათ;

Იოანე ბატონიშვილმა კი **ი**ვანე **ხ**ელაიასთან ერთათ შეადგინა შესანიშნავი სამეცნიერო წიგნი **„კალმასობა“**.

მიუხედავათ ასეთი ზრუნვა-თავდადებისა, **ე**რეკლეს **ქ**ართლში ყავდა მრავალი მტერი. **ი**მათ მოახდინეს ორჯერ შეთქმულობა მეფის წინააღმდეგ. **ა**მ შეთქმულობის სათავეში იდგენ, პირველ შეთქმულობაში **ვ**ახტანგ მეექვსეს შვილი **პ**აატა, მეორე შეთქმულობაში კი **ვ**ახტანგისავე შვილიშვილი **ა**ლექსანდრე. **ო**რივე შეთქმულობა დროით შეიტყო **ე**რეკლემ, შეიპყრო მოღალატენი და გადასცა სამჯავროს, რომელმაც სცნო ისინი დამნაშავეთ და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. **ე**ს განაჩენი მეფემ მოიყვანა სისრულეში.

გარეშე მტერთა სიმრავლემ, შინაურმა უსიამოვნებამ და მეტადრე საუკეთესო შვილის **ლ**ევანის სიკვდილმა გასტეხა **ე**რეკლეს ფოლადის გული. **მ**ან დაიწყო ძლიერი მფარველის ძებნა თავის ქვეყნისთვის. **ა**მ მიზნით მეფემ მიმართა **ე**ვროპის ხელმწიფეებს, მაგრამ ამაოთ. **მ**აშინ **ე**რეკლემ 1783 წელს შეკრა **პ**ირობა **(ტ**რა**ქ**ტ**ა**ტ**ი)** **რ**უსეთის დედოფალთან **ე**კ**ა**ტ**ი**რ**ინ**ე **დ**ი**დ**თ**ან** და ამით **ს**აქართველო დაუკავშირა **დ**ი**დ** **რ**უ**ს**ეთ**ს**.

---

69. კრწანისის ომი და ერეკლე გმირის მიცვალება. (1795-1798 წ.)

1790-თე წლებში **ს**პარსეთში მოხდა დიდი არეულობა, რომელიც დამთავრდა 80 წლის ხოჯას **ა**ღა-**მ**ამადხანის გამეფებით. **ა**ღა-**მ**ამადხანმა 1795 წელს შეკრიბა **100 ა**თასი მეომარი და მორჩილება მოსთხოვა

ამიერ-კავკასიის ხანებს, მასთან ერეკლე მეფესაც. ერეკლემ უარი შეუთვალა. მრისხვანე მამადხანი **70 ათასი** რჩეული მხედრით საჩქაროთ წამოვიდა თფილისზე. ერეკლემ შეკრიბა უცებ **ხუთიათასი** კაცი, აფრინა შიკრიკები თავის შვილებთან და იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან. არც ერთი შვილი არ დაეხმარა მოხუც მამას ამისთანა საშინელ გაჭირვებაში; მხოლოთ იმერეთიდან მოუვიდა მაშველი ჯარი **ორი ათასი** კაცი. ამ მცირე ჯარით მოხუცი ერეკლე გმირულათ დახვდა მძვინვარე მტერს **კრწანისის** ვიწროებში, თფილისიდან ექვსი ვერსის მანძილზე და ძვირათ დაუჯდინა შემოსევა. ბრძოლის წინ მეფემ მიმართა ჯარს მხურვალე სიტყვით: —ხედავთ, ძმებო, ვითარის კადნიერებით მოდიან ჩვენზე უსჯულო სპარსნი! საქართველოს დღეს უნდა გადაუწყდეს თავისი ბედ-იღბალი! დღეს გამოჩდება, ძმებო, ვინ არის ჩვენში უფრო ერთგული და ვის უფრო გვიყვარს ჩვენი მამული! —ჩვენ სულ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ, მეფე, დღეგრძელი! მტერი რას გვიზამს, როცა ჩვენს მეთაურით არის ერეკლე გმირი! მისთვის სიცოცხლეს ვიღა დაზოგავს! მიაძახა ჯარმა მამაცათ, იშიშვლეს ხმალი და მშიერი ლომივით ეძგერენ მტერს. მოხუცი ერეკლე არწივივით დაქროდა თავის ჯარში, ამხნევებდა და იმავე დროს მუსრავდა მტერს. იმ დღეს გამარჯვება დარჩათ ქართველებს; მხოლოთ ბრძოლაში გაწყდენ საუკეთესო მამულიშვილნი, მაგრამ არც მტერს დააყარეს ხეირი; გასწყვიტეს **13 ათასი** სპარსელი. ამ ბრძოლაში გაწყდენ გმირულათ **სამასი ხევსური**, რომლებმაც შეფიცეს მეფეს, რომ ბრძოლიდან ერთიც ცოცხალი არ გამოვალთო.

ამ ბრძოლის შემდეგ ერეკლე მცირე ჯარით გამაგრდა თფილისში. მამადხანი თავის ლაშქრით მოადგა ციხეს. მესამე დღეს ღამით ქვეყნის მოღალატეებმა გაუღეს ჩუმათ მტერს ციხის კარები. ერეკლემ ძლივს გაასწრო მთებში 140 კაცით; დანარჩენი გასწყვიტეს სპარსელებმა. მხეცმა მამადხანმა ცეცხლსა და მახვილს მისცა თფილისი, ნამგრეებათ აქცია ეს მშვენიერი ქალაქი. ამით იჯერა მან გული და გაბრუნდა უკან.

ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია ერეკლეს. ის მეტათ დაჯავრიანდა, დასნეულდა წყალმაკით და განისვენა თელავში 11 იანვარს 1798 წელს. შეიქნა საშინელი გლოვის ზარი და ტირილი მთელ საქართველოში. გმირ მეფეს ცხარეთ დასტიროდა ქართველი ერი; მის დაკარგვას ერთგვარი მდუღარებით მოსთქვამდა მთა და ბარი.—„ალზდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს! მტერთა ისმიან ხმანია...“ მოსთქვამდენ თუშ-ფშავ-ხევსურნი და ამ მოთქმას ბანს აძლევდა ქართლ-კახეთის მწარე ქვითინი. ერეკლე მეფის გვამი დიდის დიდებით წაასვენეს მცხეთას და დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში.

---

70. საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ. (1801 წ.).

ერეკლე გმირის გადაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი **გიორგი მეთორმეტე**. ეს გიორგი იყო უმოქმედო და ზარმაცი კაცი. თავის სიცოცხლეს იგი სულ ლოცვა-ვედრებასა და სმა-ჭამაში ატა-

რებდა. ამბობენ, ისეთი მადა ქონდაო, რომ მთელ ზაქს შესჭამდაო, ამიტომ მეტ სახელათ **ბიორგი** მეფეს დაერქვა **ზაქიყლაპია**. იმავე დროს **ბიორგი** სნეული იყო და დიდი ხნის სიცოცხლე არ ქონდა. **ერეკლეს** ანდერძის ძალით, **ბიორგის** შემდეგ ტახტზე უნდა ასულიყო მისი უფროსი ვაჟი **დავითი** კი არა, არამედ **ბიორგის** ძმა **იულონი**, მესამე ცოლისაგან, **დარეჯან** დედოფლისაგან ნაყოლი, რომლის ხელში **ერეკლეს** ყავდა ბევრი შვილი. **ეს** ანდერძი აწუხებდა **ბიორგი** მეფეს. **ამისთვის** მან გაგზავნა **რუსეთში** ელჩები და სთხოვა იმპერატორ **პავლეს** მიეღო **ივერია** **რუსეთის** მფარველობის ქვეშ, იმ პირობით კი, რომ **ქართლ-კახეთის** მეფეთ დარჩენილიყო **ბიორგი** მეფე და მისი შთამომავლობა და არ გადასულიყო ტახტი მის ძმა **იულონზე**. **რუსეთის** იმპერატორმა შეიწყნარა ეს თხოვნა, თანაც **საქართველოში** გამოგზავნა ღენერალი **ლაზარევი** ერთი პოლკით და მინისტრათ მეფის კარზე **კოვალენსკი**.

ამ ამბავმა დიდი განხეთქილება დაბადა **ბიორგის** ძმებს შორის. **ისინი** აეშალენ მეფეს. **ზოგი** გაიქცა სამოქმედოთ **იმერეთს**, ზოგი **ოსმალეთს** და ზოგიც **სპარსეთს**. **შეიქნა** შინაობაში ერთი შფოთი და არეულობა. **ბიორგი** მეფემ ხელმეორეთ გაგზავნა ელჩები **რუსეთს** და ითხოვა **რუსეთის** მფარველობის ქვეშ შესვლა შემდეგი პირობით: **მეფეთ უნდა დარჩენილიყო თვითონ ბიორგი, ტახტის მემკვიდრეთ კი მისი უფროსი ვაჟი დავითი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი უნდა ყოფილიყო მუდამ ჟამს ხელ-უხლებელი და რუსის მთავრობა არ უნდა ჩარეოდა სამეფოს შინაურ საქმეებში. საქართველოს ეკლესია, შკოლა და სასამართლო**

უნდა დარჩენილიყო იმ წესით, როგორც იყო ძველათ. მხოლოთ ახლად ოჭრილ ფულზე უნდა ყოფილიყო ერთი მხრით რუსის იმპერატორის სახელი, მეორე მხრით კი საქართველოს ღერბი. მასთან საქართველოში უნდა შემოსულიყო რუსის ჯარი, ქართველ მილიციონებს კი უნდა ემსახურათ თავის ეროვნულ სამოსელით და სხ.

ყველა ეს მუხლები მიიღო და დაამტკიცა იმპერატორმა პავლემ 19 ნოემბერს 1800 წელს. ეს პირობა დაამტკიცა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თავის მანიფესტით 12 სექტემბერს 1801 წელს. ამ რიგათ რუსეთი შეიქნა უმაღლესი მფარველი ქართლ-კახეთის სამეფოსი.

რუსეთთან შეკავშირებას ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა **ს**აქართველოში, მათ შორის სახელოვანი მამულიშვილი და ფრიად განათლებული პირი **სოლომონ ლეონიძე**, ერეკლე მეფის მსაჯული. **რ**უსეთში წასულმა ელჩებმა ველარ ჩამოუსწრეს **გ**იორგი მეფეს. **ი**ს გადაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წელს.

რამდენიმე წლის შემდეგ ამავე პირობით შეუკავშირდენ **რ**უსეთს **დ**ასავლეთ **ს**აქართველოს მეფე-მთავრებიც, ე. ი. **ი**მერეთის მეფე **სოლომონ მეორე**, **გ**ურია-**ს**ამეგრელოს და **ს**ვანეთ-**ა**ფხაზეთის მთავრები.

71. დედოფალთა და ბატონიშვილთა გადასახლება რუსეთში.

ბორგი მეფის სიკვდილის შემდეგ, მისი უფროსი ვაჟი **დავითი** შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას, მაგრამ ღენერალმა **ლ**აზარევმა, უმაღლესი ბრძანების მიხედვით, არ მიუშვა **ი**გი სამეფოს საქმეებზე. **რ**უსეთის მთავრობამ **ს**აქართველოს მართველათ დანიშნა ღენერალი **კ**ონინგი და დააწესა **დროებითი მართველობა**. **ე**რთი წლის შემდეგ რუსის მთავრობამ **ს**აქართველოს მართველათ დანიშნა მეტათ ნიჭიერი ღენერალი **პ**ავლე **ციციანოვი**. **ც**ციანოვი გაეცნო **ს**აქართველოს საქმეებს და მოახსენა იმპერატორს, რომ ქვეყნის დასამშვიდებლათ საჭიროა **ს**აქართველოს მეფის გვარეულობის **რ**უსეთში გადასახლებაო. **მ**იიღო თუ არა ამის ნებართვა, მაშინვე სთხოვა დედოფლებსა და ბატონიშვილებს წასულიყვენ **რ**უსეთს. **ზ**ოგი მათგანი დაემორჩილა **ც**ციანოვის სურვილს, ზოგი არა. **ბ**ადასახლების დიდი წინააღმდეგნი იყვენ **ე**რეკლე გმირის მეუღლე **დარეჯან დედოფალი** და **ბ**ორგი მეფის ქვრივი **მარიამ დედოფალი**, აგრეთვე ბატონიშვილები **ერეკლეს ძენი** და **ი**ულონის ვაჟი **ლ**ევანი. **დ**იდი მაცადინობის შემდეგ ყველანი გადაასახლეს **რ**უსეთს, გარდა **ე**რეკლეს ძის **ალექსანდრე ბატონიშვილისა** და **ი**ულონის ძის **ლ**ევანისა.

ეს ორი რაინდი მეფის ძენი, **ლ**ევანი და **ა**ლექსანდრე დიდ წინააღმდეგობას უწევდენ რუსის მთავრობის დამყარებას **ს**აქართველოში. **ი**სინი აქეზებდენ სპარსებსა

და ოსმალებს რუსების წინააღმდეგ და აჯანყებდენ ლეკებს და ოსებს. აგრეთვე მათი მეოხებით მოხდა **კახეთის აჯანყება** 1811 წელს, რასაც მოყვა დიდი სისხლისღვრა. ბოლოს ლევანი მოკლეს **გოგის ციხის** ხეობაში 1811 წელს, ალექსანდრე კი მიიცვალა ქ. **თეირანში** (სპარსეთში) 1844 წელს.

მარიამ დედოფალი. 18 აპრილს 1803 წელს ციციანოვმა უბრძანა ღენერალ ლაზარევს, გიორგი მეფის ქვრივის მარიამ დედოფლის შეპყრობა და რუსეთში გადასახლება. 19 აპრილს დილით ადრე ლაზარევმა შემოარტყა ჯარი დედოფლის სასახლეს, თვითონ კი რამდენიმე აფიცრით შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში. დედოფალმა მრისხვანეთ მოახსენა ლაზარევს, საქართველოდან არსად წავალო. ლაზარევი გავიდა გარეთ, მოახდინა განკარგულება, შემობრუნდა ისევ და მივიდა დედოფალთან ტახტიდან ძალით ჩამოსაყვანათ. ამ დროს იელვა ხანჯალმა დედოფლის ხელში და ტარამდი ჩაესო გულში რუსის ღენერალს. ლაზარევი იქვე დაეცა მკვდარი. დედოფალი წაიყვანეს რუსეთს და დაამწყვრიეს **ბელგოროდის მონასტერში**, სადაც იგი აღესრულა. მისი გვამი მოასვენეს საქართველოში და დიდის დიდებით დაასაფლავეს მცხეთის ტაძარში 30 მარტს 1851 წელს.

72. რუსის მართვა-გამგეობის დამყარება საქართველოში.

დედოფალ-ბატონიშვილთა გადასახლებისა და აჯანყებათა დაწყნარების შემდეგ **რუსის მთავრობა** შეუდგა თავის მართვა-გამგეობის დამყარებას **საქ**ართველოში. **მ**ოსპეს ჩვენში მეფობა და მთავრობანი, ნაცვლათ ამისა დაადგინეს **რუსის მთავარმართებელი**. მოსპეს აგრეთვე თანდათან ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესიის დაოუკიდებლობა, ქართული შკოლები, ქართული სასამართლოები და მათ ნაცვლათ ყველგან გაბატონდა **რუსული მართვა-გამგეობა, რუსული ენა, რუსული შკოლა და სასამართლო.** საქართველოს ეკლესია დაუმორჩილეს **უწმიდეს სინოდს** და მის წარმომადგენლათ, ნაცვლათ ქათალიკოზისა, დანიშნეს **რუსის ეგზარხოსი**.

ამავე ხანებში რუსებს მოუხდათ დიდი და ხანგძლივი ომები სპარს-ოსმალებთან და მეტადრე მთის ხალხებთან, ლეკებთან და ჩეჩნებთან. **ა**მ ომებში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ქართველები, უმტკიცებდენ რუსის მთავრობას თავიანთ ერთგულობას, წინ მიუძღოდენ ყველგან რუსის ჯარებს და თავიანთი სისხლით რწყავდენ ველსა და მთებს. **ა**მ რიგათ, ქართველთა მეოხებით, რუსის მთავრობამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ყველგან, დაიპყრო მთიელები, წაართვა სპარს-ოსმალებს მრავალი ადგილი და გაბატონდა სრულიათ **ამიერ კავკასიაში**.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

		ᲒᲒ.
1.	ჩვენი სამშობლო	3.
2.	ქართველი ტომები	4.
3.	ძველი გადმოცემა ქართველების შესახებ .	6.
4.	მამასახლისობის დრო	7.
5.	მაკედონელთა ბატონობა	8.
6.	ფარნაოზ გმირი	9.
7.	პირველი მეფე ფარნაოზი	11.
8.	ქართველები პირველ საუკუნეში . .	11.
9.	ქრისტიანობა საქართველოში . . .	13.
10.	წმინდა ნინო	14.
11.	წმ. ნინო ივერიაში	15.
12.	წმ. ნინოს სასწაულები და მეფე მირიანი .	17.
13.	ივერიის გაქრისტიანება	18.
14.	ვახტანგ ზორგასლანი	20.
15.	ბრძოლა ბიზანტიელებთან და სპარსელებთან.	21.
16.	ვახტანგის მოღვაწეობა და სიკვდილი. .	23.
17.	ცამეტი სირიელი მამა	24.
18.	ბაგრატიონთა გამეფება	25.
19.	არაბთა მოძრაობა	26.
20.	ივერიის დაპყრობა	27.
21.	არაბთა ბატონობის შედეგი . . .	29.
22.	დავით ძურაპალატი	31.
23.	თორნიკე ერისთავი და ივერიის მონასტერი.	32.
24.	მეფეთ-მეფე ბაგრატ მესამე . . .	34.
25.	ბაგრატ მეოთხე და თურქების პირველი შემოსევა	36.

		33.
26.	ბიორგი მეორე და თურქების მეორე შემოსევა.	37.
27.	დავით აღმაშენებელი	39.
28.	თურქების განდევნა საქართველოდან . .	41.
29.	ქახეთის შემოერთება და არაბთა განდევნა თფილისიდან	43.
30.	საქართველოს გაძლიერება	44.
31.	დიმიტრი პირველი და ბიორგი მესამე. .	46.
32.	თამარ მეფე	47.
33.	თამარ მეფის შინაური ცხოვრება . .	49.
34.	შამქორის და ბასიანის ომი . . .	50.
35.	ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და სპარსეთში გალაშქრება	53.
36.	თამარის მოღვაწეობა და სიკვდილი . .	55.
37.	შოთა რუსთაველი	57.
38.	ბიორგი ლაშა და რუსუდან დედოფალი .	59.
39.	მონგოლთა შემოსევა	61.
40.	დიდებულთა შეთქმულობა თათართა წინააღმდეგ.	63.
41.	საქართველოს ორ სამეფოთ გაყოფა . .	65.
42.	დიმიტრი თავდადებული	67.
43.	მონგოლთა ბატონობა	69.
44.	ბიორგი ბრწყინვალე	71.
45.	საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება.	73.
46.	ბაგრატ დიდი და ლანგ-თემური. . .	75.
47.	ბიორგი მეშვიდე, კოსტანტინე პირველი და ალექსანდრე პირველი	77.
48.	ოსმალეთი და ბიზანტიის იმპერიის მოსპობა.	79.
49.	საქართველოს დანაწილება და დაცემა .	80.
50.	რუსეთი და საქართველო	82.

		83.
51.	ირანის ლომი შაჰ-აბაზი	84.
52.	ქეთევან დედოფალი და თეიმურაზ პირველი.	86.
53.	კახეთის აოხრება	89.
54.	დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. . .	91.
55.	ცხირეთის ომი.	93.
56.	გიორგი სააკაძის განდევნა სპარსეთში .	95.
57.	შაჰ-აბაზის რისხვა	96.
58.	საქართველოს გადარჩენა	98.
59.	მარაბდის ომი და სააკაძის ბოლო . .	100.
60.	საქართველოს არეული მდგომარეობა. .	102.
61.	შეთქმულობა სპარსელთა წინააღმდეგ. .	104.
62.	გიორგი მეთერთმეტე და ქართველთა სიმამაცე.	105.
63.	ვახტანგ სჯულმდებელი	107.
64.	ქართული მწერლობის აღორძინება . .	109.
65.	იმერეთის მეფე სოლომონ დიდი . .	112.
66.	პატარა კახი ერეკლე მეორე . . .	114.
67.	ერეკლე გმირის ომები	116.
68.	ერეკლე გმირის შინაური ცხოვრება და მოღვაწეობა	118.
69.	კრწანისის ომი და ერეკლე გმირის მიცვალება.	120.
70.	საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ	122.
71.	დედოფალთა და ბატონიშვილთა გადასახლება რუსეთში	125.
72.	რუსეთის მართვა-გამგეობის დამყარება საქართველოში	127.

ბეჭდვის უთავრესი შეცდომანი.

გვერდი:	**სტრიქონი:**	**არის:**	**უნდა იყოს:**
12.	13. ზეიდან	**სტრაბონისივე**	**სტრაბონისავე**
24.	10. ზეიდან	დი	და
28.	10. ზეიდან	ორთხი	ოთხი
32.	18. ზეიდან	**ზარხმის**	**ზარზმის**
42.	3. ქვეიდან	ქასპის	ქასპიის
55.	12. ქვეიდან	**ქვაბთახევის**	**ქვათახევის**
82.	7. ზეიდან	მთიულებმაც	მთიელებმაც
92.	9. ქვეიდან	მოხვდებოდი	მოხვდებოდა
103.	2. ქვეიდან	დიდხანს	დიდიხნის
107.	6. ქვეიდან	შკოლები	შკოლები
108.	6. ქვეიდან	გაარსისხა	გაარისხა
112.	13. ქვეიდან	სლიერი	ძლიერი
124.	2. ზეიდან	სოჭრილ	მოჭრილ

947.922
ქ 451

ამ წიგნის უმთავრესი საწყობი არის ქუთაისში
თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.